DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Creator: Gdzelishvili, I. A.|გძელიშვილი, ი.ა.|Гдзелишвили, И. А.
- Title: თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები (1956-57 წწ. არქ. გათხრების მიხედვით)|Памятники Материальной Культуры г. Тбилиси
- Publication Date: 1961
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_02c2fccee9

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

ი. გძელიშვილი, ა. ცაიშვილი

თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები

თბილისი
1961

IVE
2036

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ი. გამყრელიძე, თ. ტყეშელაშვილი

თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები

(1956—57 წწ. არქეოლოგიური გათხრების მასალები)

10623

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1961

ბიბლიოთეკა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი—თბილისი ერთ-ერთი უძველესთაგანია მსოფლიოს ქალაქებს შორის. თბილისის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, არა მარტო სავაჭრო-ეკონომიური, არამედ იმდროინდელი სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც, ხელს უწყობს იმას, რომ უკვე ახ. წ. IV ს. ბოლოს თბილისი „ციხე-ქალაქად" იწოდებოდა. „მაშინ მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად . ქალაქად-ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა:"-ო, გვამცნობს „ქართლის მოქცევის" ქრონიკა[1]. ეს ის დროა, როდესაც გაქრისტიანებული ქართლის სამეფო მედგარ ბრძოლას აწარმოებს ყველა ჯურის დამპყრობთა წინააღმდეგ და, როგორცა ჩანს, ამ ბრძოლებში თბილისს უკვე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მაინც.

ცნობილია, რომ ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც სახელმწიფოებრივი რელიგია, ქართლში 337 წ. ახლო ხანებში იქნა ოფიციალურად მიღებული. ცნობილია აგრეთვე, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად აღიარება დაკავშირებული იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ საზოგადოებრივ ცვლილებებთან, კერძოდ, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვასთან და, საყურადღებოც ისაა, რომ წერილობით წყაროებში თბილისი პირველად სწორედ ქართლში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის დროს იხსენიება, ხოლო ფეოდალიზმის გამარჯვებისთანავე თბილისი საბოლოოდ ართმევს პირველობას მცხეთას და ხდება ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიური ცენტრი.

ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლი ვახტანგ გორგასალი (452—502 წწ) „აშენებენ ქალაქსა ტფილისსა, საფუძველი ოდენ დაედვა"[2], ხოლო მისმა მემკვიდრემ დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ"[3].

ცხადია, ვახტანგს თავისი გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებანი ჰქონდა, როდესაც უკვე არსებული ციხე-ქალაქის დიდ მშენებლობა-გამაგრებას მიჰყო ხელი და სამეფოს სატახტო ქალაქად მცხეთის ნაცვლად თბილისი გაიმიზნა. მაგრამ ცხადია, რომ ამ მიმართულებით უაღრესად დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე ეკონომიური ფაქტორიც, კერძოდ დიდ სავაჭრო გზაზე ხელსაყრელი მდებარეობა, გოგირდოვანი ცხელი წყლები, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ტყავის დამუშავება, გარშემო მდებარე უხვმოსავლიანი ადგილები და სხვ.[4].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისთანავე თბილისი ხდება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ცენტრი. ქართლში მეფობის გაუქმებისთანავე (523 წელს), მონათმფლობელური ქართლის დედაქალაქის როლი ქვეყნის ცხოვრებაში დაეცა და პირველობა თბილისმა დაისაკუთრა საბოლოოდ. „დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ. მაშინ მცხეთაჲ აოხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არამაზანი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდაო", გვამცნობს „ქართლის მოქცევის" ქრონიკა[5].

ამრიგად, როგორც ამ ძალიან მოკლე ცნობებიდანა ჩანს, თბილისი, როგორც ციხე-ქალაქი, ქა-

---

[1] Е. Такайшвили, Описание рукописей..., т. II, вып. 1—4, стр. 720, Тифлис, 1906—1912.

[2] ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისეული, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1942, გვ. 136.

[3] იქვე, გვ. 140.

[4] შ. მესხია, ქალაქის ისტორიული წარსული, იხ. კრებული, თბილისი, ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, თავი მეორე, თბილისი, 1957, გვ. 65—66.

[5] Е. Такайшвили, Опис. рук., т. II; იხ. აგრეთვე „ქართლის ცხოვრება", ანა დედოფლისეული, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1942, გვ. 145.

თულ წერილობით წყაროებში პირველად ახ. წ. IV საუკუნეში იხსენიება. შემდგომ ძალიან სწრაფად ძლიერდება და ბოლოს, მეექვსე საუკუნის პირველ მეოთხედში, საბოლოოდ ართმევს პირველობას საქართველოს ძველ დედაქალაქს—მცხეთას.

მაგრამ გარდა წერილობითი წყაროებისა, ჩვენს ხელთ არის თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე შემთხვევით თუ სპეციალური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დიდძალი არქეოლოგიური ძეგლები, რომელთაგან ქრონოლოგიურად ყველაზე უძველესი ლენინის რაიონში, დიდუბეშია, ნაპოვნი.

დიდუბეში, მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს 1930—1931 წწ. აღმოჩნდა ძეგლი, რომელიც ორი ფენისაგან შედგებოდა. უძველესი ფენა ენეოლითის ხანას, კერძოდ ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულს მიეკუთვნება[6]. დიდუბის ენეოლითური ხანის ძეგლები შემდგომში სპეციალურად შეისწავლა არქეოლოგმა დ. ქორიძემ, რომელმაც შემდეგი დასკვნები გააკეთა: „დიდუბეში ენეოლითის მთელ პერიოდში, ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან თითქმის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულამდე ცხოვრობდა ერთი მოდგმის ხალხი, რომელიც, მიუხედავად მეზობელ ტომებთან ახლო ურთიერთობისა, დამოუკიდებლად ჰქმნიდა თავის საკუთარ მაღალ კულტურას. ...მთელ ამ პერიოდში დიდუბეში ცხოვრობდა მოსაბინადრე მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა, რომლის მეურნეობაში, როგორც ჩანს, დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე მონადირეობას და მეთევზეობას. როგორც მასალებიდან ირკვევა, დიდუბის მოსახლეობას სცოდნია აგრეთვე სუფთად დართული ძაფით ქსოვა“[7].

ამრიგად, დიდუბეში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ირკვევა, რომ თბილისის თანამედროვე ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან ყოფილა დასახლებული.

ქრონოლოგიურად მეორე უძველესი ძეგლი ბრინჯაოს ყუადაქანებული ცულის სახით, თბილისიდან ისევ ლენინის რაიონში მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ღრმა-ღელეში, № 2 აგურის ქარხნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი 1935 წელს. ცული შუა ბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული[8].

თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები. ამ ხანის ძეგლები ძირითადად ისევ მტკვრის მარცხენა ნაპირასაა აღმოჩენილი: ღრმა-ღელეში, ნაძალადევში, პლეხანოვის პროსპექტზე, ნავთლუღსა და სხვა ადგილებში. აღსანიშნავია ისიც, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზეცაა აღმოჩენილი, კერძოდ, საბურთალოზე, სანაპირო ქუჩაზე და ორთაჭალაში. როგორცა ჩანს, უკვე ამ ხანიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირიც აუთვისებია მოსახლეობას, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე სისტემატური არქეოლოგიური გათხრები ფართო მასშტაბისა და წინასწარ შემუშავებული გეგმით არ ჩატარებულა. ზემოხსენებული არქეოლოგიური ძეგლები მხოლოდ შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს და ამდენად, აღნიშნული მოსაზრებაც მტკვრის მარჯვენა ნაპირის გვიანი ბრინჯაოს ხანაში დასახლების შესახებ, მომავალში შეიძლება შესაცვლელი გახდეს. ეს, რა თქმა უნდა, მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. ამჟამად კი, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ: თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე განსაკუთრებით მჭიდრო მოსახლეობა გვიანი ბრინჯაოს ხანიდანვე გვხვდება და იგი ძირითადად მტკვრის მარცხენა მხარეზეა.

არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა გვარწმუნებს, რომ თბილისის თანამედროვე ტერიტორიის მოსახლეობა გვიანი ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედი და ბინადარია, ინტენსიურად მისდევს მესაქონლეობას[9], ჰქმნის იარაღ-საჭურვლისა თუ სამკაულის და კერამიკული ნაწარმის ორიგინალურ სახეებს, უხვად უზიარებს მეზობლებს თავის კულტურულ მონაპოვარს და მეზობელი ტომების მიღწევებითა და გამოცდილებებითაც საკმარისად სარგებ-

---

[6] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 75.

[7] იქვე.

[8] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 79.

[9] დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი თბილისიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XVII-B, თბილისი, 1953, გვ. 154.

ლობს[10]. თბილისში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის და ამ კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს[11].

თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე (აგრეთვე ძირითადად შემთხვევითი გათხრების შედეგად) საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის მომდევნო პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, დაწყებული ადრეული რკინის ხანიდან—ადრეფეოდალურ ხანამდე.

ასე, მაგალითად, ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოჩენილია საბურთალოში, დიდუბის ახალი ხიდის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირას და სხვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დიდუბის ახალი ხიდის მახლობლად ძვ. წ. IV—III სს. ბერძნული მონეტა აღმოჩნდა[12]. კეცხოველის ჭუჩაზე ძვ. წ. III—II სს. ბაქტრიული მონეტები, ღრმაღელეში (ლენინის რაიონი). ე. წ. „ეგვიპტური სკრაბეიები“, ორთაჭალაში (კიროვის რაიონი) მითრიდატ VIII-სა და სხვა ბოსფორული მონეტები, ვაკეში (ორჯონიკიძის რაიონი) რომაული მონეტები და სხვა. ეს ფაქტები აშკარად იმის მაუწყებელია, რომ თბილისის იმდროინდელ მოსახლეობას მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური კავშირი ჰქონდა დამყარებული საბერძნეთთან, კასპიის გაღმა მდებარე ბაქტრიის სამეფოსთან, ეგვიპტესთან, რომის იმპერიასა და ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ბოსფორის სამეფოსთან[13]. ამასთან დაკავშირებით აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო ხანებში „ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ“, საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრება გამოითქვა, რომ: „საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ წინარეელინისტურ ხანაში ისახება სავაჭრო გზის ცალკეული მონაკვეთები, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა ვაჭრობას ეწევა კოლხეთის ბერძნულ ქალაქებთან, ხოლო მათი მეოხებით მცირე აზიისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებთან... ელინისტური ხანიდან, როდესაც ვაჭრობა იღებს „მსოფლიო“ ხასიათს და სავაჭრო ურთიერთობის პროცესში ექცევა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფასიდისაკენ (მდ. რიონსა და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე კოლხეთის ქალაქს ეწოდებოდა ფასიდი)“[14].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სატრანზიტო-სავაჭრო გზა თბილისზედაც გადიოდა, რის საბუთსაც ზემოაღნიშნული მონეტების აღმოჩენის ფაქტი გვაძლევს[15].

ამრიგად, ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ უკვე ელინისტური ხანიდან თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ინტენსიურად იყო ჩაბმული მსოფლიო ვაჭრობის სფეროში, რასაც ძლიერ უწყობდა ხელს მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ეს გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა აგრეთვე გვიანი ბრინჯაოს ხანის თბილისის მოსახლეობის კავშირს მეზობელ ქვეყნებთან[16]. ასე რომ საამისო ნიადაგი თბილისს, როგორც გზაჯვარედინზე მდებარე პუნქტს, თავიდანვე მომზადებული ჰქონდა.

მაგრამ როდესაც ჩვენ თბილისის შესახებ ვლაპარაკობთ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ქალაქმა თავისი სახელწოდება „ტფილისი“, „თბილისი“, იმ ცხელი, გოგირდოვანი წყაროებისაგან მიიღო, რომლებიც კიროვის სახ. რაიონში თანამედროვე აბანოების უბანში მდებარეობენ და ფეოდალური ხანის ქალაქის ტერიტორიაც, ძირითადად, კიროვის სახ. რაიონითა და მეტეხ-ავლაბრის მიდამოებით შემოიფარგლებოდა თვით XVIII საუკუნეშიაც კი.

ის პუნქტები კი, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები, ენეოლითიდან დაწყებული ვიდრე ანტიკურ ხანამდე, წინად წარმოადგენდნენ თბილისის (ვგულისხმობთ ფეოდალური ხანის ქა-

---

[10] დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან, (ნავთლუღის) „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XVIII-B, თბილისი, 1954, გვ. 88.

[11] ო. ტყეშელაშვილი, არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში, ხელნაწერი.

[12] იქვე.

[13] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბილისი, 1952, გვ. 19.

[14] ოთ. ლორთქიფანიძე, ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. XIX, № 3, თბილისი, 1957, გვ. 382—383.

[15] თბილისის ტერიტორიაზე ბაქტრიული მონეტის აღმოჩენა ოთ. ლორთქიფანიძესაც საყურადღებოდ მიაჩნია. დასახ. ნაშრ., გვ. 380.

[16] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., ო. ტყეშელაშვილი დასახ. ნაშრ.

ლაქს) ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებს და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ პუნქტების ხარჯზე წარმოიქმნა ჯერ დასახლებული პუნქტი. შემდეგ ციხე-ქალაქი და ბოლოს სამეფოს დედაქალაქი.

„ძველ თბილისში", მოსახლეობის არსებობის ნიშნები არქეოლოგიური მასალების მიხედვით ანტიკური ხანიდანა ჩანს[17], ხოლო ფეოდალური თბილისის მოსახლეობის სიმჭიდროვის, ვაჭრობა-ხელოსნობისა და სხვ. შესახებ წერილობითი წყაროების გარდა, ამ ხანის არქეოლოგიური ძეგლებიც კარგად მეტყველებენ.

ფეოდალური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის თბილისში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის, კერძოდ XII—XIII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები. ამ ეპოქის ძეგლები, გარდა შემთხვევითი აღმოჩენებისა (ბანლეოლოგიური კურორტის მშენებლობის დროს და სხვ.), არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგადაცაა მოპოვებული[18].

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ლიტერატურა არც თუ ისე ფართოდაა წარმოდგენილი[19]. ასე მაგალითად, წინარე ფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალა დეტალურად შეისწავლა და გამოაქვეყნა კიდევაც დ. ქორიძემ ცალკე მონოგრაფიების სახით[20]. ამ შრომების გამოსვლამ საგრძნობლად გაუადვილა საქმე თბილისის არქეოლოგიის მკვლევართ. თუნდაც იმ მიმართებით, რომ ადვილად ხელმისაწვდომი გახდა აქამდე უცნობი ძეგლები. გარდა ამისა, შრომებში ბევრი საყურადღებო საკითხია დასმული და გაშუქებული არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის შესახებ.

ფეოდალური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს, კერძოდ თბილისში აღმოჩენილი კერამიკული მასალების ნაწილს ეხება ვ. ჯაფარიძე[21], რომელმაც ფრიად საყურადღებო დასკვნები გამოიტანა ქართული (მათ შორის თბილისური) კერამიკული წარმოების განვითარების დონისა და ადგილობრივი წარმოების შესახებ და სხვა.

ძველ თბილისში, 300 არაგველის სახ. ბაღში ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის (ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, ჯერ ო. ჯაფარიძე, ხოლო შემდეგ გ. ლომთათიძე) მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს ეხება ო. ჯაფარიძისა და გ. ლომთათიძის ანგარიშები, სადაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე გამოთქმულია საყურადღებო დასკვნები თბილისში XII—XIII სს. კერამიკული წარმოებისა და მისი მაღალგანვითარებული დონის, კერამიკული ჭურჭლის გამოსაწვავი ქურების რაობისა და სხვ. შესახებ[22].

ასევე საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული გ. ლომთათიძისა და ი. გძელიშვილის სტატიაში, სადაც ანჩისხატის ეკლესიასთან, მამაცაშვილისა და ავლევის ქუჩებზე შემთხვევით აღმოჩენილი ფეოდალური ხანის მასალებია განხილული[23] და, აგრეთვე, ვ. ჯაფარიძის სტატიაში თბილისში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლების შესახებ[24].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1954—1955 წწ. ჩატარებული სამუშაოები, რომლის შედეგადაც მოპოვებულ იქნა საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლები თბილისში (შურის ციხე, კომკავშირის ხეივანი, ნავთლუღი და სხვ.) და თბილისის მიდამოებში („ნატბეევის გორა", ვაშლაჯვარა, ნახშირგორა, ოქროყანა და სხვა). ექსპედიციის მიერ მოპოვებული ძეგლები მიეკუთვნება როგორც ფეოდალურ ხანას, ისევე უფრო ადრეულ ეპოქებს[25].

---

[17] შურის ციხეზე ბრინჯაოს კახური ტიპის სატევრის აღმოჩენის ფაქტი ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია.

[18] ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის" 1948 წლის გათხრის ანგარიში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, დაბეჭდილია იმავე კრებულში.

[19] საგანგებო ცნობებსა თუ სტატიებს ჩვენ აქ არ ვეხებით, ასევე თავს ვიკავებთ თითოეული ნაშრომის დეტალური განხილვისაგან. ეს ამჟამად არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს.

[20] დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I, თბილისი, 1955, ნაწ. II, თბილისი, 1958.

[21] ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI—XIII სს.), თბილისი, 1956.

[22] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი; გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

[23] გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი, ახალი მასალები თბილისის არქეოლოგიისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა", 1956, № 8.

[24] ვ. ჯაფარიძე, XI—XIII სს. თბილისის კერამიკა (თიხის ჭურჭელი), საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950.

[25] ო. ტყეშელაშვილი, არქეოლოგიური დაზვერვები თბილისში და თბილისის მიდამოებში, 1954 და 1955 წწ. ჩოკლე ანგარიშები (ხელნაწერი ინახება ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში).

თბილისის არქეოლოგიური შესწავლა დაახლოებით ასეთ დონეზე იდგა, როდესაც 1956 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტთან ერთად დაიწყო გათხრები თბილისის ძველ უბანში ანჩისხატის ეკლესიასთან და ერეკლე II-ს სახ. მოედანზე. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ: ისტორიის ინსტიტუტის ხაზით ი. გძელიშვილი, ხოლო მუზეუმის ხაზით ო. ტყეშელაშვილი.

გათხრები 1956 წლის სექტემბერში დაიწყო და სამეურნეო წლის დამთავრებისა და უამინდობის გამო, დროებით შეწყდა წლის ბოლოს. შემდეგ გათხრები 1957 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში განახლდა და მიმდინარეობდა ამავე წლის მაისის ბოლომდე. 1956 წ. გათხრები წარმოებდა კიროვის სახ. რაიონის შემდეგ პუნქტებში: შავთელის დაღმართზე, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში და ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში. 1957 წ. გათხრები მხოლოდ ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში გაგრძელდა.

შავთელის დაღმართზე, ანჩისხატის ეკლესიის გალავნის გვერდით, გაყვანილ იქნა 10 მ სიგრძისა და 2 მ სიღრმის სადაზვერვო თხრილი. თხრილის ამოღება უფრო ფართოდ და ღრმად შეუძლებელი შეიქნა ქუჩის სივიწროვისა და აგურის გალავნის ჩამონგრევის საშიშროების გამო. ამიტომ ექსპედიციამ ეს დასაზვერვო თხრილი მალე ისევ მიწით ამოავსო. გათხრებით ის მაინც დადგინდა, რომ ამ უბანში კულტურული ფენები 2,5 მეტრზე უფრო ღრმად მდებარეობენ. აქ აღმოჩენილ განათხარ ძეგლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო XVII ს. აგურით ნაგები საკანალიზაციო გაყვანილობა, რითაც მტკიცდება თბილისის ტერიტორიაზე ძველი (თუ უძველესი?) მიწისქვეშა საკანალიზაციო გაყვანილობის არსებობა.

ამის შემდეგ არქეოლოგიური გათხრები დაწყებულ იქნა ანჩისხატის ეკლესიის ეზოში. ეკლესიის სამხრეთ კედელთან ფენა-ფენა იქნა გათხრილი მოგრძო ოთხკუთხედის მსგავსი მოყვანილობის თხრილი. თხრილის სიღრმემ სამ მეტრამდე მიაღწია. თხრილში აგურისა და ქვის სამარხები აღმოჩნდა. ყველა სამარხი დანგრეული იყო. კულტურულ ფენებში დანგრეულ სამარხებთან ახლოს აქა-იქ მოპოვებულ იქნა XI—XIV სს. რამდენიმე თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა სამკაული. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სამარხების ქვეშ ადგილ-ადგილ, თავი იჩინა ნასახლარის ნაშთებმა. იქვე აღმოჩნდა მოწითალო ტუფის ქვის მოჩუქურთმებული ფრაგმენტი. გათხრების სიღრმეში გაგრძელება ამ ადგილას შეუძლებელი შეიქნა, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ გასათხრელი ტერიტორიის სიმცირის და, მეორე მხრივ, 3 მ სიღრმეზე გრუნტის წყლის არსებობით. თუმცა კულტურული ფენები სიღრმეში კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ გათხრა წყალში უკვე შეუძლებელი იყო და ამიტომ თხრილი მიწით ამოივსო.

მესამე ობიექტი, რომელიც ექსპედიციამ გათხარა, ერეკლე II სახ. მოედანზე მდებარე ბაღი იყო. როგორც აღვნიშნეთ, სამუშაოები აქ 1956 წლის ნოემბერში დაიწყო და მცირე ხარვეზებით 1957 წლის მაისის ბოლომდე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ბაღის ტერიტორიის თითქმის ნახევარი გაითხარა (დაახლოებით 300 კვ. მეტრი). გათხრების სიღრმემ ორმოების ადგილას 8 მ მიაღწია. გათხრებით მოპოვებულ იქნა დიდძალი ნივთიერი მასალა — 4000-ზე მეტი სხვადასხვა ექსპონატი.

გათხრების შედეგად მოპოვებული ამ დიდძალი მასალის კამერული დამუშავების გადაუდებელმა აუცილებლობამ ექსპედიციის წინაშე დასვა საკითხი გათხრების დროებით შეწყვეტისა, მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ფენები და სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები გათხრილი ქვაბულის ყველა კედელში უწყვეტლივ გრძელდებოდა. ამ პირობებში ცხადი იყო მხოლოდ, რომ 8 მ-ზე ღრმად კულტურული ფენები უკვე აღარ გრძელდებოდა, ე. ი. გათხრების დონე გრუნტის წყლების ტერასულ რიყნარზე დავიდა.

მშრომელთა დეპუტატების კიროვის სახ. რაიონულმა საბჭომ დიდი სიღრმის ღია ქვაბულის ხანგრძლივად ბაღში დატოვება დაუშვებლად ჩათვალა, რადგან ბაღი ქალაქის ამ მჭიდროდ დასახლებულ რაიონში გამოუყენებლად რჩებოდა. ამიტომ ექსპედიციამ ეს ქვაბული ისევ მიწით ამოავსო.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნივთიერი მასალები ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. მასალის ერთი ნაწილი კი უკვე მუზეუმის ექსპოზიციაშია გამოტანილი. მთელი მასალა კლასიფიცირებულია

თემატურად. პუბლიკაციისათვის გაწკუთვნილი მასალა კი (350 ერთეული) აღდგენილია და რესტავრირებული.

თბილისის მუზეუმის 1956 წლის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები: ა. გეგეჭკორი, ც. თოლორდავა, ს. კაკაბაძე, ნ. ნაცვლიშვილი, მხატვარი კლ. კვესი და ფოტოგრაფი ი. პახომოვი. 1957 წლის ექსპედიციაში: კ. კვიჟინაძე, ლ. საგინაშვილი, ზ. მშვედლიშვილი, ტოპოგრაფი რ. ატოიანი და ფოტოგრაფი ი. პახომოვი. კერამიკული ჭურჭლების აღდგენა-რესტავრაციას აწარმოებდნენ: თ. ჯავახიშვილი, პ. ივანოვი, გ. რუსეიშვილი და ნ. ცერაძე. მხატვრული ილუსტრაციები დამზადებული აქვთ მხატვრებს: ნ. ვასილევას, ვ. კანდელაკს, ა. ვარაზიშვილს და მ. გვაჯაიას. ერეკლე მეორეს სახ. მოედნის ბაღში გათხრების დროს აღმოჩენილი კერამიკული წყალსადენის მაკეტი დაამზადა რესტავრატორმა პ. ივანოვმა. მასალის საბოლოო კამერალურ დამუშავებაში მონაწილეობდნენ: ზ. მშვედლიშვილი, ლ. ნებიერიძე და რ. ატოიანი. ნივთების ფოტოილუსტრაციები დაამზადა ვ. თულაშვილმა. თხრის დროს აღმოჩენილი მონეტები შეისწავლა და განსაზღვრა ისტ. მეცნ. დოქტორმა, ნუმიზმატმა დ. კაპანაძემ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაითხარა ბაღის ტერიტორიის მხოლოდ ნახევარი. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი სქელი კულტურული ფენები და მათში სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები, არა მარტო ბაღის ტერიტორიაზე, არამედ მთელ მოედანზედაცაა გავრცელებული (მისი ფართობი დაახლ. ერთ ჰექტარს უდრის). არსებული ფაქტობრივი მასალების მიხედვით, უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ასეთი სქელი კულტურული ფენების არსებობა აწინდელი კიროვის სახ. რაიონში თითქმის ყველგანაა მოსალოდნელი და სავარაუდო. ამიტომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სისტემატური ხასიათის, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შედეგად მრავალფეროვანი და ფრიადმნიშვნელოვანი ნივთიერი ძეგლების აღმოჩენაა ადვილად შესაძლებელი. მაგრამ სამწუხაროდ, გათხრების ჩატარება აღნიშნულ ტერიტორიაზე უმთავრესად იმითაცაა გაძნელებული, რომ აქ მოსახლეობა მეტად მჭიდროდაა დასახლებული, ჭუჩები მეტად ვიწროა, ხოლო სახლების უმეტესობა ძველია და დეფორმირებული, რის გამო მათი საძირკვლების სიახლოვეს თხრა შეუძლებელია: იგი აუცილებლად გამოიწვევს სახლის ავარიას. გათხრებისათვის ყველაზე მეტად საინტერესო ობიექტის ამ რაიონში თბილისის დედაციხე — შურისციხე — ნარიყალა წარმოადგენს, სადაც კულტურული ფენების სისქე 10 მ-მდე აღწევს. მაგრამ ციხის ტერიტორიაზე გათხრების ჩატარება მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (უპირველესყოვლისა საჭიროა გათხრების დაწყებამდე გაყვანილ იქნას საავტომობილო გზა განათხარი მიწის გასატანად, გამაგრებული იქნას ციხის კედლები და სხვ. და სხვ.).

ცხადია, ასეთ პირობებში გათხრების ჩატარება ყველაზე მიზანშეწონილია ბაღებსა და სკვერებში, რადგანაც, როგორც ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე არსებული ბაღის გათხრებმა დაგვანახა, ამ ადგილებში მხოლოდ ზედა ფენებია დაზიანებული, ხოლო ძირა ფენები შედარებით კარგადაა დაცული და საყურადღებო არქეოლოგიურ ძეგლებსაც შეიცავს. ქალაქის სხვა ადგილებში, განსაკუთრებით ძველი ჭუჩების გასწვრივ, კულტურული ფენები საცხოვრებელი ბინებისათვის სარდაფების ამოღებისა და მიწისქვეშა კომუნალური გაყვანილობისათვის ჩატარებული სამუშაოების გამო, ძლიერ არის ღარღვეულ-დაზიანებული. შესაძლებელია, კულტურული ფენები ნაკლებად იყოს დარღვეულ-დაზიანებული კიროვის სახ. რაიონში არსებულ დიდ ეზოებში, თითქოს ამის საბუთს წარმოადგენს ანჩისხატის ეკლესიის ეზო.

ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე არსებულ ბაღში 1956—1957 წწ. ჩატარებული გათხრები, ცხადია, კიდევ მოითხოვს დაზუსტებას, უმთავრესად სხვადასხვა ფენის ნაგებობათა ნაშთების დანიშნულების საბოლოოდ დაზუსტების მხრივ (ეს კი შესაძლებელი გახდება ამ ადგილას დამატებითი გათხრების ჩატარების დროს). მაგრამ აღნიშნული გათხრების დროს მოპოვებული მასალა მაინც იმდენად მნიშვნელოვანი, მეცნიერული თვალსაზრისით ფასეულად საყურადღებო და ბევრ შემთხვევაში ახალიცაა, რომ ამ საფეხურზე მისი გამოქვეყნება, ჩვენ მეტად საჭირო და სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში პირველად სწორედ აქ აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით ხდება შესაძლებელი თვალი გავადევნოთ მატერიალური კულტურის ძეგლების მონაცვლეობა-განვითარების საფეხურებს, თითქმის მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე, დაწყებული V საუკუნიდან, XVIII საუკუნის ჩათვლით.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თბილისის ტერიტორიის რელიეფისა და გეოლოგიის მოკლე დახასიათება

თბილისის ტერიტორიის რელიეფისა და გეოლოგიის დახასიათება ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა ცნობილი[1]. აქ ამ საკითხებს შევეხებით იმდენად, რამდენადაც ეს გათხრილი ძეგლების დახასიათებლადაა საჭირო.

თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილო განედის და აღმოსავლეთ გრძედის. იგი განლაგებულია მდ. მტკვრის მიერ გამომუშავებულ ეროზიულ ტაფობში, თრიალეთის ქედის დასავლეთ დაბოლოვებასთან. ქალაქი მტკვრის ორივე ნაპირზეა განფენილი. მისი სიგრძე ხეობის გასწვრივ 25 კმ, ხოლო სიგანე ცენტრალურ ადგილას—4 კმ აღწევს.

თბილისის დასახლებული ნაწილის ქვედა მდინარეული ტერასის საშუალო აბსოლუტური ნიშნული 400 მ-ია, ხოლო მთაწმინდაზე (სტალინის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი) 700-მდე მ უდრის. თბილისის მახლობელი საკუროორტო ადგილების ნიშნულებია: თრიალეთის ქედის დასავლეთ ბოლოში—წყნეთში—1000 მ, კოჯორში—1500 მ. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მახათას მთის აბსოლუტური ნიშნულია 700 მ.

თბილისში ჩამოსული ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500 მმ-ია, ხოლო მისი მაქსიმალური რიცხვი 750 მმ-მდე აღწევს. კლიმატის მხრივ თბილისი ზომიერ კონტინენტალურ ზოლში შედის. აქ ზამთარი თბილია და ზომიერი, ხოლო ზაფხული ცხელი და მცირე ნალექებით ხასიათდება.

ქალაქის ტერიტორიაზე განვითარებულია პალეოგენური პერიოდის ტუფოგენური და კლასტიკური ქანები, სხვადასხვა სახის ტუფოგენური ქვიშაქვები, ბრექჩიები და თიხა-ფიქალები. ეს ნალექები განედურ ნაოჭებს ქმნიან, რომელშიც გამოყოფენ თელეთის, სეიდაბადის და ლისის ანტიკლინებს, ხოლო მათ შორის კრწანისისა და საბურთალოს სინკლინებს.

მდ. მტკვრის ხეობის მესამეული პერიოდის იმ ქანებში, სადაც თბილისი მდებარეობს, ქვევიდან ზევით გამოკვეთილია ოთხი მთავარი მდინარეული ტერასი; ასეთი ტერასებია: ჩუღურეთის, ვაკის, ნაძალადევისა და მახათის ტერასები. ქალაქის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე ეს მდინარეული ტერასები რელიეფში ყველგან ერთნაირად არ არის შემორჩენილი. ისინი სრულად მხოლოდ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა წარმოდგენილი, მარცხენა ნაპირზე კი—ვაკის ტერასის ზევით—ასეთი ეროზიული ბაქნები არ არის[2]. აქ უკვე მხოლოდ თრიალეთის ქედის მკვეთრად დაქანებული კლდოვანი ფერდობებია აზიდული.

მდ. მტკვარი ქალაქის საზღვრებში ჯერ ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიედინება, ბარათაშვილის სახ. ხიდიდან-სამხრეთისაკენ, ხოლო მეტეხის ვიწრობის შემდეგ, ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. თბილისში მდ. მტკვარზე ამჟამად შვიდი ხიდია გადებული; დინების მიმართულებით ეს ხიდებია: დიდუბის (აგებული იქნა 1953 წ.), ჭელიუსკინელების (აგებულ იქნა 1935 წ.), სტალი-

---

[1] თბილისი, ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება ა. ჯავახიშვილის რედაქტორობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1957. ი. კაჭარავა, თბილისის მიდამოების პალეოგენი, „საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე," 1936, II ნაკვ.; ა. ჯანელიძე. თბილისის მიდამოების ჰიდროგრაფიისათვის, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", თბილისი, 1925, ტ. II.

[2] ა ლ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, თბილისის მიდამოების ჰიდროგრაფიისათვის, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", ტ. II, ტფილისი, 1925.

ნის სახ. (ყოფ. ვერის ხიდი. აგებულ იქნა 1884 წ. რეკონსტრუირებულია 1952 წ.), კ. მარქსის სახ. (აგებულია 1853 წ. მთლიანი რეკონსტრუქცია დამთავრდება 1961 წ.), ბარათაშვილის სახ. (ყოფ. მუხრანის ხიდი. აგებულია 1910 წ.), ვახტანგ გორგასალის სახ. (ყოფ. მეტეხ-ავლაბრის ხიდი. აგებულია 1870 წ. რეკონსტრუირებულია 1951 წ.) და სამანი არაგველის სახ. (აგებულია 1852 წ. რეკონსტრუირებულია 1958 წ.). საბჭოთა ხელისუფლების დროს ფართო სამუშაოები ჩატარდა მდ. მტკვრის კალაპოტის გასამაგრებლად და ჭაობიანი ნაპირების ამოსაშრობად. ამჟამად მდინარის კალაპოტი ქალაქის ფარგლებში მაღალი საყრდენი კედლებითაა გამაგრებული; მტკვრის ორივე მხარეს ფართო სანაპირო ქუჩები და ბაღებია გაშენებული.

მტკვრის კალაპოტი დიდუბისა და ჩელუსკინელების ხიდებს შორის, ისევე როგორც „300 არაგველის“ ხიდის ქვემოთ, ფართოა. აქ მდინარის ნარწყულში დიდუბისა და ორთაჭალის საკმაოდ დიდი კუნძულებია წარმოქმნილი. ქალაქის შუა ნაწილში, ბარათაშვილისა და მარქსის ხიდებს შორის მადათოვის კუნძული იყო, სადაც ამჟამად სანაპირო ქუჩაა და ბაღი.

ძველი თბილისის ტერიტორიაზე, მეტეხის ხიდთან, მტკვარი მეტად ვიწრო კალაპოტში მოედინება. მისი მარცხენა ნაპირი კლდოვანია და მთავრდება ავლაბრის ტერასული ბაქნით. მარჯვენა ნაპირიც კლდოვანია, რომელზედაც ქვედა (პირველი) ტერასის მეოთხეული გრუნტებია გადაფარებული და ებჯინება სოლოლაკის კლდოვან ქედს, სადაც თბილისის უძველესი სიმაგრე —„შურის ციხე“ მდებარეობს. ამ ვიწრობში, რომლის სიგანე 50 მეტრს არ აღემატება, მტკვარზე უძველესი ხანიდანვე ხიდი იყო გადებული და იგი „კალა-ტფილისს“ ისანთან აკავშირებდა.

ქალაქის ფარგლებში მტკვრის რამდენიმე მნიშვნელოვანი მარჯვენა შენაკადია: დიღმის წყალი, ვერე, ლელვთახევი და კრწანისის წყალი. მარცხენა ნაპირას კი, მახათას მთის მიდამოებიდან რამდენიმე წყალმცირე ხევი იწყება, რომლებიც ქალაქის დასავლეთ ნახევარში, მარქსის ხიდამდე, მტკვრის კალაპოტსაც კი არ აღწევენ. დასახელებული ხიდის ქვევით კი ხევებს გრუნტში ჩაჭრილი ვიწრო კალაპოტები აქვთ და მტკვარში ჩადიან. ასეთებია: ჩუღურეთის, ავლაბრის და ნავთლუღის ხევები. ამ შენაკადების ჰიდრავლიკური რეჟიმი მთიანი ქვეყნის რელიეფის შესაბამისია. ჩვეულებრივად, მარჯვენა, მთავარი შენაკადების წყლის ხარჯი წამში ერთ კუბომეტრს არ აღემატება. ხევებში კი წყალი ზაფხულობით შრება კიდევაც. უხვი ნალექების ჩამოსვლისას ხევის და მდინარეების წყლის ხარჯი შესამჩნევად იზრდება და ტიპიურ მთის მდინარეებს მოგვაგონებენ.

ყველა ტერასულ ბაქანზე კლდის მოვაკებულ ზედაპირს დაახლოებით 3—4 მ სისქის რიყნარი ფარავს. ხოლო მათ თავზე აძევს დელუვიური თიხებისა და თიხნარების ფენა როჭკის ლინზებით. ამ ნალექების სისქე ქალაქის სხვადასხვა უბანში მეტად ცვალებადია. მათი მაქსიმალური სისქე მამადავითისა და მახათის მთების ფერდობების ძირობაზეა, აწინდელი კალინინის, ორჯონიკიძის, სტალინის, ლენინისა და 26 კომისრის სახ. რაიონებში, მაგალითად, მთაწმინდის ძირობაზე, (ფუნიკულიორის ქვედა სადგურის მახლობლად) დელუვიონის სისქე 40 მეტრს აღწევს, ღრმა-ღელეში და ნავთლუღში — 26 მეტრს.

მდ. ვერეს ხეობის ბოლოში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საზოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შორის, მეოთხეული პერიოდის ტბიური წარმოშობის თხელშრეებრივი ნალექებია გავრცელებული, რომელთაც თავზე რიყის საკმაოდ სქელი ფენა აძევთ (10 მეტრამდე). ამ ტბიური ნალექების გენეზისი ვერის ხეობის ქვედა ნაწილში საბოლოოდ ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. მათ წარმოშობას ზოგი მკვლევარი მესამეულ ქანებში ახალგაზრდა ტექტონიკური რღვევით წარმოშობილ ქვაბულის გაჩენასა და შემდეგ მასში ტბის წარმოშობას მიაწერს.

მეოთხეული გრუნტების საერთო დახასიათებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დელუვიურ საფარში ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. ლიოსისებრი თიხნარები. მათი ერთგვაროვანი სახესხვაობანი საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ღრმაღელის და ნავთლუღის ტერასული ვაკეების მიდამოებში.

ქალაქის განაპირას, ე. წ. „მეორე ნავთლუღის“ მახლობლად, ორხევის მიდამოებში, ზედაპირთან ახლოს გაჯის გამოსავლებია. თაბაშირის შემცველი ასეთი თიხებისა და საერთოდ თბილისის მიდამოების მეოთხეულ წმინდამარცვლოვან გრუნტებში თაბაშირის წარმოშობა დაკავშირებულია მესამეუ-

ლის თიხა-ფიქალებიდან სინგენეტური და მეორადი წარმოშობის თაბაშირის გამორეცხვის ხარჯზე.

ძველი თბილისის მიდამოებში ფართოდ არის აგრეთვე გავრცელებული ნაყარი გრუნტები. მათი სისქე სხვადასხვა უბანზე სხვადასხვაა. მაქსიმალური სისქე 10—15 მ აღწევს. უმთავრესად, მიწით შევსებული ძველი ხევების ადგილას. ასეთია მაგალითად, ხევი რომელიც დავითაშვილის ქუჩაზე იწყებოდა, გადაჰკვეთდა ლენინის მოედანს და ბარათაშვილის ხიდთან უერთდებოდა მტკვარს: ძველი ხევი, რომელიც ენგელსის ქუჩის ადგილას იყო და მტკვრამდე ჩადიოდა და სხვ. ძველი ქალაქის სხვა უბნებში კი ასეთი ნაყარი გრუნტების მაქსიმალური სისქე 3,5—4.0 მ არ აღემატება.

შემთხვევით აღმოჩენებისა და სპეციალური ხასიათის არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დამტკიცებულია, რომ გეოლოგიური თვალსაზრისით ეს ახალი წარმონაქმნი სხვადასხვა დროის და უმთავრესად შუა საუკუნეების კულტურულ ფენებს და ნაგებობათა ნაშთებს შეიცავს. ცხადია, ეს ფენები რიგ შემთხვევაში ძალზე დაზიანებული და არეულია XIX—XX სს. ფართო მშენებლობის შედეგად.

თბილისში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული გრუნტის წყლები. ისინი უმთავრესად მტკვრის სამი ქვედა ტერასის რიყნარებში მდებარეობენ.

იმავე ტერასებზე წყლის შემცველია აგრეთვე დელუვიური გრუნტებიც (ქვედა ფენები). მათი წარმოშობა უმთავრესად დაკავშირებულია ატმოსფერული ნალექების ჩაჟონვით მთის ფერდობებისა და ტერასთა შორის საფეხურებთან განლაგებულ ფხვიერ გრუნტებში. გრუნტის ეს წყლები თბილისის მიდამოებში ზედაპირზე წყაროების სახითაც გამოდიან. ასეთი წყაროები ბევრ ადგილას მოედინება: ბარათაშვილის აღმართზე, კლდის ფლატეჟი, ენგელსის ქუჩის გასწვრივ, სოლოლაკის ქედის ძირობაზე. მთაწმინდის მთის კალთებზე, ლოტკინის გორისა და მახათის მთის მიდამოებში და ბევრ სხვა ადგილებში. ახალი მშენებლობის გამო ზოგი მათგანი ეხლა უკვე მიწითაა დაფარული და ხელოვნურად დახშული. რადგანაც კლდოვანი და მეოთხეული გრუნტებიც თბილისის მიდამოებში თაბაშირს უხვად შეიცავს, თითქმის ყველგან, გრუნტის წყლები ასევე უხვად შეიცავენ თაბაშირს, ამიტომ მათ მღაშე გემო აქვთ. საკმაოდ გემრიელი და კარგი წყაროს წყლები მხოლოდ სოლოლაკის ქედის ძირობაზე მკვრივ ტუფოგენური ქანებიდან გამოდის, რომლებშიც უკვე გახსნილი თაბაშირი არ გვხვდება[3].

ძველი თბილისის ტერიტორიაზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. აბანოების უბანში და მის პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირზე „გოგირდის აბანოს“ ადგილას, ზედაპირზე გოგირდოვანი თბილი წყლები გამოდის, რომლის საშუალო ტემპერატურა ცელსიუსით 40°-უდრის. ეს ძველთაგან ცნობილი თბილი წყაროები გამოედინებიან ტუფოგენური წარმოშობის ქანების ნაპრალებიდან სხვადასხვა ადგილას და აბაროებს ამარაგებენ წყლით. ბოლო დროის დეტალური ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით გამოირკვა, რომ სილრმეში ამ წყლებს საკმაოდ დიდი გავრცელება და დებიტი აქვთ. მათი წარმოშობა ვადოზურია, რაც იმას გულისხმობს, რომ თბილისიდან სამხრეთით საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიიდან ზედაპირული წყლები ნაპრალებით დიდ სიღრმეზე ჩადის. აქ იგი იძენს გოგირდის და სხვა მინერალების შემცველ მარილებს, თბება და ჰიდროსტატიკური დაწოლის გამო ისევ ამოდის მიწის ზედაპირზე. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ამ წყალს იმავე ნაპრალებიდან, საიდანაც ის ამოდის ამოჰყვება მჭროლადი, მომწამლავი გაზებიც— მეტანი (CH_4) და გოგირდწყალბადი (H_2S). მათი გამოყოფა ახალ ნაპრალებში იმდენად დიდი არის ხოლმე, რომ შეიძლება ადგილი საგრძნობლად მოწამლოს და აფეთქდეს კიდევაც. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამ წყაროების დიდი ნაწილი პაწია ნაკადულების სახით იკრიბებოდა ლელვთა ხევის (დაბახანის) ბოლოს და შემდეგ ამ ბუნებრივი დრენაჟით მიედინებოდა მტკვარში.

თბილისში და მის მახლობელ მიდამოებში მნიშვნელოვანი ბუნებრივი წიაღისეული არ მოიპოვება. აღსანიშნავია მხოლოდ ლიოსისებრი თიხნარების საკმაოდ დიდი მარაგი, რომლისაგან თბილისში ეხლაც ამზადებენ აგურს. კარგია აგრეთვე, როგორც შესალესი მასალა, თბილისის გაჯიც, უმთავრესად ნავთლუღის ორხევიდან, სადაც ეხლაც წარმოებს მისი დამუშავება. მიუხედავად კარიერში ტუფოგენური ქვიშა-ქვების სიმტკიცისა, ისინი როგორც კედლის სამშენებლო ქვა არ ვარგა: ჰაერზე მალე იფიტება, სკდება და იფშვნება. ამიტომ მას ეხლა მხოლოდ ნაგებობათა საძირკვლების ამოსაყვანად თუ ხმარობენ და ისიც იშვიათად.

---

[3] ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი. ძველი თბილისის წყალსადენების ისტორიიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 12, თბ., 1958.

თბილისში ხშირად იცის მიწისძვრები. ამას კარგად მოწმობს მიწისძვრების ქრონიკა ბოლო 150 წლის მანძილზე, როდესაც მათზე დაკვირვებამ სისტემატური ხასიათი მიიღო, როგორც თბილისში, ასევე, მთელ კავკასიაშიც. მიწისძვრების შესახებ ცნობა უცხოურ, ძველ წყაროებშიაცაა დაცული. მაგალითად, იტალიელი მისიონერის დიონიჯო კარლის თბილისის აღწერაში ლაპარაკია იმაზე, რომ 1682 წელს 13 თიბათვეს დაახლოებით ღამის 2 საათზე თბილისში მოხდა საგრძნობი მიწისწვრა. მოსახლეობა შიშის ზარმა აიტანა, კაპიტალური შენობები დაზიანდა. მიწისძვრის შესახებ ყველა ცნობისა და მით უმეტეს იმ მიწისძვრის მიხედვით, რომელსაც თბილისში 1682 წელს ჰქონდა ადგილი, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქის ტერიტორიაზე მიწისძვრის სიძლიერე შვიდ ბალს არ აღემატებოდა[1].

ძველი თბილისის იმ უბნის გეოლოგიური დახასიათება, სადაც გათხრები იქნა ჩატარებული შემდეგნაირია: იგი მდებარეობს მტკვრის პირველ ტერასზე; ქვიშაქვებისა და თიხა-ფიქალების მორიგეობაში გამოკვეთილ ეროზიულ ბაქანზე ძევს კენჭნარი, დაახლოებით 2 მ სისქისა, რომელსაც თავზე აძევს უკვე სამიოდე მეტრის სისქის დელუვიური თიხის ფენა. ამ ფენის სისქე საკმაოდ სწრაფად იზრდება ლენინის მოედნისაკენ, სადაც იგი 10 მ აღწევს. ამ ბუნებრივ წარმონაქმნს მოსდევს ნაყარი გრუნტები, რომელიც სხვადასხვა სახის და დროის ნაგებობათა ნაშთებს შეიცავს; მათი სისქე 3,5—4.0 მ უდრის. გრუნტის წყლები ანჩისხატის უბანში ზედაპირიდან 3—7 მ სიღრმეზეა და ძირითადად კენჭნარის ფენასთანაა დაკავშირებული. წყალს შეიცავს აგრეთვე დელუვიონის ქვედა ფენებიც და ამიტომ თიხნარები პლასტიკურია.

---

[1] ამ ძლიერი მიწისძვრის დროს კარგად ნაგებ სამ-ოთხ სართულიან შენობებში ნაპრალები და ბზარები ჩნდება.

თავი მეორე

გათხრების ზოგადი დახასიათება

ერეკლე II სახელობის მოედანი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში ბაღია გაშენებული, მდებარეობს კიროვის სახ. რაიონში.

ბაღიდან მტკვრამდე დაახლოებით 100 მეტრია. ბაღს რუსული ასო „Г“ ფორმის გეგმა აქვს. მისი წაგრძელებული მკლავების სიგრძე თითქმის ერთნაირია და 40 მ უდრის. ბაღში მრავალწლიანი და ახალგაზრდა ხეები დგას. გათხრამდე ბაღის აღმოსავლეთ ნახევარში—კლუმბი, გვერდებზე გაზონები, ხოლო მათ შორის ბილიკები იყო გამართული. ბაღის გარშემო ქვის დაბალ კედლებზე თუჯის მოაჯირია, რომელშიც სამი რკინის კარებია დატანებული: ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში (ტაბ. XIV, სურ. 1).

ბაღს ჩრდილო, აღმოსავლეთ და დასავლეთის მხრიდან ვიწრო ქუჩები ეკვრის, სამხრეთით კი საკუთრივ მოედანი.

ბაღის რელიეფი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დაქანებული და ემთხვევა კიროვის რაიონის ამ ნაწილის რელიეფის ძირითად დაქანებას მტკვრისაკენ. ბაღის ცენტრალური ნაწილის ნიშნულია 400.00 (ტაბ. I). მტკვრის ნარწყულისა კი —მოედნის პირდაპირ—393,00.

მოედანზე უმთავრესად XIX ს. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებია. ერთი ორსართულიანი სახლი, რომელიც ბაღის ჩრდილოეთის ქუჩის გადაღმა მდებარეობს, უფრო ძველია. მას მეფე გიორგი XII დროებით სასახლედ სთვლიან. უძველესი ამ შენობაში მხოლოდ პირველი სართულის ნაწილია. ამ სახლის გვერდით დგას კარის პატარა ეკლესია. წმინდა გიორგის სახელობისა. სანაპიროს გვერდით მდებარეობს რამდენიმე ოთახიანი ერთსართულიანი ძველი ნაგებობა, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში როსტომისეული სასახლის ანსამბლში შემავალ აბანოს წარმოადგენდა, ხოლო 1804 წლიდან 1834 წლამდე ამ შენობაში ზარაფხანა იყო მოთავსებული. აბანოს წინ, მტკვრის ნაპირას იდგა პირველი ქართული სტამბის შენობა[1].

ბაღის აღმოსავლეთით, ქუჩის გადაღმა, საქართველოს მილიციისა და ავტოინსპექციის სამმართველოების 4 სართულიანი შენობა დგას. ეს ნაგე-



სურ. 1.

[1] ო. ტყეშელაშვილი, თ. ბერიძე, სად იყო პირველი ქართული სტამბის ადგილსამყოფელი თბილისში, გაზ. „თბილისი“, № 226, 1959 წ. 24 სექტემბერი.

ბობა XIX ს. პირველ ნახევარშია აგებული. როგორც ცნობილია, ამ ადგილას იდგა ქართლის მეფეების ის შესანიშნავი სასახლე, რომელიც როსტომ მეფემ ააგო XVII ს. ორმოციან წლებში.

როგორც ამის შესახებ აღვნიშნეთ, ერეკლე II სახელობის მოედნის ბაღში გათხრები 1956 წლის ბოლოს ნოემბერ-დეკემბერში და 1957 წლის პირველ ნახევარში იანვარ-მაისამდე წარმოებდა. 1956 წელს გათხრილ იქნა ბაღის აღმოსავლეთი ნახევრის დასავლეთი, ხოლო 1957 წელს იმავე უბნის აღმოსავლეთი ნაწილი. ამ სამუშაოების შედეგად გათხრილი ფართობის გეგმამ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა მიიღო, ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთი კედლების მცირე შვერილებით.

ამ ქვაბულის ზომებია: სიგრძე 22 მ. სიგანე — 15 მ. ხლო სიღრმე—3,5 მ. ქვაბულის სიღრმე ი ადგილებში, სადაც გრუნტში ამოთხრილი ორმოები აღმოჩნდა 8 მ-დე დავიდა. 1956 წლის გათხრების შედეგად ამოყრილი მიწა დაზვინულ იქნა ქვაბულის გარშემო და თითქმის მთელი ბაღის ტერიტორია დაიკავა. ამიტომ 1957 წელს გათხრების დაწყებამდე ჯერ მიწით შეივსო 1956 წელს ამოთხრილი ქვაბული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი ახალი ფართობის გათხრა. ამრიგად, მთელი უბნის გათხრა ბაღში ორჯერ წარმოებდა, მაგრამ გათხრების ასეთ წესს ძეგლების აზომვაში შეუსაბამობა არ გამოუწვევია. ეს იმით აიხსნება, რომ გათხრების დროს ძეგლების სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება გეგმაში, ინსტრუმენტალურად სწარმოებდა, ნიველირითა და თეოდოლიტით.

გათხრები ფენა-ფენა წარმოებდა. ნაგებობათა ნაშთების მექანიკურ პრეპარაციას ყოველთვის წინ უსწრებდა ტერიტორიის ცოცხით დაგვა. ამით ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო ძეგლის ადვილად შლადი ნაწილების დაუზიანებლობა და აგრეთვე გრუნტის ორმოების კვალის დადგენა.

სამუშაო უბნებზე გათხრების დროს მეტად რთულ ოპერაციას წარმოადგენდა ერთმანეთთან ხშირად ძალზე ახლო მდებარე სხვადასხვა ორმოს ოხრა-ამოწმენდა. ამ ოპერაციებს ტექნიკური პერსონალი და მუშები უმთავრესად პატარა წერაქვებით, დანებით და სხვა სპეციალური ინსტრუმენტებით ახორციელებდნენ.

გათხრების დროს სისტემატურად წარმოებდა აგრეთვე განათხარი ძეგლების ფოტოფიქსირება. 1956 წელს გადაღებულ იქნა 300 კადრი, ხოლო 1957 წელს—350 კადრი, სულ—650 კადრი.

იმისათვის, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო აღმოჩენილი მასალის დოკუმენტაცია, ეტიკეტების შედგენა და საკმაოდ დიდ კოლექციაში მათი მონახვა, გათხრილი ფართობი გზა და გზა ცალკე ქვეუბნებადაც იქნა დაყოფილი. ასეთი უბნები 1956 წელს რვა იყო, ხოლო 1957 წელს—ხუთი (სურ. 1).

ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში 1956 წელს ჩატარებული გათხრების დროს 1769 ნივთი აღმოჩნდა, ხოლო 1957 წელს—2052 ნივთი. ეს ნივთები გზა და გზა გაირეცხა, გაიწმინდა და გატარდა საველე წიგნებში. ამის შემდეგ, მთელი მონაპოვარი კლასიფიცირებულ იქნა ნივთთა ცალკე ჯგუფების მიხედვით. ბოლოს აქედან გამოიყო მთელი მონაპოვრის დაახლოებით ერთი მერვედი ნაწილი, რომელიც რესტავრირებულ-გამაგრებული იქნა. ამ მერვედ ნაწილში შევიდა: თიხის მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭელი, ფაიანსისა და მინის ნივთები, ძვლის, ბრინჯაოსა და ძვლის იარაღ-სამკაული.

ნივთები დავთრებში ცალცალკეა გატარებული. აღმავალი ნომრების მიხედვით, 1956 წ. გათხრებით აღმოჩენილი მასალა დანომრილია შემდეგი ინდექსით—„შ—1—56" და ა. შ., ხოლო 1957 წლის—„ბ—1—57" და ა. შ. ასო „შ" ნიშნავს შავთელას ქუჩას, ხოლო „ბ"—ბაღს. ასოს შემდეგ მომდევნო რიცხვი ნივთის ნომერია, ხოლო ბოლო რიცხვი გათხრების წელს აღნიშნავს.

შრომაში დართულ გეგმებში და ჭრილებში ორივე წლის თხრის შედეგებია გაერთიანებული. ქვევით მათი აღწერაა ფენების მიხედვით წარმოდგენილი.

გათხრილ მოედანზე ოთხი ფენა აღმოჩნდა. ყველა კულტურული ფენის მინერალური ნაწილის შემადგენლობა თითქმის ერთნაირია. ძირითადად ისინი მოყავისფრო თიხებს წარმოადგენენ, რომელშიაც სხვადასხვა რაოდენობით გვხვდება: რიყის ქვები, ქვიშაქვის და აგურის ნატეხები და რაც მთავარია, სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთები, უმთავრესად, თიხის ჭურჭლის ნატეხები. დაახლოებით ასეთივე ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ხასიათდება აგრეთვე დელუვიურ ლიოსისებრივ თიხნარებში ამოჭრილი ორმოების ნაყარი გრუნტის შევსებაც. განსხვავება ამ შევსებასა და ძირითად კულტურული ფენების გრუნტებს შორის ის არის, რომ ორმოებში მიწა უფრო მოჟანგისფროა და ზე-

დაპირიდან 5—8 მ სიღრმეზე თიხა უფრო პლასტიკურია (თითქმის ტალახს წარმოადგენს). კულტურულ ფენებში შეიმჩნეოდა აგრეთვე ნაყარი გრუნტის ფენის ცვლა იმ შემთხვევაში, როდესაც მას ნაცარი ერია ხოლმე (კერასა თუ თონესთან სიახლოვის შედეგად). დანგრევას გადარჩენილ თონის ძირზე თითქმის ყველგან იყო ნაცრის თხელი ფენაც. კულტურულ ფენებში აქა-იქ გვხვდებოდა ხის ნახშირის ნატეხებიც.

როგორც ამის შესახებ ზევითაც აღვნიშნეთ, ძირითადი კულტურული ფენების სისქე 3—3,5 მ უდრის. ამ ფენებში აღმოჩნდა სხვადასხვა დროის ნაგებობათა ნაშთები, უმთავრესად ნაგებობათა საძირკვლების ფრაგმენტები.

ამ ფრაგმენტების განლაგება სხვადასხვა სამშენებლო დონეზე ისეთია, თითქოს უფლება გვაქვს წინასწარვე დავუშვათ, რომ ისინი ნახევრად მიწურ ნაგებობათა ნაშთებს ეკუთვნოდნენ. აქედან იმ ზოგადი და წინასწარი დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ ყველაზე უძველესი ნაგებობის საძირკვლის დონე თანამედროვე ზედაპირიდან 2,5—3,5 მ სიღრმეზე უნდა ყოფილიყო განლაგებული. ყოველ მომდევნო საამშენებლო ეტაპზე კი, თანდათან რჩებოდა საძირკვლის ქვემ კულტურული ფენის ნაწილი წინარე პერიოდისა, რომელიც ყოველთვის თხელი იყო და ყოველი შემდგომი მშენებლობა მას არღვევდა. ჩვენი დაკვირვებით, დაახლოებით თითეტი საუკუნის მანძილზე კულტურული ფენების სისქის ნაზარდი 1, 5 მ არ აღემატება. მშენებლობის ფენა კი — საშუალოდ ყოველთვის ორი მეტრის სიღრმეზე მეტს არ დადიოდა. წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტიც: კულტურული ფენები ზოგჯერ დარღვეულია. აგრეთვე იმ დროს, როდესაც ორმოები ამოუთხრიათ. ამის შედეგად. უძველესი ფენის დამახასიათებელი ზოგიერთი ნივთი ზედა ფენაშია მოხვედრილი და პირუკუ. ამიტომ მონაპოვრის ჭრონოლოგიურად დაჯგუფება-დახასიათების დროს ამ გარემოებას უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს. ჭრონოლოგიის თვალსაზრისით უკეთეს შედეგებს იძლევა ორმოებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა, უფრო მყარი დასკვნების გამოტანის საშუალებას კი—განათხარი უბნების სტრატიგრაფიული მონაცემები, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ძეგლების ერთმანეთზე მკაფიო განლაგებას (მაგალითად: კედელი ორმოს თავზე, ორმოზე ორმო, თონეზე ორმო და სხვ.). აქვე უნდა შევნიშნოთ: ზოგჯერ შეიძლება ისეთი შემთხვევა იყოს, როდესაც ადრეული ნაგებობის საძირკველი ან რომელიმე მისი ნაწილი, ხელახლა იყო გამოყენებული ამ ადგილას სხვა ნაგებობის აშენების დროს.

ამ გარემოებასაც, ცხადია, უეჭველად უნდა ვაეწიოს ანგარიში ნაგებობათა ნაშთების დათარიღების დროს.

თავი მესამე

გათხრილი ფენების აღწერილობა

როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე მეორე სახ. მოედანზე მდებარე ბაღში 1956—1957 წწ. ჩატარებული გათხრების დროს ოთხი კულტურული ფენა აღმოჩნდა:

პირველი ფენა ყველაზე გვიანდელ წარმოქმნას წარმოადგენს. მისი სისქე 1.0—1.5 მ უდრის. ამ ფენაში ნაგებობათა ნაშთები არ აღმოჩნდა: ფენა არაერთგვაროვანი თიხა-თიხნარიანი გრუნტითაა წარმოდგენილი, რომელშიც ბაღის „ბილიკების" ადგილას, ქართული აგურის ნატეხების სხვადასხვა სიდიდის გროვებია „ჯიბეების" სახით. ეს ნაყარი გრუნტები ჯერ მოედნისა და მერე ბაღის ტერიტორიის ზედაპირის მოსწორების შედეგადაა გაჩენილი. ამ ფენაში, აგურის ნატეხების გარდა, მინის, თიხისა და ფაიფურის თანამედროვე ჭურჭლეების მცირე ნატეხებიცაა. XIX—XX სს. მონეტებთან ერთად. ამ მონაცემების მიხედვით, ფენა XIX—XX სს. თარიღდება.

მეორე ფენა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებს შეიცავს. მისი სისქე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაა; ზოგიერთი ნაგებობის საძირკვლის ადგილას ფენის ფუძის დონე 397.00 ნიშნულამდე დადის, ე. ი. ზედაპირიდან 3.0 მ სიღრმეზე. ამ ფენაში ხუთი სხვადასხვა ნაგებობის ნაშთი აღმოჩნდა. I და II ნაგებობის ნაშთები განლაგებულია გათხრილი ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, III ნაგებობისა—სამხრეთ-დასავლეთით, IV და V ნაგებობისა კი — სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. პირველი ოთხი ნაგებობის ნაშთი შენობებისაა, ხოლო მეხუთე ნაგებობა კერამიკული წყალსადენის გამახაწილებელის დუღაბის მასივის ნაშთს წარმოადგენს (ტაბ. II, V, VI, VII).

აღნიშნულ ნაგებობათა ნაშთების ზომები, მათი საძირკვლების ნიშნულები და დამახასიათებელი სხვა მონაცემები № 1 ცხრილშია მოცემული.

ნაგებობის საძირკვლის ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ I სათავსოს ფართობი 27 კვადრატული მეტრია, ხოლო II ნაგებობისა — 16 კვ. მ უდრიდა. მათი საძირკვლები ამოყვანილი ყოფილა რიყის ქვითა და აგურის რიგებით თიხის ხსნარზე. ორივე ნაგებობის საძირკველი ერთ დონეზეა დაშვებული (398.00); მათი სიღრმე საშუალოდ 0.5—0.9 მ უდრის. (I ნაგებობისა — 0,8—0,9 მ, ხოლო მეორე ნაგებობის—0.5—0,7 მ).

გათხრებით დადგენილ იქნა, რომ პირველი ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით კუთხეში თონე მდგარა, რომლის დიამეტრი 0.7 მ უდრიდა. ამ ნაგებობის დასავლეთი ნახევარი არ გათხრილა და ამიტომ მისი შესასვლელი არ ჩანს. მეორე ნაგებობას კარი სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა, რადგანაც მის პირდაპირ ნატეხი აგურითა და რიყის ქვით მოფენილი დერეფნის იატაკი აღმოჩნდა, ზედაპირიდან 1,8 მ სიღრმეზე (ნიშნული დაახლოებით 398,50). თუ ასეთი დაშვება სწორია, მაშინ ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე ამ სათავსოსა და მესამე სათავსოს შორის დიდი ბრტყელი აგურებითა (30×30) და რიყის ქვებით მოფენილი იატაკიც. მეორე დიდი დერეფნის ნაშთებია (ნიშნული 398.50).

მესამე სათავსოს (ნაგებობის) ფართობი, დაახლოვებით 52 კვ. მ უდრის. სათავსოს შიგნით, სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთი კედლების გასწვრივ, ცალპირი აგურია ერთრიგად დაწყობილი, ხოლო გარშემო, რიყის ქვების წყობაა, რომელშიაც საძირკვლის სიგანე არა ჩანს. აგურისა და რიყის ქვების წყობის ზედაპირის ნიშნულები თითქმის იგივეა, რაც მის წინ მდებარე დერეფნის იატაკისა (ნიშნ. 398,60. ტაბ. XIV, სურ. 2). ამ დიდი სათავსოს სამხრეთი კედლის საძირკვლის ახლოს აღმოჩნდა მრგვალი კვეთის თონე, რომლის დიამეტრი

მეორე ფენასთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთები

ნაგ. №№	უბანი	ნაგებობათა შიდა ზომები მეტრობით	წყობის ხასიათი	ქვის წყობის ზედაპირის ნიშნულები და სისქე			კედლის სიგანე მეტრობით	თონის დიამეტრი და ძირის ნიშნულები		დაფიქსირების ნიშნულები
				ზედა	ქვედა	სისქე		დიამეტრი მ-ში	ძირის ნიშნულები	
I	ჩრდილო-დასავლეთი	4,1 ×6,5	რიყისა და ნატეხი ქვის წყობა თიხაზე	398,83 398,98	398,00 398,00	0,83 0,93	ჩ. 0,9 ა. 1,00	0,7	398,50	
II	ჩრდილო-დასავლეთი	3,2 ×5,2	რიყის ქვისა და აგურის წყობა თიხაზე	398,50 398,70	398,00 398,00	0,50 0,70	ჩ. 1,00 დ. 1,00	0,5	398,50	398,52 398,52 შიდა დერეფანი 398,03
III	სამხრეთ-აღმოსავლეთი	6,25×8,3	რიყის ქვის წყობა თიხაზე. შიგნით ერთი პირი აგურის ფენა. წყობა ასევე თიხაზე	დ 398,85 ს 398,60 ს 398,60 ჩ	398,75 398,20 - 397,80	0,10 0,20 0,80	დ. 2,5 (?) ს. 2,0 (?) ა. 1,5	0,7	398.00	398,10 შიდა დერეფანი 398,00
IV	სამხრეთ-აღმოსავლეთი	?×12,73	რიყის ქვის ნატეხი ქვისა და აგურის რიგები	398,48 ა 398,66 ს	397,04 397,02	1,44 1,64	ჩ. 1,10 ა. 0,80	0.36	397.36	
V	სამხრეთ-აღმოსავლეთი	მასივის მაქსიმალური ზომები 4.4×1,5	კირის ხსნარზე წყალსადენის მასივი, რიყის ქვა კირზე. წყლის აუზები, აგური კირზე.	398,48 398,50 398,50	397,02 398,00 396,95	1,44 0.5 1,65	ს. 1,00			

*) „დ"—დასავლეთ კედელს აღნიშნავს, „ჩ"—ჩრდილოთ კედელს და ა. შ.

0.7 მ უდრიდა და სამი ცილინდრული სექციისაგან შედგებოდა (ტაბ. XIV, სურ. 4). შეიძლება ეს ნაგებობა ხისა იყო და სპეციალური საძირკვლები არ ჰქონდა ამოყვანილი, ხოლო მის გარშემო მდებარე რიყის ქვის სხვადასხვა სისქის ნაშთები, საძირკვლისა კი არა, ქვაფენილის ბილიკების ნაშთები იყოს.

ამ ნაგებობებთან უნდა იყოს დაკავშირებული მეორე ნაგებობის აღმოსავლეთით აღმოჩენილი რიყის ქვაფენილის ორი ფრაგმენტიც. ეს ფრაგმენტებიც აღმოსავლეთით მიმართული ბილიკების ნაშთები უნდა იყოს (ნიშნ. 398, 10, ტაბ. XVI, სურ. 3, ტაბ. XVII, სურ. 2).

მესამე ნაგებობის აღმოსავლეთით მდებარეობს კერამიკული წყალსადენის გამანაწილებლის დუღაბის მასივი (ტაბ. XVI, სურ. 6). მას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვს, რომელიც სამხრეთ ნაწილში ორადაა გაჭრილი და დასავლეთისაკენ უხვევს. ეს მასივი წარმოადგენს რიყის ქვების წყობას კირის ხსნარზე. ამ მასივის ჩრდილო ოთხკუთხა ნაწილში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრივ, ოთხკუთხა აუზების ძირის კვალია მხოლოდ გადარჩენილი — ერთი პირი აგურის წყობის ფრაგმენტების სახით. გარდა ამისა, დუღაბში ჩაკირულია კერამიკული მილებისაგან შედგენილი წყალსადენის ორი შტო. ერთი მათგანი ქვის ორ აუზს შორის გადის და მთავრდება დუღაბის მასივის ჩრდილო შვერილზე, მეორე კი — აღმოსავლეთისაკენ უხვევს. წყალსადენის ეს ორივე ხაზი იწყება მასივის სამხრეთ უბანზე, სადაც დასავლეთისაკენ მიმართული წყლის ნაკადის კერამიკული მილი პატარა თანგირით მთავრდება, იქვე იწყება კერამიკული მილების ორი ხაზის სათავე, ასევე პატარა თანრიგებით (ტაბ. XVII, სურ. 1).

წყალსადენის ამ კვანძში წყლის ნაკადის ორი მიმართულებით განაწილება შესაძლებელია მხო-

10624

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ თანგირები აქ მოთავსებული იყო ქვის სპეციალურ აუზში. ასეთი დაშვების გარეშე წყლის ნაკადის განაწილება შეუძლებელია, მაგრამ დუღაბის ზედაპირზე ამის კვალი არ ჩანს.

დუღაბის მასივს საკმაოდ დიდი სისქე (ერთ მეტრამდე) მხოლოდ ჩრდილო ნაწილში ჰქონდა, სამხრეთ ნახევარში კი — 0,3-0,5 მ. დუღაბის აღების დროს კერამიკული წყალსადენის კიდევ ერთი — დასავლეთი შტო აღმოჩნდა. იგი მთლიანად ჩაკირული იყო და დახშული. ეს წყალსადენი მასივის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ მოზრდილი, ქვევრის ტიპის თანგირით მთავრდებოდა. ჩანს, აქ ორი სხვადასხვა დროის წყალსადენის განმანაწილებელთან გვაქვს საქმე. ერთის დახშობის შემდეგ იმავე ადგილას მეორეა გამართული და ამიტომ დუღაბის მასივიც ხელახლაა გამოყენებული.

ზემოთ აღწერილი ნაგებობის საძირკვლის ზედაპირისა და დერეფან-ბილიკების ნიშნული დაახლოებით 398.00—398.50-ს უდრის. ზედა საზღვრის ნიშნულით ხასიათდება აგრეთვე წყალსადენის საფუძვლის მასივის ზედაპირიც. ეს გარემოება და აგრეთვე ნაგებობათა გეგმაში განაწილება და მათი საძირკვლების ურთიერთ განლაგება ვერტიკალურ ჭრილში, უდავო საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ეს ოთხი ნაგებობა ერთი პერიოდისა იყო (ტაბ. II, ტაბ. XV, სურ. 5, 6).

გათხრების ჩრდილო უბანზე კერამიკული წყალსადენის მეორე შტოც აღმოჩნდა; იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, ე. ი. აწიხდელი მილიციის სამმართველოს შენობისაკენ, სადაც, როგორც ქვევით იქნება ნათქვამი, მეფეთა სასახლეები მდებარეობდნენ. ეს წყალსადენი უსათუოდ მთავარი იყო, რადგანაც იგი განუწყვეტლივ აწვდიდა წყლის ნაკადს სასახლეს (ტაბ. II, ტაბ. XVI, სურ. 2, 4).

მეორე ფენის მეხუთე ნაგებობის ნაშთები წყალსადენის განმანაწილებლის უბანზე მდებარეობს. აქ მისი მხოლოდ სამი ფრაგმენტია წარმოდგენილი. ერთი მდებარეობს ჩრდილო ნაწილში მთელანს გვერდით, მეორე ქვაბულის აღმოსავლეთ კედელთან, ხოლო მესამე—სამხრეთ ნაწილში. ისინი ამ ფენის ყველაზე უადრესი ნაგებობის კედლებისა და მათი საძირკვლების ნაშთებს წარმოადგენენ, რომლებიც ამოყვანილია რიყის ქვით და ნატეხი ქვიშაქვებისაგან, აგურის რიგების მონაცვლეობით კირის ხსნარზე. ამ მცირე ნაშთების მიხედვით რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა ნაგებობის რაობის შესახებ შეუძლებელია. ცხადია, მხოლოდ, რომ ისინი უნდა წარმოადგენდნენ ნაგებობათა ქვედა სართულების ნაშთებს. ქვაბულის აღმოსავლეთ კედელთან მდებარე ნაშთების მიხედვით იმის თქმაც შეიძლება, რომ აქ პატარა სათავსოც ყოფილა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია გადარჩენილი.

ამ ნაგებობათა ნაშთების ზედაპირი ან წყალსადენის მასივის ზედაპირის დონეზეა ან მის ქვეშაა განლაგებული (ტაბ. XVIII, სურ. 2). ამით კი მტკიცდება, რომ ისინი უფრო ადრეულები არიან, ვიდრე წყალსადენის განმანაწილებელი და, მაშასადამე, ამ პერიოდის ყველა სხვა ნაგებობების ნაშთებიც გათხრილი ობიექტის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო უბანზე.

II ფენის უძველესი ნაგებობის ნაშთების დახასიათებისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო კედლის ფრაგმენტის მახლობლად მრგვალი კვეთის (დმ. 0,36 მ). გამომწვარი თიხის პატარა თონე აღმოჩნდა, რომლის პირი რელიეფური სარტყელით იყო შემკული. თონეს ძირზე გაკეთებული ჰქონდა საბერველი—კერამიკული მილისაგან (ტაბ. XVII, სურ 4,5). მსგავსი თონე (დმ. 0,5) აღმოჩნდა მეორე ნაგებობის ნაშთების გარეთ, ჩრდილო უბანზე (ტაბ. XV, სურ. 3).

ამავე მეორე ფენასთანაა დაკავშირებული აგრეთვე ექვსი მრგვალი ორმო (1, 2, 5[1], 28, Б—2[1] და 22[1]) (ტაბ. II, V, VI, VII, VIII, IX).

პირველ და მეორე ფენაში XV—XX სს. მრავალი მონეტა აღმოჩნდა (იხ. ტაბ. XI[1]).

ამ მონეტების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, იმ ზოგადი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში 1956—1957 წწ. გათხრილი პირველი და მეორე ფენა XV—XX სს. ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ უფრო კონკრეტული თარიღები გვაინტერესებს.

ცხადია, პირველ და მეორე ფენაში აღმოჩენილი ყველა მონეტა არ გამოდგება ნაგებობათა ნაშთებისა თუ ცალკე ფენების დასათარიღებლად. მაგ., მონეტა № 852—56, ნიშნ. 398, 85, XIX ს. I მეოთხედისაა. იგი I ნაგებობის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა. XIX ს. აქ არავითარი ნაგებობის მშენე-

---

[1] მონეტების ნორმები ყველგან ს/წ. მიხედვითაა წარმოდგენილი. გეგმებზე რომაული ციფრით აღნიშნულია მონეტის თარიღი, მნიშვნელში—მონეტის ნომერი, მრიცხველში—ტოპოგრაფიული ნიშნული.

მესამე ფენასთან დაკავშირებული ორმოები ცხრილი 2

№№ რიგზე	ორმოს №№	ორმოს ზედაპირის ნიშნული	ორმოს ძირის ნიშნული	ორმოს დიამეტრი მეტრობით	სიღრმე მეტრობით	კედლის ხასიათი	გრუნტი ორმოს ძირზე
1	1[1]	397,14	393,17	1,00	4,00	—	თიხა
2	2[1]	396,75	395,15	0,90	1,60		თიხა
3	3	396,30	392,00	1,00	4,30	მომწვარი	თიხა
4	9	396,38	394,48	1,00	1,90	მომწვარი	თიხა
5	10	396,38	392,38	1,00	4,00	მომწვარი	ხრეშის ქვიშით
6	12	396,56	392,76	1,00	3,80	მომწვარი	ხრეშის ქვიშით
7	14	396,44	392,44	1,0	4,00	მომწვარი	წყლის შემცველი ქვიშა
8	18	397,13	395,63	1,0	1,50	მომწვარი	თიხა
9	22	396,86	393,96	1,0	2,90	—	თიხა
10	K—1	397,89	395,09	1,25	2,80	აგურით მოპირკეთებული	აგური

ბლობა არ ყოფილა. ამიტომ უნდა დაუშვათ, რომ აღნიშნული მონეტა I ნაგებობის დანგრეულ ნაშთებზე მოედნისათვის მიწის მოსწორების დროს მოხვდა.

მაგრამ მონეტების დიდი ნაწილი სრულიად გამოსადეგია პირველი და მეორე ფენის თუ ამ ფენებში აღმოჩენილი ძეგლების დასათარიღებლად. მაგ., მონეტები №№ 1689—57 და 707—57. პირველი XVI ს. თურქული აყჩაა; იგი აღმოჩნდა სამხრეთ უბანზე, წყალსადენის გამანაწილებლის მასივის ქვეშ. მეორე მონეტა კი ერეკლე მეორეს დროსაა მოჭრილი — 1765 წ. იგი აღმოჩნდა წყალსადენის მასივის სამხრეთ განშტოებათა შორის, მიწის შევსებაში (ნიშ. 398,47). აქედან დასკვნა: წყალსადენი აგებულია XVI ს. შემდეგ და არა უგვიანეს XVIII ს. დასასრულისა.

მეორე ფენის ნაგებობათა საძირკვლების ზედაპირის დამახასიათებელი ნიშნულია: 398,50. ამ ნიშნულის ქვევით, გრუნტში აღმოჩენილია XVII ს. ოთხი მონეტა (ს/წ, № 978—56, ნიშნ. 398,15; № 979—56, ნიშნ. 397,30; № 252—57, ნიშნ. 398,30 და № 706—57, ნიშნ. 398,04).

ამრიგად, ამ მონეტების მიხედვითაც შეიძლება გამოვიტანოთ კიდევ ერთი დასკვნა: მეორე ფენის გვიანი ნაგებობების ნაშთები XVII—XVIII სს. თარიღდება. გარდა ამისა, მონეტების მიხედვით თარიღდება აგრეთვე მეორე ფენის ის ნაწილიც, რომელიც წყალსადენის ქვეშ მდებარეობს და 5 ნაგებობის ნაშთებს შეიცავს. მისი ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი XV—XVI სს. უნდა იყოს, რადგანაც ფენის ქვედა ჰორიზონტის ღრმა ორმოებში (№ 1 და № 5, ტაბ. XV, სურ 2) XV ს. მონეტები აღმოჩნდა (ს/წ. №№ 1256—56 და 1423—56).

ამრიგად, ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში ჩატარებული გათხრების დროს პირველ და მეორე ფენაში აღმოჩენილი მონეტების მიხედვით შეიძლება საბოლოოდ დავასკვნათ, რომ პირველი ფენა XIX—XX სს. ეკუთვნის, ხოლო მეორე ფენა—XV—XVIII სს.

ვფიქრობთ, მეორე ფენის ნაგებობათა ნაშთების დათარიღებისას ქართული კვადრატული აგურის ზომებიც გამოგვადგება. ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაგებობებში ძირითად სამშენებლო მასალად გამოყენებულია 21×21 სმ ზომის ქართული აგური. მეხუთე ნაგებობის ნაშთებში კი—22×22 ან 23×23 სმ ზომის ქართული აგურები. ეს ფაქტი, ჯერ ერთი იმას მოწმობს, რომ ყველა ზემოთხსენებული პირველი ოთხი ნაგებობა დაახლ. ერთი დროისაა. ხოლო მეორეც იმას, რომ ქვედა ნაგებობის ნაშთები უფრო ძველია ზედა ნაგებობის ნაშთებზე. როგორც აღვნიშნეთ ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე ორი ძველი ნაგებობაა: ბაღის ჩრდილოეთით — გიორგი XII დროებითი სასახლე, რომლის მხოლოდ ქვედა, (პირველი) სართულია ძველი და მეორე—ბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკვრის სანაპიროზე, როსტომ მეფისეული სასახლის ანსამბლში შემავალი აბანო. გიორგისეულ სასახლეში ძირითად სამშენებლო მასალად 21×21 სმ ზომის ქართული აგურია გამოყენებული, ხოლო აბანოში—(ძველ ნაწილში)—22×22 და 23×23 სმ ზომის აგური. მაშასადამე, ესეც ერთ საბუთს წარმოადგენს იმის სასარგებლოდ, რომ მეორე ფენაში აღმოჩენილ ზედა ნაგებობათა ნაშთები XVIII ს., ხოლო ქვედა ნაგებობათა ნაშთები—XVII ს. ეკუთვნის. სხვათაშორის, ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქ-

ტიც, რომ ზემოთხსენებული აბანოსა და სასახლის კედლების წყობა და ქვა-აგურის დამაკავშირებელი ხსნარები იდენტურია განათხართან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლის მეფემ როსტომმა აწინდელ ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე, მტკვრის ნაპირას, XVII ს. ორმოციან წლებში ააგო სამეფო სასახლე. ვფიქრობთ, ამ მოედანზე 1956—1957 წწ. გათხრებით აღმოჩენილი XVII—XVIII სს. ნაგებობათა ნაშთები როსტომისეულ სამეფო სასახლის ანსამბლში შემავალ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებს წარმოადგენენ, რომლებიც სასახლის დასავლეთით, მისგან 20 მ დაშორებით მდებარეობდნენ. ამ სამეურნეო ნაგებობებში ჩვენ ვგულისხმობთ: დიდ სათონეს (ნაგებობა № 3) ,საკუჭნაოს (ნაგებობა № 2), სამზარეულოს (ნაგებობა № 1). და წყალსადენს (ნაგებობა № 4). ჩვენ ვფიქრობთ, აგრეთვე, რომ სამეფო სასახლის წყალსადენი, თავისი უნიკალური გამანაწილებლის საშუალებით, დასავლეთი ტოტით წყალს აწვდიდა ზემოთხსენებული სამეურნეო ნაგებობებს, ხოლო მეორე ტოტით—იმ შადრევანს (შეიძლება დროებით მომქმედს), რომელიც პლ. იოსელიანის აღწერილობით, სასახლის წინ იდგა. გამორიცხული არ არის იმის ვარაუდიც, რომ იმავე მეორე ტოტით სასახლე სასმელი წყლითაც მარაგდებოდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს უნდა ეკუთვნოდეს, აგრეთვე, მეორე ფენის ქვედა ჰორიზონტის ნაშთებიც, რომლებიც როსტომის მეფობის პერიოდს, უფრო სწორად, XVII ს. უნდა დაუკავშიროთ. აქ წყალსადენიც ყოფილა გამართული. ხოლო წყალსადენის გვერდზე — ღრმა ჭა. გათხრების დროს ამ ჭაში კირით შელესილი ქართული აგურები აღმოჩნდა (უდავოდ კედლის ფრაგმენტებია), რომელთა ზედაპირზე სხვადასხვა ბარელიეფები იყო დატანილი. ეს ოქროსფრად შეღებილი კედლის ფრაგმენტები ზუსტ ანალოგს პოულობენ კედლის იმ მხატვრობაში, რომელიც როსტომისეული სასახლის ანსამბლში შემავალ აბანოშია ფიქსირებული (მათი ესტამპაჟები დაცულია ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჭაში აღმოჩენილი კედლის მოხატულობის ფრაგმენტები როსტომისეული სასახლისაა. ამ ფრაგმენტების ჭაში აღმოჩენის ფაქტი კი, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ როსტომისეული სასახლის გარკვეული ნაწილი რაღაც მიზეზის გამო, ალბად, მტრის შემოსევის შედეგად დანგრეულა. შესაძლებელია ეს მოხდა 1723 წ. კონსტანტინეს მიერ დაჭირავებული ლეკთა ჯარით თბილისის აღებისა და დარბევის დროს. ყოველშემთხვევაში, სასახლის ნაწილი უნდა დანგრეულიყო მას შემდეგ, რაც იგი ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა ნახა 1673 წელს. ამ სასახლის აღდგენა-გაფართოება მეფე ერეკლე მეორეს სახელთან არის დაკავშირებული. ერეკლე მეორის მეფობის უკანასკნელ წლებშივე იქნა ეს სასახლე საბოლოოდ დანგრეული, აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ. თბილისის აოხრების დროს.

მესამე ფენა ნაგებობათა ნაშთებით (ტაბ. XIV, სურ. 3), მათი შესატყვისი კულტურული ფენებითა და ღრმა ორმოებითაა წარმოდგენილი (ტაბ. III, ტაბ. XV, სურ. 4). ამ ფენის სისქე გათხრილი უბნის სხვადასხვა ადგილებში მეტად ცვალებადია. იმ ადგილებში, სადაც იგი მეორე ფენის ნაგებობათა ნაშთებით ნაკლებადაა დაზიანებული (მაგ. III, V თხრილების დასავლეთ ნახევარში), მისი სისქე 1.5—1,7 მ აღწევს; საერთოდ კი, ფენის საგები სიბრტყის ნიშნულები თითქმის ერთნაირია და 397,00 უდრის. ამ ფენის ორმოების სიღრმე ზედაპირიდან 8 მ ჩადის, ე. ი. ზღვის დონიდან 392,00 ნიშნულზე (ტაბ. III, V, VI, VII).

მესამე ფენა ზოგადად XI—XIV სს. თარიღდება. ამავე პერიოდისაა აგრეთვე 10 ღრმა ორმოც (№№ 1¹, 2¹, 3, 9, 10, 12, 14, 18, 22 და აგურის К—I ორმოს ზედა ნახევარი). ამ ორმოების თარიღის დადგენას ქვემოთ შევეხებით, როდესაც ძეგლის სტრატიგრაფიას და არქეოლოგიური მონაპოვრის აღწერას მოვიტანთ, ეხლა კი დავკმაყოფილდებით მხოლოდ მათი ზოგადი დახასიათებით (იხ. ცხრილი № 2).

მესამე კულტურული ფენის მინერალური ნაწილი მოყვითალო თიხნარებითაა წარმოდგენილი, რომელიც რიყის ქვებს, აგურისა და კრამიტის ნატეხებს და აგრეთვე სხვადასხვა არქეოლოგიურ ნაშთებს, უმთავრესად, კერამიკული ჭურჭლის ნატეხებს შეიცავს. ღრმა ორმოებში ამ ფენის ძირითად თიხოვან მასას ჟანგის ფერი გადაკრავს (უფრო მეტად იმ ორმოებში, რომლებსაც დელუვიური თიხნარის კედლები მომწვარი აქვს). ინტერესმოკლებული არ არის აქვე ისიც აღინიშნოს, რომ № 1¹ და 2¹. ორმოებში თიხოვან გრუნტთან ერთად დიდი რაოდენობით გვხვდება გამომწვარი კირის უფორმო ნატეხებიც. ამ საამშენებლო მასალაში

მესამე ფენასთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთები

ნაგებობათა ნაშთების №№	კედლის ზომები მ-ბით			ნიშნულები		კედლის წყობის დახასიათება	მონეტის პოვნის ადგილი კედლის წყობის მიმართ	მონეტის დათარიღება
	სიგრძე	სისქე	სიგანე	ზედა	ქვედა			
წყობა „ № 12	1,25	0,28	1,00	397,49	397,21	რიყის ქვა თიხაზე		
„ № 13	2,50	0,24	0,95	397,74	397,50	„		
„ № 9	3,25	0,44	0,90	397,64	397,20	ნატეხი ქვა და რიყის ქვა თიხაზე		
„ № 10	3,00	1,03	0,90	398,23	397,20	რიყის ქვა თიხაზე და ქვემოთ ნატეხი ქვა თიხაზე		
„ № 7	7,50	0,20	0,55	398,00	397,80	რიყის ქვა თიხაზე	კედლის თავზე XIV ს. მონეტა— № 1372, ნიშ. 398,30	მონღოლური
„ № 8	7,50	0,20	0,95	398,20	398,00	რიყის ქვა თიხაზე	კედლის ქვეშ IX—X სს. მონეტა — № 1192, ნიშ. 396'77	არაბული
„ № 11	3,30	0,33	0,60	398,10	397,77	რიყის ქვა თიხაზე		
„ № 14	2,90	0,47	0,60	397,67	397,20	ნატეხი ქვა თიხაზე		
„ № 15	5,00	—				რიყის ქვა თიხაზე		
„ № 16	1,20	0,42	0,55	397,45	397,03	რიყის ქვა თიხაზე	კედლის ახლოს XII ს. მონეტა— № 705, ნიშ. 397,84	დემეტრე I (1125—1156)
„ № 17	1,10	0,50	0,55	397,45	397,95	ნატეხი ქვა თიხაზე		
„ № 18	0,70	0,60	—	397,52	396,95	ნატეხი ქვა თიხაზე		
„ № 6	6,00	0,25	0,8	397,80	397,55	რიყის ქვა თიხაზე	კედლის ქვეშ V—VI სს. მონეტა № 1122—397,05 და ორმო № 12—XII ს., № 1608	სასანური და ტიპით XII ს.
„ № 19	4,40	0,35	0,45	397,65	897,30	ნატეხი ქვა თიხაზე	14 ორმოში კედლის ქვეშ XII ს. მონეტა — № 1425, ნიშ. 395,44	შარვანი
„ № 21	2,25	0,43	0,5	397,79	397,36	ნატეხი ქვა თიხაზე	კედლის ქვეშ XII ს. მონეტა—№ 1123, ნიშ. 397,03	ტიპით XII ს.
„ № 20	1,40	0,41	0,5	397,48	397,07	რიყის ქვა თიხაზე		
„ № 3	2,80	0,55	—	398,30	397,75	რიყის ქვა თიხაზე		
„ № 4	5,30	0,75	0,65	398,50	397,75	რიყის ქვა თიხაზე	კედლის წყობის ქვეშ XII ს. მონეტა— № 1068, ნიშ. 397,40	დარუბანდი ან შირვანი
„ № 5	5,30	0,45	0,80	398,50	398,05	რიყის ქვა თიხაზე	კედლის წყობაში XI ს. მონეტა— № 1906, ნიშ. 397,24	ბიზანტიური
„ № 1,	3,60	0,94	0,70	398,07	397,13	რიყის ქვა თიხაზე		
„ № 2	3,20	0,10	0,65	398,02	397,92	რიყის ქვა ოიხაზე	კედლის ქვეშ XII ს. მონეტა—№ 1471, ნიშ. 397,24	თამარისა

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ კირში გამომწვარი აგურის ფხვნილია შერეული.

ჭრილებიდან აგრეთვე კარგად ჩანს, რომ ოთხი ორმო (2′, 10, 12 და 14) ალუვიური წარმოშობის ნალექებზე დავიდნენ, სადაც ქვიშიანი რიყნარი, ან და, ამავე ფენის მსხვილი ქვიშა და ხრეში აღმოჩნდა. ეს ფენა, როგორც უბნის გეოლოგიურ დახასიათებიდან ვიცით, გრუნტის წყლებს შეიცავს. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი მათგანის ძირზე გრუნტის წყლები აღმოჩნდა (ორმო № 10 და 14). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ღრმა ორმოებში გრუნტის მინერალური ნაწილი ძალიან დანოტივებული იყო და თიხნარები მეტად პლასტიკური. ეს უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ ბაღის ნარგავები თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ინტენსიურად ირწყვება. გრუნტში გაფილტრული წყალი კულტურული ფენების ქვეშ მდებარე დელუვიურ თიხებამდე ჩადის. ეს უკანასკნელი წყალგაუმტარია, რის გამო წყალს სიღრმეში წასვლა მხოლოდ ორმოების ნაყარი გრუნტის მეშვეობით შეუძლია. წყლის ასეთი მოქმედება კი იწვევს ორმოს შევსების თიხოვანი ნაწილის დანოტივებასა და თიხის პლასტიკურობას. ასეთი გრუნტების წარმოშობას ხელს უწყობს, აგრეთვე ალუვიურ გრუნტებში არსებული გრუნტის წყლებიც, რომლის დონემ ეხლა საგრძნობლად ამოიწია ქალაქის ამ უბანში და ალუვიონის ზევით დელუვიურ თიხებს და მათ შორის ნაყარ გრუნტებსაც ორმოებში ძალზე ანოტივებს.

ზემოთ მოტანილ მეორე ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ორმოების უმრავლესობა მრგვალი კვეთისაა. მათი დიამეტრი 1,0 მ უდრის, გარდა ორმო № 10 ჩრდილო განტოტებისა, სადაც ორმოს ოთხკუთხი კვეთი აქვს. გარდა ამისა, აგურის ორმო №К—I დიდი დიამეტრი აქვს (1,3—1,45 მ) და მისი კედლები, მთელ სიმაღლეზე, ქართული აგურითაა მოპირკეთებული. აქ. კვადრატული აგურის ზომა 25×25 სმ-ია. რადგანაც ეს ორმო გვიანაც ყოფილა გამოყენებული, ამიტომ ზედა ნაწილის რამოდენიმე რიგი ამოშენებულია აგურით, რომელთა ზომა უდრის 22×22 სმ. ამ აგურის ორმოში, დაახლოებით მისი სიღრმის ნახევარზე (ნიშნული 393, 09) იატაკი აგურით იყო მოფენილი, რომლის ზომები უდრიდა 25×25 სმ. ჩანს, ეს ორმო რამოდენიმეჯერ იყო გამოყენებული, ისევე როგორც ამ ფენის სხვა ორმოებიც.

ორმოების საერთო დახასიათებიდან ირკვევა, რომ ისინი დელუვიურ თიხნარებში სხვადასხვა სიღრმეზე ყოფილა ამოთხრილი. მათ უმრავლესობას ერთნაირი დიამეტრი ჰქონია (გარდა № 10 ოთხკუთხა და № 1 აგურის ძველ ორმოს). ბევრ მათგანს კედელიც მომწვარი აღმოუჩნდა. ყველა ეს მონაცემი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორმოებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ. შეიძლება ღრმა ორმოები, რომლებიც რიყნარის ფენამდე დავიდნენ და კედელი მომწვარი არ ჰქონდათ (Б—2[1] და 1[1]),ების დანიშნულებას ასრულებდნენ. სხვა ორმოები კი კერამიკულ წარმოებასთან იყვნენ დაკავშირებული. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ამ ორმოებში თიხოვან გრუნტებს გარდა ნაცარიც გვხვდებოდა და ზოგან ხის ნახშირის ნატეხებიც. ამ ორმოების დანიშნულების შესახებ დეტალურად ქვევით გვექნება საუბარი.

მესამე ფენის გეგმიდან კარგად ჩანს, რომ ამ ფენაში აღმოჩნდა ნაგებობათა საძირკვლის და კედლის ფრაგმენტები. კერების, თონეების და კერამიკული ჭურის ნაშთებიც. გეგმაზე მათ განხილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ XI—XIV სს. ფენა რამდენადმე ქვეფენისაგან შედგება. ეს ცხადად ჩანს იქედან, რომ კედლები ერთმანეთს კვეთენ (მაგ. მე-6 კედელი 21-ე კედელს), ერთი კედელი მეორეს აძევს თავზე (მაგ. მე-8 კედელი მე-7 კედელს). კედელი თავზე აძევს ორმოს(მაგ., მე-6 კედელი მე-9 ორმოს), თონე თავზე აძევს კედელს (მაგ. მე-5 თონე მე-7 კედელს). კედელშია თონე (მაგ. მე-8 კედელში მე-3 თონე) და სხვ.

აღნიშნული ნაშთების ცალ-ცალკე განხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს:

მესამე ფენის ნაგებობათა წყობის ნაშთები სხვადასხვა უბანზე გვხვდება. მათი განლაგება გეგმაში ისეთია, რომ ამ ეტაპზე (გათხრილი ფართობის სიმცირის გამო), ყველა ნაგებობათა ფუნქციონალური დანიშნულების საბოლოოდ დადგენა შეუძლებელია. ნაგებობათა ნაშთების დეტალური დახასიათება მოცემული გვაქვს № 3 ცხრილში (იხ. ცხრილი № 3).

მესამე ფენის გეგმიდან, ყველა ჭრილიდან (ტაბ. III, V, VI, VII) და № 3 ცხრილიდან ჩანს, რომ ნაგებობათა კედლის ნაშთები უმთავრესად, თევზიფხური წყობითაა ნაგები. რიყის დიდი ქვებით თიხის ხსნარზე. ცხადია, საქმე გვაქვს კედლის და საძირკვლის ნაშთებთან, სადაც წყობის 1—3 იშვიათად კი, ოთხი რიგია შემორჩენილი (კედელი № 10, იხ. ტაბ. XIV, სურ. 3, ტაბ. XVI, სურ. 1, 2, 4, 5). რიგ შემთხვევაში რიყის ქვის წყობას სიღრმეში

ნატეხი ქვის წყობაც მოსდევს და ზოგ ადგილას მხოლოდ ეს წყობაა შემორჩენილი (იხ. მესამე ფენის ჭრილი, კედლები №№ 9, 14, 17, 18, 19, 20, 21).

გათხრებით აღმოჩენილ კედელ-საძირკვლების სისქე მერყეობს 0, 45-დან 1,0 მეტრამდე, ძირითადად კი—0,6—0,95 მეტრია (იხ. ცხრილი № 3). ნაგებობათა ნაშთების ფუძეების დონე უბნების მიხედვით სხვადასხვაა და ეს ცვალებადობა მერყეობს 397.00 და 398,00 ნიშნულებს შორის; აქედან შეიძლება იმ სავარაუდო დასკვნის გაკეთება, რომ საუკუნეების განმავლობაში ნაგებობათა საძირკვლების ჩაყრა თითქმის ერთ დონეზე წარმოებდა. ამიტომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო დანგრეული შენობის კედელ-საძირკვლის გამოყენება (ნაწილობრივ) ახალი მშენებლობის დროს ან ახალი საძირკვლის ჩაყრის დროს ძველი საძირკველი გადაკვეთა და სხვ. ყველაფერი ეს კარგად ჩანს განათხარის ტექნიკური დოკუმენტაციიდან და თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს.

მესამე ფენის ყველა ნაგებობა ნახევრად მიწური უნდა ყოფილიყო, ე. ი. დაახლ. 1,5 მ-ზე მაინც მიწაში ჩადგმული. ამიტომაცაა, რომ მესამე ფენაში გათხრების დროს აღმოჩენილი ნაგებობების წყობის ყველა ნაშთი, ნახევრადმიწური ნაგებობების მიწისქვეშ მოთავსებული კედლებისა და, ცხადია, საძირკვლების ნაშთებს წარმოადგენენ. ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ თიხის ხსნარზე აგებული ქვის კედლების სისქე მცირეა და მათი ვერტიკალური მდგრადობა, ძირითადად, გრუნტის კედლის მდგრადობაზეა დამყარებულ-დამოკიდებული. შესაძლებელია, რომ ასეთი ნაგებობის წყობა მიწის ზედაპირის ზევით ორ-სამ რიგზე მაღლა აღარ ამოდიოდა და ნაგებობის მიწისზედა ნაწილი სხვა მასალისაგან, უმთავრესად, თიხისაგან თუ ხისაგან იყო გამართული. რუსთავის ნაქალაქარის გათხრების დროს რიყის ქვების ანალოგიურ წყობაზე ალიზის კედლის ფრაგმენტები აღმოჩნდა[2]. ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში ჩატარებული გათხრების დროს ასეთი ფაქტი ფიქსირებული არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნახევრადმიწური ნაგებობის მიწისზედა ნაწილის თიხისა თუ ხის კედლების არსებობა, მაინც დაუშვებელი არ უნდა იყოს. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ კედლების ნაშთი დროთა ვითარებაში გაქრა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მესამე ფენის ნაგებობათა საძირკვლებისა და კედლების ნაშთები, გეგმაში განლაგებისა და ურთიერთ-დამოკიდებულების მხრივ, შეიძლება სამად დაჯგუფდეს: თიხაზე რიყის ქვით ნაგებ უძველეს კედლებს წარმოადგენენ №№ 1 და 7 კედლები. შუა პერიოდის კედლებს (რომლებიც აგრეთვე თიხაზეა რიყის ქვით ნაგები) —№№ 2, 4, 5, 6 და 8 კედლები, ხოლო გვიანი პერიოდის კედლებს (მათი საძირკველი ნატეხი, თვით კედლები კი რიყის ქვითაა თიხაზე ნაგები) — №№ 9, 10, 11, 13, 14, 16 ,17, 18, 19, 20, 21 კედლები.

სხვადასხვა დროის ამ ნაგებობათა კედელ-საძირკვლების ნაშთების ასეთი შეფარდებითი დაყოფა კარგად შეიმჩნევა გათხრილი უბნის ჩრდილო ნახევარში, სადაც უძველესი ხანის კედელს თავზე აძევს შუა პერიოდის კედელი (მე-7 კედელს მე-8 კედელი), ხოლო ორივეს კვეთს გვიანი პერიოდის ორი კედელი (№№ 8 და 9). ასეთივე დაყოფა კარგად ჩანს, აგრეთვე, გათხრილი უბნის სამხრეთ ნახევარში, სადაც შუა პერიოდის კედელს კვეთს გვიანი ხანის კედელი (მე-6 კედელს მე-21 კედელი), ხოლო უძველეს კედელს თავზე აძევს შუა პერიოდის კედელი (1-ლ კედელს მე-2 კედელი).

ამრიგად, მესამე ფენაში აღმოჩენილ ნაგებობათა კედელ-საძირკვლების ნაშთების ქრონოლოგიურ დაყოფა-დაჯგუფებას სავსებით მხარს უჭერს სტრატიგრაფიული მონაცემებიც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მესამე ფენის ნაგებობათა კედელ-საძირკვლების ნაშთებთან აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა დროის მონეტები. ამ მონეტების აღმოჩენის კონკრეტული ადგილებისა და თარიღების შესახებ ცნობები მოცემულია ტაბ. XII და № 3 ცხრილში. ამ მონეტების მიხედვით, ნაგებობათა ნაშთების აბსოლუტური თარიღების შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას:

სამხრეთით მდებარე № 1 უძველეს კედელში ნაპოვნი იყო XI ს. ბიზანტიური მონეტა (ს/წ № 1906, ტაბ. XII). ამით შეიძლება დავუშვათ, რომ კედელი XI საუკუნისაა. ამ კედლის ფრაგმენტს თავზე აძევს შუა პერიოდის კედლის ფრაგმენტი № 2, რომლის ქვეშ ნაპოვნი იყო თამარის (XII ს.) მონეტა (ს/წ. № 1471). მონეტების აღმოჩენის ასეთ ვითარებაში ჩვენ უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ № 2 კედელი შეიძლება აგებულიყო XII საუ-

[2] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 171—210.

კუნეში. გარდა ამისა, შუა პერიოდის № 4 კედლის ქვეშ აღმოჩნდა XII საუკუნის დარუბანდის (შირვანის) მონეტა და სინქრონიულად იმავე პერიოდის № 6 კედლის ქვეშ XII ს. მონეტა (ს/წ. № 1603). ამრიგად, ჩვენ ამითაც უფლება გვაქვს შუა პერიოდის კედლები №№ 6, 4, 5 და 8 XII ს. დავათარიღოთ.

ამავე ფენის გვიანი პერიოდის კედლების დათარიღების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ № 19 კედლის ქვეშ აღმოჩნდა XII ს. შირვანის მონეტა (ს/წ. № 1123), ხოლო № 21 კედლის ქვეშ, აგრეთვე XII ს. მონეტა (ს/წ. № 1123). დასათარიღებლად გამოდგება, აგრეთვე № 18 კედლის ფრაგმენტის მახლობლად აღმოჩენილი დემეტრე I-ის მონეტა (ს/წ. № 705). მაშასადამე, №№ 18, 19, 21 კედლები XII ს. უფრო გვიან უნდა იყოს ნაგები. ამრიგად, აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, დაახლოებით შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

1. მესამე ფენის ადრეული ნაგებობის ნაშთები XI—XII საუკუნისაა.
2. შუა პერიოდისა — XII—XIII „
3. გვიანი პერიოდისა — XII—XV „

ნაგებობათა ნაშთების ამგვარად დათარიღებას სხვა მონაცემებიც მხარს უჭერს:

XI ს. კედლები თავზე ადევს ადრეულ ორმოებს, ხოლო გვიანი პერიოდის კედლის ნაშთების ქვეშ XII ს. ორმოებია.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ აზრს იმის შესახებ, რომ XI—XII სს. ნაგებობის დანგრევის შემდეგ, სულ ნაკლები ნახევარი საუკუნე მაინც უნდა გასულიყო, რომ XII ს. დასასრულს ან XIII ს. დასაწყისში გეგმაშეცვლილი ნაგებობა იმავე ტერიტორიაზე აეგოთ და გრუნტში მოქცეული უძველესი და მისი მომდევნო პერიოდის დანგრეულ ნაშთებზე თონეები გაემართათ.

თუ ეს აზრი სწორია, მაშინ გპთხრილ უბანზე XI ს. ორი ნაგებობის ნაშთები ჩანს: ერთი ნაგებობა სამხრეთ უბანზე იყო და მისი ჩრდილო კედელშია გათხრილი (№ 1). ხოლო მეორე — ცენტრალურ უბანზე მდებარე დიდი ნაგებობა, რომლის მარტო აღმოსავლეთი კედელია გათხრილი (№ 7).

XII—XIII სს. ნაგებობიდან კარგად ჩანს ერთი ოთხკუთხა შენობის ნაშთი, რომელიც №№ 4, 5 და 6 კედლებით შემოიფარგლება და მხოლოდ აკლია სამხრეთი კედელი. მისი ჩრდილო გაგრძელება კედელი № 8 და კიდევ ერთი სამხრეთით მდებარე კედელი № 2. შესაძლებელია XII ს. ამ ცენტრალურ ნაგებობის კარები გამართული იყო № 5 და № 6 კედლების კუთხეში, ე. ი. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, სადაც ბრტყელი ქვებით იყო მოფენილი შესასვლელი ნაწილი (ტაბ. XV, სურ. 4).

გვიანი, ე. ი. XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისის ნაგებობათა კედლების ნაშთებით იკვრება ერთი სამხრეთით უბანზე მდებარე ნაგებობა, რომელსაც კარები № 20 და № 21 კედლებს შორის ჭონდა. ამის გარდა ნაგებობა, რომელიც მის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მისი მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტია გაშიშვლებული (14) და კიდევ ერთი შენობისა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობდა და რომლისგანაც სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების ფრაგმენტებია გადარჩენილი (№ 13 და № 14) და მათ შორის კარის ნაშთებიც (კედლები № 12, 13).

გათხრების დროს მის სხვადასხვა უბანზე კერებისა და ჭურის ნაშთები აღმოჩნდა. კერა № 1 ნაშთები აღმოჩნდა XII ს. ერთი ცენტრალური ნაგებობის შიგნით. ამ საკმაოდ მოზრდილ კერას ნალისებური ფორმა ჰქონდა (ტაბ. XIV, სურ. 5). სამხრივ იგი რიყის ქვებით იყო შემოფარგლული და შიგნით ნაცრის რამდენიმე სანტიმეტრის სისქის ფენა იყო. ამ კერაში აღმოჩნდა ექვს-ყურიანი ქვაბ-ჭითნის ნატეხები (№ 303), მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი (№ 349), ქვევრის პირის ფრაგმენტი და სხვა. კერა, მასში აღმოჩენილი ნაშთებისა და უმთავრესად ქვაბ-ჭითნის მიხედვით, XII ს. თარიღდება. ამრიგად, კერა შუა პერიოდის ნაგებობათა ნაშთებს დროსაა და როგორც 1—1¹ და III—III¹ ჭრილებიდან ჩანს იგი აგებული ყოფილა ნაგებობის საძირკვლების დონის ქვევით (ტაბ. V, სურ. 1, ტაბ. VI, სურ. 1).

მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XII ს. მე-2 ნაგებობის ადგილას აღმოჩენილი ოთხკუთხა კერის (ეს კერა მდებარეობს 7 კედლის დასავლეთით) ნაშთები, ნაცრის ფენით. ამ კერაში იდგა ცეცხლში ნამყოფი ჭილა (№ 298), რომელშიაც XII ს. ორი მონეტა (ერთი აღმოსავლურია, მეორე დარუბანდის) იყო (ტაბ. XII). გარდა ამისა, ამავე ჭილაში აღმოჩნდა ერთმანეთთან მიჟანგული, რამდენიმე რკინის ისრის პირი (ს/წ. № 762—56). ეს ჭილა იმითაცაა

საყურადღებო, რომ მის კედელზე ამოკაწრულია ოთხი ასომთავრული ასო და იკითხება „ა ო შ ა“.

ამრიგად, ეს კერაც XII ს. ეკუთვნის და მისი ძირი მდებარეობს ამავე დროს შესატყვის ნაგებობის № 7 კედლის დონეზე. ეს უკანასკნელი კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ნაგებობის და კერის ერთდროულობას.

გათხრილი უბნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული პრიზმული ფორმის ჭურის ნაშთები აღმოჩნდა. ზომით 0.8×2,5×1.75 მ. ამ ჭურის ზედა სიბრტყის ნიშნული - 398.00 მ, ხოლო ძირისა 397.00 მ უდრიდა (ტაბ. XIV, სურ. 5, ტაბ. XV, სურ. 1,6). მისი გაწმენდის დროს აღმოჩნდა ბათქაშის და კრამიტის ნატეხები, ხოლო საცეცხლურის ადგილას — ნაცარი, ხის ნახშირის პატარა ნატეხებით. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილი ნაშთები მეტად ფრთხილად იქნა პრეპარირებული, ჭურის კონსტრუქციის დადგენა მაინც შეუძლებელი შეიქმნა. ჩანს ჭურა ძირამდე დანგრეულა და მხოლოდ საცეცხლურის კვალიღა დარჩენილა. გათხრების დროს მოპოვებული ნაშთების მიხედვით მხოლოდ შემდეგი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: ჭურას წაგრძელებული პრიზმის სახე ჰქონდა, აღმოსავლეთ ნახევარში გამართული იყო საცეცხლური, ხოლო ჭურის მუშა ნაწილის ზედაპირი ბათქაშით იყო შელესილი.

შეიძლება, ნაგებობის შიგნით მდგარ ამ ჭურას ცალკე კრამიტის სახურავიც ჰქონდა; წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი დარჩება, რატომ აღმოჩნდა ჭურის ნაშთებში საკმაო რაოდენობით აღნიშნული სამშენებლო მასალის ნატეხები.

ჭურის ნაშთების გაწმენდის დროს გრუნტში აღმოჩნდა XIV ს. მონღოლური მონეტა (№ 314, ნიშნ. 397,68), სანაცრეში — რკინის წიდა (ს/წ. № 617—57). იქვე სხვადასხვა კერამიკული ჭურჭლის უსახო ნატეხები და, მათ შორის, წერნაქწასმული თიხის ჭურჭლის ნატეხებიც (ს/წ. № 297—57 და № 301—57).

ამ ჭურის ნაშთების ქვეშ მდებარე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა IX—X ს. არაბული ფელსები (ს/წ. №№ 1466—57 და 401—57). ამავე დროის მონეტები აღმოჩნდა აგრეთვე № 16 ორმოშიც (ს/წ. № 1469—57 და 1870—57). ეს მონეტები და ჭურის ნაშთების მიმართ მათი განლაგება მოწმობს, რომ იგი X ს. უგვიანესია და XIV ს. უადრესი, რადგანაც მონეტები ჭურის დანგრეულ მასაში აღმოჩნდა. ამიტომ მიახლოვებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გათხრილი ჭურის ნაშთები XIII—XIV სს. ეკუთვნის.

მსგავსივე კონსტრუქციის, მაგრამ უფრო მცირე ზომის ჭურა უნდა მდგარიყო № 8 კედლის სამხრეთით, № 15 ორმოს თავზე. აქაც აღმოჩნდა კრამიტისა და ბათქაშის ნატეხები. საცეცხლურში კი — ნაცარი, ხის ნახშირის ნატეხები და ცეცხლისაგან მომწვარი თიხა. მათი ნაშთების ერთი და იგივე ხასიათი და აგრეთვე თითქმის ერთ დონეზე აღმოჩენა, საშუალებას გვაძლევს პირველის მსგავსად ამ ჭურის ნაშთებიც XIII—XIV სს. დავათარიღოთ.

საყურადღებოა, აგრეთვე, გათხრილი მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჯერ თიხის ბათქაშით ამოყვანილი კედლის ნაშთებისა და შემდეგ, მასში ჩადგმული დაპირქვავებული ქვევრის ზედა ნახევრის აღმოჩენის ფაქტიც. ჩანს ესეც ჭურაა. ამ ჭურაში საკმაო რაოდენობის ნაცარი იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული კერამიკული მილებისაგან შედგენილი საბერველი. ხოლო ჭურის აღმოსავლეთით, ქვაბულის კუთხეში, რამდენიმე კვადრატული მეტრის ფართობზე მიწა ცეცხლით იყო მომწვარი; აქვე აღმოჩნდა რკინის წიდა (ტაბ. III).

ჭურის მახლობლად გრუნტის თხრის დროს მრგვალი კვეთის მინის დაგრეხილი სამაჯური (ს/წ. № 613—57), აღმოჩნდა, რომელიც XI ს. ბოლოს XII ს. დასაწყისით თარიღდება. გარდა ამისა, ამავე მიდამოებში სამი მონეტა იყო ნაპოვნი: თამარის XII ს. მონეტა (ს/წ. 609,57), ლაშა-გიორგის მონეტა XIII ს. (ს/წ. № 182—57) და XV ს. მონღოლური მონეტა (ს/წ. № 680—57). ამრიგად, ჩვენ უფლება გვაქვს ეს ჭურა XIII—XIV სს. დავათარიღოთ (ტაბ. XII).

ასევე საყურადღებო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი გათხრილი მოედნის ცენტრალურ ადგილას, მთელანას სამხრეთით (ტაბ. III). აქ აღმოჩნდა ოთხკუთხა მასივი, ამოყვანილი რიყის ქვებით თიხაზე; ხოლო მის თავზე გამომწვარი თიხის ბათქაშისა და თიხის სოლების ნატეხები, სამფეხა სადგარები და სამარილეების ნატეხები თუ მათი მთელი ეგზემპლარები. მიუხედავად იმისა, რომ კერამიკული ჭურის ნაშთების გაწმენდა მეტად ფრთხილად წარმოებდა, ძლიერი დაზიანების გამო შეუძლებელი შეიქმნა მისი აღნაგობის დადგენა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საცეცხლურში მომწვარი თიხის ზომებს, ბათქაშის ნატეხებში შემორჩენილ სოლის ადგილებსა და მათ შორის ზომებს, მიახლოებით იმის თქმა შეიძლება, რომ ჭურა მრგვალი კვეთისა

ყოფილა, რომლის დიამეტრი დაახლოებით 1 მ უნდა ყოფილიყო. ამ ჭურას კედლები ბათქაშით მოლესილი ჰქონია და ამ ბათქაშში დამაგრებული ყოფილა ორი-სამი ყრა (ე. ი. იარუსი) თიხის სოლებისა (ტაბ. XVII, სურ 4 და 6). რა სახის იყო ჭურის კამერა, მისი კალო, ბარა ან ცა ამის აღდგენა შეუძლებელი გახდა. ძველ თბილისში, 300 არაგველის სახ. ბაღში აღმოჩენილი XII—XIII სს. დიდი ჭურების მიხედვით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ კონსტრუქციის ჭურებში მოჭიქული ჭურჭელი იწვებოდა. აღწერილი ჭურის ნაშთების მიხედვითაც შეიძლება დანამდვილებით იგივეს თქმა და კიდევ ერთხელ ამის საბუთად გამოდგება ზოგიერთი სოლის ნატეხი ზედ ჩამოღვრილი ჭიქურის ლაქებით. ჩვენ ვფიქრობთ, ამ მცირე ზომის ჭურებში იწვებოდა სხვადასხვა სიდიდის მოჭიქული ჭურჭელი და მის გვერდით ისეთი პატარა ზომის ნივთები, როგორიცაა სამარილეები და ჭრაქები.

ჭურის მახლობლადაც III კულტურულ ფენაში ნაპოვნი იყო სამი მონეტა:

1. XIII ს. თამარ მეფისა (ს/ წ. № 1294. ნიშ. 396,78).

2. XIII ს. თბილისური, მანგუ ყაენისა (ს/წ. № 1468, ნიშნ. 397,37).

3. XIII ს. ქართული უსახელო მონეტა (ს/წ. № 1001, ნიშნ. 391,18, ტაბ. XII).

ჭურის ნაშთები მოქცეულია შემდეგ ნიშნულებს შორის: 397,29 და 398.03 (იხ. ტაბ. III, V, VI, VII). ამრიგად, მონეტების მიხედვით ჭურის ნაშთები თითქოს XIII ს. თარიღდება, მაგრამ შეიძლება XII ს-ნეც ვივარაუდოთ, რადგანაც მასთან დაკავშირებული საწარმოო დანიშნულების №№ 14, 10, 9, 12 და 18 ორმოები ძირითადად XII ს. თარიღდება.

ზევითაც ითქვა და ეხლაც უნდა გავიმეოროთ, რომ გათხრილი ფართობი ძალზე მცირეა იმისათვის, რათა გამოტანილ იქნეს ყველა დასკვნა ნაგებობათა ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ გათხრილ ნაგებობათა ნაშთების მიხედვით, მითუმეტეს ცალკე ქვეფენების მიხედვით. მაგრამ, მოტანილი მასალიდან იმ დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება, რომ ამ ფენის განათხარი ნაშთების მიხედვით საქმე გვაქვს კერამიკული წარმოების ჭურა-სახელოსნოებისა და ხელოსანთა სახლების სხვადასხვა დროის ფრაგმენტებთან. როგორც ამას ქვევითაც დავინახავთ, ამ ადგილას XI საუკუნეზე უფრო ადრეც იყო კერამიკული წარმოება. ამიტომაც III და IV ფენებს შორის ბევრი საერთოცაა.

მეოთხე ფენაც ნაგებობათა ნაშთებით და სხვადასხვა სიღრმისა და კვეთის მიწით შევსებული ორმოებითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV). ამ ფენის სისქე გათხრილ ტერიტორიაზე ცვალებადია. იმ ადგილებში, სადაც იგი ნაკლებადაა დაზიანებული, მაგალითად, №Б—1 და №Б—2 დიდი ორმოების უბანზე, ე. ი. გათხრილი ტერიტორიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, მისი სისქე 1 მ აღწევს. ამ ფენის საგები სიბრტყის ნიშნულები უმთავრესად 396,30 და 396,40 შორის მერყეობს. ფენის მინერალური ნაწილი წარმოდგენილია არაერთგვაროვანი მოყვითალო თიხნარებით, რომელშიც რიყის ქვები, კრამიტისა და აგურის ნატეხები, ნაცარი, ხის ნახშირის პაწია ნატეხები და სხვადასხვა არქეოლოგიური ნაშთები, უმთავრესად კერამიკული ჭურჭლის ნატეხები გვხვდება (ტაბ. IV, V, VI, VII).

ეს ფენა თავზე აძევს დელუვიურ მოყვითალო თიხნარებს, რომლებშიაც 22 ორმოა ამოჭრილი და დროთა განმავლობაში ისევ მიწით შევსებული. ორმოების საერთო დახასიათებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველგან მიწის შევსებას მოწითალო-მოყვითალო ფერი გადაჰკრავს და მკაფიოდ განსხვავდება ძირითად დელუვიურ თიხებისაგან. ყველგან, სადაც კი ორმოები იქნა ამოსუფთავებული, აღმოჩნდა, რომ მათი კედლები 0,1—0,2 მ სისქეზე თიხა გორახოვანი სტრუქტურისაა და ჟანგის ფერი გადაჰკრავდა. ორმოს შევსებაში, ისევე როგორც ძირითად კულტურულ ფენაში, მიწასთან ერთად რიყის ქვები, კრამიტისა და აგურის ნატეხები და სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთები აღმოჩნდა (ძირითადად თიხის ჭურჭლები და მათი ნატეხები, ბრინჯაოსა და მინის სამკაულები, მინის ჭურჭლები და მათი ნატეხები და სხვ.).

აღნიშნული ფენის შესატყვისი ყველა ორმოს ზედაპირისა და ძირის ნიშნულები, მათი დიამეტრი, სიღრმე, კედლის ხასიათი და ორმოს ძირის გრუნტის დახასიათება მე-4 ცხრილშია მოტანილი.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ორმოები ერთ დონეზე არ მდებარეობენ. ცვალებადია აგრეთვე მათი კვეთი და სიღრმე. გვხვდება დიდი და მცირე ზომის, კვადრატის, ოვალის და წრიული კვეთის ორმოები. მათი სიღრმე იცვლება 1,30 მ-დან 5,00 მეტრამდე. მეტი ნაწილი ამ ორმოებისა დელუვიურ თიხაშია ამოღებული, ზოგიერთი მათგანი კი (მაგ. ორმოები №№ Б—1, Б—2, Б—3 და 5) გრუნტის წყლებისა და ალუვიური ხრეშის შემცველ ქვიშაზეა დასული. ორმოების უმეტესობა თიხაშია ამოჭრილი და

მეოთხე ფენასთან დაკავშირებული ორმოები

№№ რიგ.	ორმოს №	ორმოს ზედაპირის ნიშნული	ორმოს ძირის ნიშნული	ორმოს კედლის ზომები ან დიამეტრი მ-ობით	სიღრმე მეტრობით	ორმოს კედლის დახასიათება	ორმოს ძირის დახასიათება
1	B-1	396,30	392,00	2,5 X 2,5	4,30	მონწვარი	ხრეში ქვიშით
2	B-2	396,30	392,00	1,5 X 1,5	4,30	„	ხრეში ქვიშით
3	B-3	397,17	393,17	2,25	4,00	„	ქვიშა
4	3	396,80	394,80	1,20	2,00	„	თიხა
5	5	396,80	392,80	1,40 X 1,75	4,00	„	ხრეში ქვიშით
6	6	397,04	395,25	1,35	1,80	„	თიხა
7	7	396,87	395,07	0,95	1,80	„	„
8	11	397,23	395,93	0,95	1,30	„	„
9	15	397,08	395,78	1,60 X 2,00	1,30	„	„
10	16	396,63	392,63	1,50 X 2.50	4,00	„	„
11	17	396.92	395,42	1,60	1,50	„	„
12	19	396,96	392.96	1,00 X 1,40	4,00	„	ხრეში ქვიშით
13	20	397.06	394,56	1,00	2,50	„	თიხა
14	21	395,99	395,99	2.00 X 2,00?	1,00	„	„
15	23	395,72	393,92	1,0	1,80	ყვითელი თიხა	„
16	25	397,52	395,72	1,10	1,80	მონწვარი	„
17	27	396,67	395,37	1,75	1,30	„	„
18	K-1	397.89	392,87	2,40	5,02	აგურ. მოპირკეთებული	„
19	K-11	396,66	393,20	1,50	3,46	„	„

ამიტომ მათი კედლები თიხისაა, მხოლოდ ორი დიდი ორმოს (№№ K—1 და K—11) კედლები აგურით იყო მოპირკეთებული (25×25×4 სმ).

ზევით აღვნიშნეთ, რომ საუკუნეების მანძილზე მშენებლობის საძირკვლების დონეთა ნიშნულები თითქმის ერთი და იგივე რჩებოდა, ამიტომ ზედა ფენის ნახევრადმიწური ნაგებობების, საძირკველ-კედლების ჩაყრა-ამოყვანის დროს ქვედა ფენის ნაგებობათა ნაშთები უმეტეს შემთხვევაში ისპობოდა. ასეთი რამ განსაკუთრებით მეოთხე ფენის ნაგებობათა ნაშთების მიმართ ითქმის, სადაც ზემოთ აღნიშნული მიზეზის შედეგად თითქმის მთლიანად აღგვილია ნაგებობათა ნაშთები და მხოლოდ კულტურული ფენებიღაა გადარჩენილი. მაგრამ, ამის გვერდით ისიც არაა გამორიცხული, რომ ასეთი ნაშთები გათხრილი ფართობის გარეთ აღმოჩნდეს, რაზედაც პასუხს შემდგომი გათხრები გასცემენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფენას ეკუთვნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩენილი კედლის ერთი ფრაგმენტი (№ 5), რომელიც ნაგები იყო დიდრონი რიყის ქვებით თიხაზე და რომელიც ფარავდა ოთხკუთხა ძველ კერას. ამ კედლის გაწმენდის დროს კერის მახლობლად (ნიშნ. 397,45) ნაპოვნი იყო IX—X სს. არაბული ფელსი (ს/წ. № 1255—26, ტაბ. XIII). ამ მონაპოვრის მიხედვით ჩვენ საფუძველი გვაქვს კედელი X ს., ხოლო კერა IX ს. მივაკუთვნოთ. ძეგლების ასეთ თარიღს სხვა მონაპოვარიც ადასტურებს და კერძოდ, VIII ს. მოჭიქული თიხის ბურჭლების ნატეხების აღმოჩენის ფაქტი კერის დონეზე (ამ მონაპოვართა შესახებ დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი, მათი დეტალური დახასიათების დროს).

მესამე ფენის კედელ-საძირკვლების განლაგების მიხედვით IV ფენას უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე კედლის ფრაგმენტების სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზე (№ 4) და სამი კედლისა და საძირკვლის ფრაგმენტები ჩრდილო-დასავლეთ უბანზე (№№ 1, 2 და 3). მართალია, გათხრილ მოედანზე ამ ფენის შესატყვისი ნაგებობათა ნაშთები ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც მართებული იქნება თუ დავასკვნით, რომ ამ დროსაც ნაგებობათა მშენებლობისათვის სამშენებლო მასალა ისევ რიყის ქვა, ნატეხი ქვა და თიხა იყო, ხოლო ნაგებობები — ნახევრად მიწური.

გათხრების სტრატიგრაფიული ჭრილებიდან კარგად ჩანს, რომ მეოთხე ფენა გათხრილ უბანზე ყველაზე უძველესია. ამას ისიც კარგად ადასტურებს, რომ ამ ფენას ბევრ ადგილას XI—XIV სს. ე. ი. III ფენის ნაგებობათა ნაშთები აძევს თავზე. ეს ფაქტიც ჩვენ უფლებას გვაძლევს ფენა XI-ს. უძრესად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ისიც კარგად ჩანს, რომ მეოთხე ფენასთან დაკავშირებული ყველა ორმო ერთი და იგივე დროისა არ არის. ამას ადასტურებს სხვადასხვა დონეზე მდებარე და ურთიერთ მკვეთი ორმოები (№ 17 და № 23) ჩრდილო-დასავლეთ უბანზე. №Б—1 ორმოს თავზე, ზედაპირიდან

დაახლოებით 4 მ სიღრმეზე, აღმოჩენილია კერა და სხვა. ეს არქეოლოგიური მასალა და თვით ორმოების თარიღიც დეტალურად ქვევით იქნება განხილული. ამჟამად კი, მხოლოდ ფენის ზოგად თარიღს შევეხებით.

IV ფენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნეა და ამას, ფენაში ამ დროის მონეტების აღმოჩენა მოწმობს; ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი კი—V საუკუნეა. ამ უკანასკნელს ათარიღებს № Б—1 ორმოში ზედაპირიდან 8 მ სიღრმეზე აღმოჩენილი აქატის ქვის საბეჭდავი, დიდებულის პორტრეტული გამოსახულებით (№ 30), რომელიც V ს. ეკუთვნის. ადრეფეოდალური ხანით, კერძოთ, V—VIII სს. თარიღდება, აგრეთვე, ამავე მეოთხე ფენაში აღმოჩენილი შვილდსაკინძები და ბრინჯაოს, სხვა წვრილ-ნივთ-სამკაულებიც[3]. ასე, რომ მეოთხე ფენის დათარიღება ზოგადად ადრეფეოდალური ხანით (V—X სს.) საეჭვო არ უნდა იყოს.

აღსანიშნავია რომ IV ფენის თხრის დროს ორ ადგილას, ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზე აღმოჩნდა მოტკეპნილი და წრიულად მომწვარი თიხის ზედაპირის ნაშთები. ორივე შემთხვევაში ისინი ორმოები გვეგონა და დაღრმავება დავიწყეთ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მომწვარი ფენა 30 სმ ღრმად აღარ გრძელდებოდა. ამნაირად მომწვარი თიხის ზედაპირი II და III ფენების ყველა თონის ძირზე აღმოჩნდა, და განსაკუთრებით III ფენის კერამიკული ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის ძირზე, ე. ი. საცეცხლურში. მაგრამ, ამ შემთხვევაში წრიულად მომწვარი თიხის ზედაპირის დიამეტრი ერთნახევარჯერ უფრო დიდია ყველაზე დიდი კვეთის თონის მომწვარი ძირის ზედაპირზე. ამიტომ ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს დიდი დიამეტრის მოტკეპნილი და წრიულად მომწვარი თიხის ნაშთები კერამიკული ჭურჭლების გამოსაწვავი ქურების საცეცხლურის ნაშთები უნდა იყოს, დაახლოებით ისეთი კონსტრუქციის ქურისა, რომელიც III ფენაში აღმოჩნდა. ჩანს, ეს ქურები თავის დროზე ძირამდე დანგრეულა და მათგან ცეცხლის კვალის მეტი არაფერია გადარჩენილი. ასეთი ქურების არსებობა ამ დროს გათხრილ უბანზე ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია. ცხადია, ისევე როგორც III ფენისათვის, აქაც ამ ქურებთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული ყველა ის სხვადასხვა კვეთისა და სიღრმის ორმო, რომელიც ზევით აღვწერეთ.

ჩვენს მოსაზრებას, IV ფენაში ქურების არსებობის შესახებ, ისიც ამაგრებს, რომ ამ ფენის № 11 ორმოში, რომელიც გათხრილი უბნის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, აღნიშნული ქურის სხვა არქეოლოგიურ ნაშთებს შორის მცირე ზომის ქურის თიხის სამფეხები და თიხის სოლიც იყო.

მაშასადამე, ჩვენ ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც III ფენაში, საქმე გვაქვს თიხის ჭურჭლების დასამზადებელი ქურა-სახელოსნოების ნაშთებთან. ამ სახელოსნოებში ორმოებს საწარმოო, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ. ამაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ ოთხკუთხედი კვეთის მქონე № 16 ღრმა ორმოს გრძელი გვერდების გასწვრივ ოთხ ადგილას მცირე სიღრმისა და დიამეტრის ორმოები აღმოჩნდა, რომელშიაც განახშირებული ხისა, ე. ი. იმ ბოძების კვალი აღმოჩნდა, რომელიც ალბათ კრამიტით დახურულ ხის ფარდულს ამაგრებდა. შეიძლება ასეთი გადახურვა სხვა დიდ ორმოებსაც ჰქონოდათ და მათი კვალი გადარჩენილი არ იყოს. ეს განსაკუთრებით ითქმის Б—1, Б—2 და Б—3 ორმოების შესახებ და მით უმეტეს, №Б—1 ორმოს შესახებ, რომელშიაც ქვით ამოშენებული ქურის ნაშთები აღმოჩნდა. ამ ქურაში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ნაცარი და ხის ნახშირის პაწია ნატეხები, რომელთა გვერდით თიხის ჭურჭლები ელაგა. ამ დიდ ორმოში სხვა საყურადღებო აღმოჩენებსაც ჰქონდა ადგილი, კერძოდ: ორმოს სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა დაახლოებით 3 კილოგრამის წონის, კვარცის ქვიშის გროვა, ხოლო იმავე დონეზე და ქვევითაც, სხვადასხვა მინის ჭურჭლის ფრაგმენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა, უმთავრესად, ძირები. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ თიხის ჭურჭლების დამზადების გვერდით ამავე სახელოსნოში, როგორც სხვა ანალოგიურ შემ-

[3] ო. ტყეშელაშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვანი, დან (ახ. წ. IV—VIII სს.), საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი, თბილისი, 1955 წ. ავტორეფერატი, თბილისი, 1958 წ., მისივე, სამთავროს სამაროვანის ახ. წ. II—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძეები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", ტ. XX—B, თბილისი, 1959.

თხვევაშიც, მინის ჭურჭელიც მზადდებოდა იმ ნედლეულის ბაზაზე, რომელიც ამავე ორმოში აღმოჩნდა.

ჭურჭლების დასამზადებელი ქურა-სახელოსნოების არსებობას აღებულ პერიოდში, ე. ი. V—X სს. ისიც ადასტურებს, რომ გათხრების დროს სხვადასხვა ორმოში, ნაცარსა და ხის ნახშირთან ერთად ხშირად გვხვდებოდა თიხისა და მინის ჭურჭლები და ჭურჭლის ნატეხები. ამასვე ადასტურებს №№ 19 ორმოში თიხისა და ბრინჯაოს ბუთების, მინის საწყაოებისა და, ბოლოს, დარიშხანის მადნის (აურიპიგამენტის) აღმოჩენის ფაქტი. დარიშხანი კი, როგორც ცნობილია, ჭიქურის კაზმის დასამზადებლად ისევე საჭიროა, როგორც ხელოვნურად მიღებული რკინის ჟანგი, რომელიც ზოდების სახით პირველმე ადგილას აღმოჩნდა I-II ფენაში.

თავი მეოთხე

გათხრებით აღმოჩენილი ნივთიერი მასალისა და ორმოების დათარიღება

ზემოთ განხილული მასალიდან გაირკვა, რომ:

I ფენა — ნაყარი გრუნტებითაა წარმოდგენილი, რომელიც მოედნისა და ბაღის ტერიტორიის მიწის მოსწორების ხარჯზეა წარმოშობილი და მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს. ფენა XIX—XX საუკუნეებით თარიღდება.

II ფენა — მეფეთა სასახლეების სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით, წყალსადენის ნაშთებით და შესატყვისი პერიოდის კულტურული ფენებითაა წარმოდგენილი. ფენა ზოგადად XV—XVIII საუკუნეებით თარიღდება. ხოლო უკეთესად შემონახულ ნაგებობათა ნაშთები XVII—XVIII საუკუნეებს ეკუთვნის.

III ფენა — თიხის ჭურჭლების დასამზადებელი ქურა—სახელოსნოებისა და ხელოსანთა საცხოვრებელი სახლების ნაშთებითაა წარმოდგენილი. მათთანაა დაკავშირებული სხვადასხვა დანიშნულების ღრმა ორმოები და შესატყვისი პერიოდის კულტურული ფენები. ფენა XI—XIV საუკუნეებით თარიღდება.

IV — ფენა—ასევე უმთავრესად თიხის ჭურჭლების დასამზადებელი ქურა-სახელოსნოების ნაშთებითაა წარმოდგენილი. მათთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, სხვადასხვა დანიშნულების ღრმა ორმოები და შესატყვისი პერიოდის კულტურული ფენები. ფენა V—X საუკუნეებით თარიღდება.

ზემოთ, ამ ფენების აღწერის დროს ისიც გაირკვა, რომ მეორე, მესამე და მეოთხე ფენის ნაგებობათა ნაშთები ქრონოლოგიურად სხვადასხვა ქვეფენებადაც შეიძლება დაიყოს. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი თბილისის ამ უბანზე, მეტ-ნაკლები ხარვეზებით, ქალაქობის მთელი პერიოდის ნაშთებია წარმოდგენილი — V საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნის ჩათვლით.

გათხრების დროს აღნიშნულ სამ ფენაში ოთხი ათასამდე ნივთი აღმოჩნდა, მათი დამუშავების შედეგად, პირველ რიგში, მთელი მასალის მეთერთმეტედი ნაწილის გამოქვეყნება გახდა შესაძლებელი.

ეს ნივთიერი მასალა მოპოვებული იყო კულტურულ ფენებში და სხვადასხვა ორმოს მიწის შევსებაში. მასალის დეტალური დამუშავების დროს გაირკვა, რომ საკუთრივ კულტურულ ფენებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრის ზუსტი თარიღების დადგენა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძალიან ძნელია, როგორც ითქვა. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ძირითადი კულტურული ფენები საუკუნეების მანძილზე ბევრჯერ გადაითხარა და აირია, რის შედეგადაც ადრეული მასალა ზედა ფენებში მოხვდა, ხოლო გვიანი — ქვედა ფენებში. მაგრამ, იგივეს თქმა ორმოებში მოპოვებული ნივთიერი მასალის მიმართ არ შეიძლება. აქ, ჩვენ უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი პერიოდის ნივთიერ მასალასთან და ამიტომ, შეფარდებითი თარიღები სიზუსტეს მოკლებული არ არის. ეს უკანასკნელი კი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, საშუალებას იძლევა მასალის დიდი ნაწილის დათარიღებისა.

ქვემოთ ჩვენ პირველ რიგში შევჩერდებით ორმოებისა და მაშასადამე, მათში აღმოჩენილი მასალის დათარიღებაზე. აქედან, მასალის ერთი ნაწილის კონკრეტული თარიღების დადგენა პირდაპირ მოხერხდა, მეორესი—დათარიღებული და დაუთარიღებელი ნივთების ურთიერთ შედარების გზით. ასეთივე ხერხითაა დათარიღებული კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალაც. სულ გათხრილი იყო 38 ორმო (ტაბ. II, III, IV, VIII, IX); მათი ნომრებია:

1. ორმო №Б—1
2. „ — 2
3. „ — 3
4. „ Б—2
5. „ Б—2[1]
6. „ 1
7. „ Б—3
8. „ 1[1]
9. „ 2[1]
10. „ 3[1]
11. „ 5
12. „ 5[1]
13. „ 6
14. „ 7
15. „ 8
16. „ 9
17. „ 10
18. „ 11
19. „ 12
20. „ 13
21. „ 14
22. „ 15
23. „ 16
24. „ 17
25. „ 18
26. „ 19
27. „ 20
28. „ 21
29. „ 22
30. „ 22[1]
31. „ 23
32. „ 24
33. „ 25
34. „ 26
35. „ 27
36. „ 28
37. „ К—1
38. „ К—2

მათი სტრატიგრაფიული განაწილება ფენების მიხედვით გეგმებზეა მოცემული და შემდეგ სურათს გვაძლევს:

II ფენა—ორმოები №№ 1, 2, Б—2, 5[1], 22[1], 28 (სულ 6 ორმო); III ფენაა—ორმოები №№ 1[1], 2[1], 3, 9, 10, 12, 14, 18, 22, К—1 (ზედა ნახევარი) (სულ 10 ორმო); IV—ფენა—ორმოები №№ 3[1], 5, 6, 7, 11, 13, 15, 16, 17, 19, 20, 21, 23, 24, 25, 26, 27, Б—1, Б—2, Б—3, К—1 (ქვედა ნახევარი), К—2 (სულ 22)[1].

რადგანაც ფენების ზოგადი თარიღი უკვე დადგენილია, მაშინ უფლება გვაქვს II ფენის კუთვნილი ყველა ორმო XV—XVI საუკუნეებით, III ფენის ორმოები—XI—XIV საუკუნეებით, ხოლო IV ფენის ორმოები—V—X საუკუნეებით დავათარიღოთ. მაგრამ, ასეთი დათარიღება მეტად ზოგადია. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, მთელი რიგი მონაცემების მიხედვით, ორმოების ერთი ნაწილის უფრო კონკრეტული თარიღები წარმოვადგინოთ.

ორმო № Б—1 დათარიღება

ორმო № Б-1 გათხრილი მოედნის სამხრეთ-დასავლეთ უბანში აღმოჩნდა (ტაბ. XIV, სურ. 6, ტაბ. XV, სურ. 1,4). ამ კვადრატული კვეთის დიდი ორმოს ზომებია: 2,5—2,5 მ. მისი ზედაპირი 396,50 ნიშნულზე მდებარეობს, ე. ი. ძიწის ზედაპირიდან დაახლოებით 3,5 მ სიღრმეზე. ორმოს ფსკერის ნიშნული 392,00 უდრის; მაშასადამე, ორმოს სიღრმე 4,3 მეტრია (ტაბ. VIII).

ორმოში მოყვითალო ფერის დელუვიურ თიხებშია ამოღებული; მისი ფსკერი ძველი ტერასის კენჭნარზეა დასული. ორმო ყვითელი და ყანგისფერი ნაყარი თიხისებრი გრუნტებით იყო შევსებული, რომელშიაც ლოდების, აგურისა და კრამიტის ნატეხები ერია. ამავე წარმონაქმნში გვხვდებოდა სხვადასხვა არქეოლოგიური მასალა. უმთავრესად თიხის ჭურჭელი და მისი ნატეხი. ჩანს, წინად გრუნტის წყლები კენჭნარის ფენაში მდებარეობდა, ეხლა კი წყლის დონე საგრძნობლადაა აწეული და თიხის შევსებას ასველებს, რის შედეგად იგი სქელი და მეტად პლასტიკურია; ამიტომაც, ქვედა ფენებში არქეოლოგიური ძეგლები (ნივთები) ტალახიდან იყო ამოღებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის შევსებაში ბევრი სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთი აღმოჩნდა. ამ ეტაპზე ჩვენ საჭიროდ ვთვლით, მხოლოდ 35 ცალი, უმნიშვნელოვანესი და დამახასიათებელი ნივთი დავასახელოთ. ეს ნივთები ორმოებში შემდეგი თანმიმდევრობით აღმოჩნდნენ: 1. პირფართო ჭურჭლის პირის ნატეხი, 2. ჩაფი, 3. ჩაიდნისებური პრაქის ცხვირი, 4. ღრმა ჯამის ნატეხი, 5. ქვევრის პირის ნატეხი, 6. ქილის პირის ნატეხი, 7. სუ-

[1] №№ 8, 13, 18, 24 და 25 ორმოებს არ კვეთებით, რადგან მათში თიხის უსახო ნატეხების გარდა არაფერი საგულისხმო არ აღმოჩენილა.

რის ყელის ნატეხი. 8. აზარფეშას პირი. 9. მოჭიქული ჯამის ძირი. 10. ქვევრის კედლის ნატეხი. 11. ხელადა. 12. ჩაიდნისებური ჭრაქის ნატეხი. 13. ღრმა ჯამის პირის ნატეხი. 14. ხუფის ნატეხი. 15. ღრმა ჯამის პირის ნატეხი. 16. ხელადა. 17. ჯამის პირის ნატეხი. 18. ხელადა. 19. მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი. 20. ღრმა ჯამის ნაწილი. 21. დოქი. 22. დოქი. 23. ცილინდრული დიდი მძივი. 24. ქვაბქოთანის სახელური. 25. მოჭიქული ჯამის ძირი. 26. მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი. 27. ჩაიდნისებური ჭრაქი. 28. ქილის პირის ნატეხი. 29. ლიტრა. 30. აქატის საბეჭდავი. 31. დოქი. 32. სარძევე. 33. ხელადა. 34. ღრმა ჯამის პირის ნატეხი. 35. ხუფი (იხ. სურ. 2 და ტაბ. XIX და XX).

სურ. 2.

როგორც ვხედავთ, №Б—1 ორმოში მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა[2]. ამ მონაპოვარის დასათარიღებლად პირველ რიგში ორმოს განლაგებას აქვს მნიშვნელობა. ორმოს პირი მდებარეობს ბაღის ტერიტორიის ყველაზე უძველეს, მეოთხე ფენაში, რომელიც ბრინჯაოს სამკაულებით (მშვილდსაკინძები, ზანზალაკები და სხვა) და მონეტებით ადრეფეოდალური ხანით, კერძოდ V—X საუკუნეებით თარიღდება.

მაგრამ, №Б—1 ორმოს კონკრეტული თარიღის დასადგენად გადამწყვეტია ამ ორმოში აღმოჩენილი ნივთები. ორმოს თხრის დროს, ძირთან ახლოს, აქატის ქვის საბეჭდავი აღმოჩნდა, რომელზედაც წარჩინებული ადამიანის პორტრეტია ამოკაწრული (ნივთი № 30, სურ. 2). ამ საბეჭდავის თარიღი V საუკუნის აქეთ არ გადმოდის[3]. ამავე ადრეულ თარიღზე მიუთითებს დაჭრელებული პასტის ცილინდრული მძივიც (ნივთი № 23), რომელიც აგრეთვე არა გვხვდება V ს. შემდეგ.

ამავე ორმოს ზედა ფენის თარიღის დასადგენად, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო გამოგვადგება სქელკედლიანი, თიხის პირფართო დიდი ჭურჭლის მოზრდილი ფრაგმენტი (ნივთი № 1). რომლის ზედაპირზე ოთხკუთხა რელიეფური ჩარჩოს შიგნით ფრთებგაშლილი არწივია დაჭდეული. არწივის იდენტური გამოსახულება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ განათხარ მასალაში ცნობილი არ არის. მაგრამ ა/კავკასიაში არქიტექტურულ ძეგლებზე ამგვარი არწივის გამოსახულება VII საუკუნიდანაა ცნობილი. ამიტომ, ჩვენ გვინდა დაუშვათ, რომ ფრთებგაშლილი არწივის დაბეჭდვაც კერამიკული ჭურჭლის ზედაპირზე VII ს. ეკუთვნის. ამ თარიღს მხარს უჭერს აგრეთვე ამ ორმოში აღმოჩენილი წითელი კეცის ჭურჭლის ნაწილი, (ღრმა ჯამები, ლიტრები და სხვა.

ამრიგად, №Б—1 ორმო V—VII საუკუნეებით თარიღდება.

№Б—1 ორმოს შევსებაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის V—VII სს. დათარიღება პირდაპირ უპასუხებს იმ არქეოლოგიური მონაპოვრის თარიღებს, რომელიც მთელ გათხრილ მოედანზე აღმოჩნდა და ჩვენს მიერ საუკუნეების მიხედვითაა დანაწილებული (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ამ მხრივ ისაცაა საგულისხმო, რომ მონეტებით დათარიღებულ VIII—X სს. ორმოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (ნივთები), ყველა მონაცემით: ფორმა, დამუშავების ტექნიკა, ჭიქურის ხასიათი და სხვ. Б—1 ორმოში აღმოჩენილი მასალის (ნივთების) უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

[2] ორმოებში აღმოჩენილი ნივთების აღწერილობა იხილეთ ამ ნაშრომის ბოლოში, გვ. 59—61.

[3] ამ საბეჭდავის თარიღი განსაზღვრეს ს. ბარნაველმა, დაათარიღა IV—V სს. და მ. ლორთქიფანიძემ, დაათარიღა III—IV სს.

აღნიშნულ №Б—1 ორმოში, როგორც დავინახეთ, აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის მთელი ეგზემპლარები, უმთავრესად კი, ჭურჭლის ნატეხები. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ჩვენ დაუშვათ, რომ №Б—1 ორმო (და სხვა ასეთი ორმოებიც) უშუალოდ კერამიკულ წარმოებასთანაა დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე II სახელობის მოედანზე გათხრილი IV უძველესი ფენა კერამიკული სახელოსნოების ნაშთებსაც შეიცავს და ამიტომ №Б—1 ორმოს დაკავშირება კერამიკულ წარმოებასთან თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს.

თხრით პირდაპირ არ დასტურდება, თუ რა დანიშნულებას იყო ამოღებული სახელოსნოში ეს ღრმა და დიდი ორმო. შეიძლება იგი ნაგებობის შიგნით იყო გამართული და ცალკე, ხის ბოძებზე დაყრდნობილი მსუბუქი გადახურვაც ჰქონდა, ისევე როგორც № 16 დიდ ორმოს, რომლის თხრის დროს, კიდეებთან ახლოს, ხის ბოძებისათვის განკუთვნილი მცირე ორმოები აღმოჩნდა, ხის ნაცრით შევსებული.

ბოლოს, №Б—1 ორმოს, თიხისა და მინის წარმოების გადანაყარი და წუნდებული ნაშთების დროებით შესაგროვებელ ადგილის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, ე. ი. იმ ფუნქციას ასრულებდა, როგორსაც მომდევნო პერიოდის ამავე სახის წარმოებასთან დაკავშირებული ბევრი სხვა ორმო.

ორმო № 11 დათარიღება

ორმო № 11 გათხრილი მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. ორმო მრგვალი კვეთისა იყო; მისი დიამეტრი დაახლოებით 1.0 მ უდრიდა. ორმოს პირი მიწის ზედაპირიდან 2.0 მ სიღრმეზე მდებარეობდა. ხოლო თვითონ ორმოს სიღრმე 1.3 მ უდრიდა (ტაბ. VIII).

ორმო ამოშრილი იყო მოყვითალო ფერის დელუვიურ თიხებში და შემდეგ მოყვითალო-მოჟანგისფერო ნაყარი თიხოვანი გრუნტებით ამოვსებული, რომელშიც ხშირად გვხვდებოდა რიყის ქვები, ადგილ-ადგილ გამიწებული ნაცარი, ხის ნახშირის პატარა ნატეხები, თიხისა და მინის ჭურჭელი, თუ მათი ნატეხები. ქვემოთ მოტანილია ამ ორმოს შევსებაში აღმოჩენილი 15 ნივთის დასახელება: 138. მინის ჭიქა. 139. თიხის სამფეხა სადგარი, 140. თიხის ლანგარი, 141. მოჭიქული ჯამი, 142. მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი, 143. მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი, 144. მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი 145. მოჭიქული სამარილე, 146. ფინჯნის ნატეხი, 147. სამარილე, 148. სახარილე, 149. ჯამის პირი, 150. დოქის ნახევარი, 151. ფინჯანი, 152. ჯამი (ტაბ. XXVI).

ორმო № 11 საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში აღმოჩნდა ჭიქურგადასხმული თიხის სოლები და თიხის სამფეხები. როგორც ცნობილია, თიხის სოლები და სამფეხები მოჭიქული თიხის ჭურჭლების გამოსაწვავ ჭურებთანაა დაკავშირებული (ტაბ. VIII).

ასეთი სოლები და სადგარები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თბილისში, სამასი არაგველის ბაღის ტერიტორიაზე კერამიკული ქურა-სახელოსნოს გათხრის დროს და აგრეთვე ზემოაღნიშნული № 11 ორმოს მახლობლად გათხრილ თიხის ჭურჭლების გამოსაწვავი ქურის ნაშთებთან. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქურა-სახელოსნოს მახლობლად გათხრილი ორმოები თიხის ჭურჭლების დამზადებასთან არიან დაკავშირებულნი.

გათხრების დროს საკვლევი უბნის სხვადასხვა ნაწილში და სიღრმეზე VI—XIX სს. ბევრი მონეტა იქნა მოპოვებული. იმ ადგილას, სადაც ორმო № 11 მდებარეობდა კულტურულ ფენებში შემდეგი მონეტები აღმოჩნდა:

1. სავ. წ. № 252—ნიშნული 398.30.—XVII ს. აღმოსავლური მონეტა
2. „ № 706 „ 398.04. XVII ს. ერანული ქალაქების
3. „ № 1294 „ 396.78. XII „ მეფე თამარის
4. „ № 203 „ 398.66. XII „ მეფეების თამარის ან ლაშასი
5. „ № 1187 „ 396.69. IX—X „ არაბული ფელსი
6. „ №1192 „ 396.77. IX—X „ არაბული ფელსი
7. „ № 1122 „ 397.05. V—VI „ სასანური მონეტა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორმოს პირის ნიშნული 397.23 მ უდრიდა. თუ დაუშვებთ, რომ ეს ნიშნული ქურა-სახელოსნოების ნაგებობათა იატაკის დონის ნიშნულია, მაშინ მონეტები № 1294 (XII ს.), № 1187 (IX—X სს.), № 1192 (—IX—X სს.) და № 1122 (V—VI სს.) უფრო ახლოს მდებარეობენ იატაკთან და ამ მონეტების მიხედვით ორმო № 11 V—XII სს. უნდა დათარიღდეს. მაგრამ, ამ მონაცემებით დადგენილი თარიღი მეტად ზოგადია და დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს. ამიტომ

ორმოში აღმოჩენილი მასალის კონკრეტული თარიღის დადგენაში თიხის ჭურჭლის ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურების გარკვევა დაგვეხმარება.

როგორც ითქვა, №Б—1 ორმოში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა V—VII სს. თარიღდება. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ორმო № 7 აღმოჩენილი მასალა IX საუკუნეს ეკუთვნის. № 11 ორმოს შევსებაში აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭელი თავისი ტექნოლოგიური დამუშავების ხასიათით უფრო ახლოს დგას №Б—1 ორმოში მოპოვებულ კერამიკულ ჭურჭელთან, ვიდრე № 7 ორმოში აღმოჩენილთან. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, მოჭიქვის ტექნოლოგიაში ჩანს. № 11 ორმოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის მოხატვისას, ისევე როგორც №Б—1 ორმოში აღმოჩენილი მოჭიქულ ჭურჭელზე, გამოყენებულია თეთრი ანგობია და საღებავებით მოხატვის ტექნიკა. IX საუკუნის № 7 ორმოში აღმოჩენილი მასალიდან კი ჩანს, რომ აღნიშნული მოჭიქვის ტექნოლოგიის გვერდით ახალიც ჩნდება, კერძოდ, ჭურჭლის ზედაპირის მთლიანი მოჭიქვა ერთი ფერის ჭიქურით. გარდა ამისა, აქ მსგავსება-განსხვავება ჭურჭლის ფორმებში და თიხის ცომის დამზადების ტექნოლოგიაშიც აშკარად შეიმჩნევა.

ამიტომ მართებული იქნება № 11 ორმოს შევსებაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები, ფორმებისა და დამზადების ტექნიკის მხრივ №Б—1 ორმოში აღმოჩენილი შესატყვისი ნივთების უშუალო გაგრძელებად ჩავთვალოთ და VII—VIII საუკუნეებით დავათარიღოთ.

ორმო № 7 დათარიღება

ორმო № 7 გათხრილი მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზე მდებარეობდა. იგი ამოთხრილი იყო ყვითელი ფერის დელუვიურ თიხებში, მიწის ზედაპირიდან 3 მეტრის სიღრმეზე. ორმოს დიამეტრი 1 მ უდრიდა. ორმოს პირის ნიშნული — 396,87, ფსკერის ნიშნული—385,07, ე. ი. ორმოს სიღრმე 1,8 მ იყო (ტაბ. VIII).

გათხრილ უბანზე, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო IV ფენის უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია ამ ადგილას სახელოსნოებისა და ხელოსანთა საცხოვრებელი სახლების არსებობასთან. ამავე წარმოებასთანაა დაკავშირებული № 7 ორმოც.

ამ ორმოში, წინა ორმოების მსგავსად, უმთავრესად თიხის ჭურჭელი და მათი ნატეხები აღმოჩნდა. ქვემოთ ჩამოთვლილია დასახელება იმ 15 ნივთისა, რომელიც აღნიშნულ ორმოში აღმოჩნდა: № 87. ჯამის პირის ნატეხი, 88. ჯამის ძირი, 89. ქვევრის კედლის ნატეხი, 90. საფეროკონუსის ნაწილი, 91. ჯამი, 92. ფიალისმაგვარი ჭრაქის ნაწილი, 93. ხუფის ნატეხი, 94. ფიალის ნაწილი, 95. ჯამის პირი, 96. სურის ყელურის ნატეხი, 97. ჯამის ძირი, 98. ფინჯანი, 99. ჯამი, 100. სარძევე, 101. ხუფის ნატეხი (ტაბ. XXIII).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორმო № 7 გათხრილი უბნის IV უძველეს ფენაში აღმოჩნდა, და მაშასადამე, მის შევსებაში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა V—X საუკუნეებს ეკუთვნის. მაგრამ, ჩვენს ხელთ არსებული მასალა თარიღის დადგენის უფრო კონკრეტულ საშუალებას იძლევა.

საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა თბილისში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლების ფორმებისა და მოჭიქვის ტექნოლოგიის მოკლე და შედარებითი დახასიათება.

როგორც ვნახეთ, V—VIII საუკუნეების თიხის ჭურჭლის, უმთავრესად კი, ჯამების მოჭიქვისას, გამოყენებულია თეთრი ანგობით, ყავისფერი და მწვანე ჭიქურებით მოხატვის წესი. ასეთი ფერებით მოიხატებოდა ძირითადად გეომეტრიული ორნამენტი. რაზედაც აშკარად მიუთითებს №Б—1 ორმოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშები.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI—XIII სს.) ძირითადად გამოყენებულია თეთრ ანგობაზე ამოკაწვრით, ან რეზერვაციის ხერხით გეომეტრიული, მცენარეული, ანთროპომორფული და ზოომორფული ორნამენტებით მოხატვა. მოხატვისას გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე ფერის ჭიქური, ძირითადად: მწვანე, ცისფერი, ყვითელი და იასამნისფერი.

ამაზე კარგად მიუთითებს თბილისის ტერიტორიაზე, ორთაჭალაში 300 არაგველის და ერეკლე II-ის სახ. მოედნის ბაღებში — კერამიკული სახელოსნოების და ქურების ნაშთების თხრის შედეგად მოპოვებული კერამიკული მასალა. რომელიც მონეტებით და რიგი სხვა მონაცემებით XII—XIII სს. თარიღდება.

№ 7 ორმოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშები № 88, 91, 95, რომელზედაც მოხატულია გეომეტრიული მოტივი, თეთრი ანგობით, მწვანე და ყავისფერი ჭიქურით ადრეფეო-

დალურ ხანის მოჭიქულ ჭურჭელს უფრო უკავშირდება, ვიდრე XII—XIII საუკუნეებისას.

თიხის ჭურჭლის ზედაპირის მოჭიქვაში ქრონოლოგიური განსხვავება კარგად შეიმჩნევა აგრეთვე თხრისას მოპოვებული სხვადასხვა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლების (ჯამების) ფორმების მსგავსება-განსხვავებიდანაც.

ყველა ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ორმო № 7-ში აღმოჩენილი კერამიკული მასალა განსხვავდება ადრეული ეტაპის კერამიკულ ჭურჭლებისაგან, მაგრამ მაინც მასთან უფრო ახლოა, ვიდრე XII—XIII სს. მოჭიქული თიხის ჭურჭლების ნიმუშებთან.

ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ № 7 ორმოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალურ ხანაში გარდამავალ პერიოდს IX—X სს. დაუკავშიროთ.

ამ მასალის უფრო ზუსტი თარიღის დასადგენად, გამოგვადგება ამავე ორმოში აღმოჩენილი, რუხ-მომწვანო ფერის კეცის ბირთვისებური სფეროკონუსის ნაწილი (№ 90), რომელიც ძალიან ჰგავს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე მდებარე ძველი ნაქალაქარის, ორენკალას (იგივე ბელაქანი) 1955 წ. გათხრების დროს აღმოჩენილ ბირთვისებრ სფეროკონუსებს. როგორც ცნობილია, ორენკალაში აღმოჩენილი ბირთვისებრი სფეროკონუსები და ჭურის ნაშთები IX ს. თარიღდება[4].

ამრიგად, № 7 ორმოში აღმოჩენილი მასალა IX საუკუნით უნდა დათარიღდეს. № 7 ორმოს თარიღის დასადგენად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ორმოს თავზე, ორმოს ზედაპირიდან 0.3 მ სიმაღლეზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელიც დამახასიათებელია მომდევნო X საუკუნისათვის: ჩაიდნისებური ჭურჭელი (№ 83), ნიყარისებრი ჭრაქი (№ 84), პატარა სურა (№ 85), სამარილე (№ 81), დოქი (№ 80), დოქი (№ 82) და ჯამი (№ 86) (ტაბ. XXIII) (იხ. შესახებ ქვემოთ).

ორმო № 16 დათარიღება

ორმო № 16 გათხრილი მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა. იგი, ისევე როგორც ყველა ამ ფენაში აღმოჩენილი ორმოები, ჩაჭრილი იყო მოყვითალო ფერის დელუვიურ თიხებში. მიწასთან ერთად ორმოს შევსებაში მრავლად იყო რიყის ქვები, კრამიტისა და აგურის ნატეხები და მათთან ერთად არქეოლოგიური ნივთებიც.

ორმოს განივკვეთში მოგრძო ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. ორმოს ზედა ნიშნული 396,36, ხოლო ფსკერისა — 392.63 იყო, ე. ი. მისი სიღრმე 4.0 მ უდრიდა. დასაწყისში ორმოს ზომები 2,8×1.0 იყო, ხოლო 1,4 მ სიღრმეზე ორმოს განივკვეთი ორჯერ შემცირდა და ამ ზომებით დაყვანილი იქნა ფსკერამდე (ტაბ. IX).

ორმო № 16 თხრისას საყურადღებო აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ორმოს ოთხივე კუთხეში აღმოჩნდა მცირე ფოსოები. რომლებშიაც ფერფლად ქცეული ხის ბოძის ნაშთები იყო. ეს ფოსოები ალბად, იმ საყრდენი ბოძების კვალი უნდა იყოს, რომელიც ორმოს თავზე კრამიტით გადახურულ ხის ფარდულს ამაგრებდა. აღნიშნული ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ორმო № 16 თიხის ჭურჭლების წარმოებასთან იყო დაკავშირებული.

როგორც ითქვა, IV ფენა, სადაც ორმო № 16 აღმოჩნდა V—X საუკუნეებით თარიღდება და მაშასადამე, ორმოც აღნიშნული საუკუნეებისაა. მაგრამ ორმოს თარიღის დასაზუსტებლად გასათვალისწინებელია ორმოს მახლობლად აღმოჩენილი მონეტები.

ქვემოთ ცხრილში მოტანილია ორმო № 16-თან დაკავშირებული მონეტების სია მათი პოვნის აღგილის ნიშნულებით (ცხრ. 5).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს ორმო № 16, როგორც მის თავზე, ისე მის შიგნით აღმოჩენილი მონეტებით IX—X სს. თარიღდება. მაშასადამე, ასევე თარიღდება ამ ორმოში აღმოჩენილი შემდეგი ნივთიერი მასალა: 183. დერგის პირისა და ყურის ნატეხი, 184. IX—Xსს. არაბული ფელსი ჭსოვილის ნაშთებით (ს/ წ. № 1469), 185. მინის ჭიქის პირის ნატეხი, 186. მინის ჭურჭლის პირის ნატეხი, 187. მინის ჭურჭლის პირის ნატეხი, 188. მინის ჭურჭლის ძირის ნატეხი, 189. მინის ფიალა, 190. ჭილის ნაწილი, 191. მონეტა (ს/ წ. № 1870) IX—X სს. არაბული ფელსი (ტაბ. XXVIII).

---

[4] Р. М. Джанполадян, Сфероконические сосуды из Двина и Ани, СА, №1, М., 1958, стр. 201—213.

[5] ორმოს პირთან დიდძალი რაოდენობის კრამიტი აღმოჩნდა.

№№ რიგ.	მონეტის საინვენტ. ნომერი	ნიშნული	პოვნის ადგილი	მონეტის თარიღი
1	314	397,68	ქურის ნაშთებში	XIV ს. მონღოლური
2	461	396,67	ორმოს თავზე	IX—X სს. არაბული ფელსი
3	1466	396,86	ორმოს თავზე	„ „
4	1469	395,47	ორმოში	„ „
5	1870	394,23	ორმოში	„ „

ორმო № 20 დათარიღება

№ 20 ორმო დელუვიური წარმოშობის ყვითელ თიხებში იყო ამოჭრილი. იგი მდებარეობდა გათხრების ცენტრალურ ადგილას. ორმოს მრგვალი კვეთი ქონდა; მისი დიამეტრი ერთ მეტრს უდრიდა. ორმოს თავზე ზედაპირის ნიშნული იყო 399,45, ორმოს პირის ნიშნული 397,06. ხოლო ძირის ნიშნული—394,56, ე. ი. ზედაპირიდან ორმოს პირი 2,39 მ სიღრმეზე მდებარეობდა. ხოლო თვით ორმოს სიღრმე 2,4 მ უდრიდა (ტაბ. IX). ისევე როგორც სხვა იმავე ხასიათის ორმოები, ეს ორმოც მოჟანგისფრო თიხა-თიხნარით იყო ამოვსებული, რომელშიაც აგურის ნატეხები და უმთავრესად რიყის ქვები ერია.

ამავე ორმოში აღმოჩნდა, აგრეთვე, თიხის სხვადასხვა ჭურჭელი და ჭურჭლის ნატეხი, მინის სამაჯურისა და მინის ჭურჭლის ნატეხები, ძვლის მძივი, სადგისი და ბრინჯაოს ბეჭედი — სულ 32 ნივთი. ქვემოთ, ამ ნივთების დასახელება იმ თანამიმდევრობითაა ჩამოთვლილი, რა თანამიმდევრობითაც ისინი ორმოს თხრის დროს აღმოჩნდნენ, ე. ი. ზევიდან ქვევით: № 221. ღრმა ჯამი, 222. პატარა ჯამი, 223. ჯამი, 224. ჯამი, 225. ყურიანი ქოთანი, 226. ძვლის მძივი, 227. ბრინჯაოს ბეჭედი, 228. სამაჯურის ნატეხი, 229. ღრმა ჯამი, 230. ღრმა ჯამი, 231. ღრმა ჯამი. 232. ჯამი, 233. ჯამი, 234. ჯამი, 235. ღრმა ჯამი, 236. ღრმა ჯამი, 237. სწორკედლებიანი ჯამი, 238. ლიტრა, 239. დოქი, 240. სფეროკონუსი, 241. ხუფი, 242. ქვაბქოთანას ნატეხი, 243. ქილა, 244. კოტოში, 245. ხელადის ყელ-ყურის ნატეხი, 246. ჯამის ძირი, 247. ლანგრის პირის ნატეხი, 248. ჯამის პირის ნატეხი, 249. დიდი ჭურჭლის ნატეხი, 250. სამარილე, 251. მინის ჭურჭლის ყელის ნატეხი, 252. ძვლის წვრილი სადგისი (ტაბ. XXXI და XXXII).

ამ ორმოში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლეულის თავისებურება და მრავალსახიანობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეს ორმო, ისევე როგორც ამავე ხასიათის სხვა ორმოებიც, გათხრილ ფართობზე თიხის ჭურჭლის დასამზადებელ ქურა-სახელოსნოებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ორმო № 20 შეიძლება წუნდებული და დამტვრეული თიხის ჭურჭლის დროებით დასაგროვებელ ორმოს წარმოადგენდა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ორმო № 20 გათხრილი ფართობის მეოთხე ფენასთანაა დაკავშირებული. ეს ფენა კი V—X სს. თარიღდება.

მაშასადამე № 20 ორმოს ზოგადი თარიღიც V—X საუკუნეებია, მაგრამ ორმოს თარიღის დაზუსტებაც შეიძლება, ამ ორმოში აღმოჩენილი მასალების მიხედვით. ამისათვის, პირველ რიგში, მინის სამაჯური (№ 228) გამოგვადგება. როგორც ცნობილია, საქართველოში მინის სამაჯურები უმთავრესად XI—XIV სს. თარიღდება. ამ შემთხვევაში მათი არსებობა მეოთხე ფენის მხოლოდ ზედა ჰორიზონტთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ე. ი. X საუკუნესთან. მართლაც, ორმოში აღმოჩენილი სამაჯური სადაა, აქვს მრგვალი კვეთი. მომდევნო XI—XIV საუკუნეებში კი უმთავრესად გრეხილი ზედაპირის მქონე სამაჯურებია გავრცელებული.

ჩვენი აზრით X ს-ში იწყება წითელი კეცის ლანგრების ზედაპირის თეთრი ანგობითა და შემდეგ უფერული ჭიქურით მოჭიქვა (247), რომელიც ფართო ხასიათს ღებულობს XI საუკუნეში. მოჭიქული ჯამების თეთრი ანგობით მოხატვის ადრეული ტრადიცია აქ მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი. ხოლო უძველესი სხივური და წერტილოვანი ორნამენტი, რგოლებსა და წერტილოვან ორნამენტში გადადის. ფართო მოხმარებაში შემოდის მწვანედ მოჭიქული ჯამები, რომლის ზედაპირი თეთრი ანგობის ფოთლოვანი ორნამენტითაა მორთული.

ამრიგად, № 20 ორმოში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლების ფართო ასორტიმენტი თითქოს ყველა-

ფერში ძველ ტრადიციებს იმეორებს და ამავე დროს განსხვავდება მისგან. ცხადია, აქ ჩვენ ჯერ კიდევ ვხედავთ იმ თიხის ჭურჭელს, რომელიც XI—XIII სს. თბილისის კერამიკული პროდუქციისათვისაა დამახასიათებელი და ჩვენს მიერ მონეტებითაა დათარიღებული (იხილეთ ქვევით). ამიტომ, უფრო მართებული იქნება, თბილისის ძველ უბანში თხრით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან გამოყოფილი ეს ახალი ჯგუფი X ს. დავათარიღოთ.

ორმო № 14 დათარიღება

ორმო № 14 მდებარეობს გათხრილი მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანში. იგი დელუვიური წარმოშობის მოყვითალო თიხნარებში იყო ამოღებული და მისი ფსკერი გრუნტის შემცველ კენჭნარზე იყო დასული. როგორც ყველა სხვა ამავე სახის ორმო, ეს ორმოც ამოვსებული იყო ყვითელი და ჟანგისფერი ნაყარი თიხა-თიხნარებით, რომელშიაც არქეოლოგიური ნაშთების გვერდით, რიყის ქვისა და აგურის ნატეხებიც საკმაო რაოდენობით იყო შერეული. № 14 ორმოს თავზე მიწის ზედაპირის ნიშნულია 399,40 ორმოს პირის ნიშნული—396,44, ფსკერის ნიშნული—392,38, ე. ი. ორმოს პირი მიწის ზედაპირიდან 3,17 მ სიღრმეზე მდებარეობდა, მისი სიღრმე 4,07 მ, ხოლო დიამეტრი 1,0 მ უდრიდა (ტაბ. VIII).

ქვემოთ მოტანილი გვაქვს ორმო №14-ში აღმოჩენილი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მასალა—თიხისა და მინის სხვადასხვა ჭურჭელი, წვრილი ნივთები და მონეტები. ორმოში თანმიმდევრულად ზემოდან ქვევით 18 ნივთი აღმოჩნდა: 160. მონეტა, 161. ოთხყურა დიდ დერგი, 162. ქვევრის კედლის ნატეხი, 163. ფაიანსის ჯამის ძირი, 164. ფაიანსის სამაჩილე, 165. მონეტა, 166. ღრმა ჯამი, 167. ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი, 168. ჯამი, 169. ჭურჭლის პირის ნატეხი დაფანჯრული, 170. მინის ჭურჭლის ყელის ნატეხი, 171. მინის ფიალა, 172. ფაიანსის ჭურჭლის ძირი, 173. ჯამი, 174. ჯამის ნატეხი, 175. ჭილის პირის ნატეხი, 176. ჭურჭლის ყური, 177. ქვაბ-ქოთანა (ტაბ. XXVII).

როგორც ვხედავთ, ამ ორმოს მიწის შევსებაში სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთების გვერდით ორი მონეტაც აღმოჩნდა —№ 160 და № 165. პირველი აღმოჩნდა 395,44, ხოლო მეორე 393,65 ნიშნეულზე. რადგანაც ორივე ეს მონეტა XI საუკუნის შირვანული მონეტებია, ჩვენ უფლება გვაქვს ორმო XI საუკუნით დავათარიღოთ. ამ დასკვნას კი შემდეგი მოსდევს: X საუკუნეში ჩნდება და შემდეგ ფართო ხმარებაში შემოდის:

1. ცისფრად მოჭიქული რბილი ფაიანსის სხვადასხვა ჭურჭელი;

2. ბოლოშეზნექილი და ჭიპის მქონე, გამოყვანილი, მაღალჭუსლიანი ჯამები, რომელთა ოთხი ანგობით დაფარულ ზედაპირზე მარყუჟებისა და ჩრუდი ხაზებისაგან შედგენილ ორნამენტებია ამოკაწრული. ჭურჭლის ზედაპირი ცისფრად მოჭიქულია;

3. ფართო ხმარებაში შემოდის წითელი კეცის სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, რომლის ზედაპირზე წერნაქია დატანილი ლაქების, ზოლების, ხაზების და წინწკლების სახით;

4. წითელი კეცის ოთხყურიანი დიდი დერგები;

5. ხელახლა შემოდის მოვარდისფრო კეცის თხელკედლა ჭურჭლები, რომელთა ზედაპირი თეთრი ანგობის თხელი ფენითაა დაფარული და თეთრი ფერის ხაოიანი ჭურჭლების შთაბეჭდილებას ტოვებს.

№ 9 და № 12 ორმოების დათარიღება

№ 9 და № 12 ორმოები გათხრილი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდნენ. ეს ორმოებიც ყვითელი ფერის დელუვიური წარმოშობის თიხებში იყვნენ ამოღებული. № 9 ორმოს პირის ნიშნული 396,38, ხოლო ფსკერის ნიშნული 394,48 უდრიდა. № 12 ორმოსი კი, შესაბამისად—396,56 და 392,79 (ტაბ. VIII). ორივე ორმო მრგვალი კვეთისა იყო და მათი დიამეტრი 0,9 მ უდრიდა. პირისა და ფსკერის ნიშნულების მიხედვით № 9 ორმოს სიღრმე 1,9 მ, ხოლო № 12 ორმოს სიღრმე 3,75 მ უდრიდა. როგორც ყველა სხვა ორმო, ეს ორმოებიც მთლიანად ამოვსებული იყო მოყავისფერო-ყვითელი ფერის თიხა-თიხნარებით, რომელშიაც შერეული იყო ლოდები, აგურისა და კრამიტის ნატეხი და სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთები.

№ 9 ორმოს შევსებაში აღმოჩენილი იქნა ოთხი ნივთი: 102. მონეტა, 103. მინის სამაჯურის ნატეხი, 104. მინის ჭურჭელი და 105. მონეტა (ტაბ. XII, XVIII და XXIII).

№ 12 ორმოს შევსებაში კი შემდეგ აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი: 153. მინის სამაჯურის ნატეხი, 154. ყურიანი ჭილა, 155. ყურიანი ჭილა, 156. ქვაბ-ქოთანა, 157. სურა, 158. მონეტა, 159. ქვევრის პირის

ნატეხი (ტაბ. XII, XVIII და XXV).

№ 9 ორმოში აღმოჩენილი მონეტებიდან № 102 დემეტრე I-საა, ხოლო № 105 კი დარუბანდშია მოჭრილი, ე. ი. ორივე XII საუკუნისაა.

№ 12 ორმოში აღმოჩენილი № 158 მონეტა მოჭრილია გიორგი III და თამარის მეფობის დროს, ე. ი. ასევე XII საუკუნისაა. ამრიგად, მესამე ფენის ეს ორი ორმო XII საუკუნისაა და მის შევსებაში აღმოჩენილი მთელი არქეოლოგიური მასალაც ამავე XII საუკუნით უნდა დავათარიღოთ.

ორმო № 10 დათარიღება

ორმო № 10 მდებარეობდა გათხრილი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ამოჭრილი იყო ყვითელი ფერის დელუვიურ თიხებში. ორმოს ფსკერი მტკვრის ძველი ალუვიონის ფენამდე დადიოდა. სხვა ორმოების მსგავსად, ეს ორმოც მოკანგისფრო-ყვითელი თიხებით იყო ამოვსებული, რომელშიაც რიყის ქვის, აგურ-კრამიტის ნატეხები და არქეოლოგიური ნივთებიც იყო შერეული. ორმო, ძირითადად, მრგვალი კვეთისა იყო. მისი დიამეტრი 0,9 მ უდრიდა (ზედა ნაწილში, ეს ორმო სწორკუთხედის ორმოს ამოჭრით საკმაოდ იყო გაფართოებული). ორმოს პირის ნიშნულია—396,38, ფსკერის ნიშნული — 392,38, ე.ი. ორმოს სიღრმე ოთხ მეტრს უდრიდა (ტაბ. VIII). ამ ორმოს შევსებაში თიხისა და მინის ნაწარმი, სხვადასხვა წვრილი ნივთები და მონეტები აღმოჩნდა. ქვევით ამ ნივთების დასახელება, ერთიმეორეს მიყოლებით ზემოდან ქვევითაა წარმოდგენილი: 106. მინის სამაჯურის ნატეხი, 107. მინის სამაჯურის ნატეხი, 108. ჯამის ნატეხი, 109. ქვევრის კედლის ნატეხები, 110. ჭურჭლის ძაბრისებრი ყელი, 111. ნიჟარისებური ჭრაქი, 112. ჩარექა, 113. მონეტა, 114. კოჭობი, 115. ღრმა ჯამი, 116. ჯამი, 117. სასმისის პირის ნატეხი, 118. ჭურჭლის ყელი, 119. ჭურჭლის ნატეხი, 120. სურის ყელი, 121. ჭურჭლის (პატარა სურის) ნატეხი, 122. ჯამის ძირი, 123. ჯამი, 124. დოქი, 125. ჩაფის ყელი, 126. ჩინის რგოლი, 127. მინის პატარა სურის ყელ-ყურა, 128. სამაჩილე, 129. მონეტა, 130. მინის პატარა ჭიქა, 131. ქოთანი, 132. მინის სამაჯურის ნატეხი, 133. დიდი ჯამი, 134. ჯამი, 135. ჯამის ნაწილი, 136. სამაჩილე, 137. მინის ჭურჭლის სახელური (ტაბ. XII, XVIII, XXIV და XXV).

ამ ორმოში, სხვა ნივთებთან ერთად, საკმაოდ მოზრდილი თიხის ჯამი (№ 115) აღმოჩნდა. იგი წუნდებული პროდუქციის ნიმუშია და ამიტომ მოუჭიქავიცაა; თუმცა კი საამისოდ ჯამი უკვე გამზადებული ყოფილა. თეთრი ანგობით დაფარულ ზედაპირზე ამოუკაწრავთ მარყუჟები და მრუდი ხაზები. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ეს ორმოც თიხის ჭურჭლების წარმოებასთანაა დაკავშირებული. მეორე მხრივ, როგორც ამის შესახებ ზევითაც აღვნიშნეთ, № 14 ორმო გრუნტის წყლების შემცველ კენჭნარის ფენამდე დავიდა. ამიტომ, დასაშვებია, რომ იგი ისევე როგორც № 11 ორმოც, კერამიკულ სახელოსნოებში თავდაპირველად ჭის მაგივრობას ასრულებდა.

ორმო № 10 გათხრილი ტერიტორიის III ფენას ეკუთვნის, რომელიც XI—XIV სს. თარიღდება. მაგრამ ამ ორმოში აღმოჩენილი ორი მენეტის მიხედვით, რომელთაგან პირველი (№ 113) ლაშა გიორგის მონეტაა (ნიშნ. 395,74), ხოლო მეორე (№ 129) დემეტრე I (ნიშნული 393,70), შეიძლება ორმო და ორმოში აღმოჩენილი მასალა XII—XIII საუკუნეებით დავათარიღოთ.

საყურადღებოა, რომ ამ ორმოში აღმოჩენილი მასალის მიხედვით მეტად რელიეფურად ჩანს თიხის ნაწარმის განვითარების ყველა ის ნიშნები, რაც დამახასიათებლად იქნა მიჩნეული XI—XII საუკუნეებისათვის. ეს დამახასიათებელი ნიშნები მოვდევნო XII—XIII სს. სრულყოფილ სახეებამდე დადის: ფართო ხმარებაში შემოდის ამოკაწვრის ხერხით გამოყვანილი პოლიქრომული მოჭიქვის ტექნიკა; ჩნდება აგრეთვე წითელი კაცის ჭურჭლები, რომელთა ზედაპირზე შავი საღებავებით სხვადასხვა მოტივია გამოსახული.

გვიანი პერიოდის ორმოების დათარიღება

ბაღში გათხრილი ტერიტორიის მეორე ფენას ეკუთვნის ორმოები № 1, № 2, №Б—2¹, № 5¹, № 22¹ და № 26. ეს ორმოები განლაგებული იყვნენ გათხრილი ფართობის სხვადასხვა უბანზე, ზოგ შემთხვევაში ყველაზე უგვიანესი პერიოდის ნაგებობათა ნაშთების ქვეშ. ქვემოთ ცხრილში მოტანილია ამ ორმოებისათვის დამახასიათებელი ანაზომები—ნიშნულები და სიღრმეები:

ზემოთ დასახელებული ორმოებიდან №Б—2¹ და № 5¹, რომელთა ფსკერი გრუნტის შემცველ რიყნარზე დავიდა ჭები უნდა იყოს, ხოლო დანარჩენები—სამეურნეო დანიშნულებისა. ასეთი სახის ორმოებს XIX საუკუნის თბილისური სახლების

ცხრილი 6

№№ რიგ.	ორმოს №№	პირის ნიშნული	ფსკერის ნიშნული	ორმოს სიღრმე მ.-ბით
1	№ 1	397,30	395,60	1,70
2	№ 2	396,30	392,00	4,30
3	№Б—2[1]	396,30	392,00	4,30
4	№ 5[1]	397,30	392,80	4,50
5	№22[1]	396,86	393,96	2,90
6	№ 28	397,30	395,55	1,75

სარდაფებშიაც ხშირად ვხვდებით. ისინი უმთავრესად მაცივრების დანიშნულებითაა გამოყენებული.

აღნიშნული ორმოების ზოგადი დახასიათებისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი მიწით შევსებული ძველი ორმოს ადგილას იყო ამოღებული. მაგალითად ორმო №Б—2[1] ჩაჭრილი იყო IX—X სს. ორმოში, ხოლო 22[1]—XII საუკუნის ორმოში. ამიტომაცაა, რომ ამ ორმოებში გვიანი პერიოდის არქეოლოგიური მასალის გვერდით, ადრეული ხანის ძეგლებიც აღმოჩნდა. ქვემოთ მოტანილია მხოლოდ ამ ორმოებში აღმოჩენილი გვიანი პერიოდის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მასალა.

ორმო № 1 გათხრილი უბნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობდა. ორმოში აღმოჩნდა XV ს. მონეტა (№ 46), ნიშნული 395,78 (ტაბ. XI).

ორმო № 2 გათხრილი უბნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. ორმოში აღმოჩნდა მოჭიქული თეფში (№ 36).

ორმო №Б—2[1] გათხრილი უბნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა გაუთხრელი ნაწილის (მთელანას) გვერდით. მის შევსებაში აღმოჩნდა: თიხის დოქის ყელი (№ 43), თიხის ფიალა (№ 44) (ტაბ. XXI) და ორი მონეტა: ერთი XIV ს. (№ 45), ხოლო მეორე—XVI ს. (№ 41).

ორმო № 5[1] გათხრილი ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, აგრეთვე მთელანას გვერდით. ამ ორმოს შევსებაში აღმოჩნდა XV ს. ქართული მონეტა (№ 67[1]), ნიშნ. 394,02 და აგუოები კირის ორნამენტალური შელესილობით.

ორმო № 22[1] გათხრილი მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მის შევსებაში აღმოჩნდა: 259. ჭურჭლის კედლის ნატეხი, 263. ფაიანსის დიდი ღრმა ჯამი, 264. ფიალა, 266. მინის ჯამი (№ 274, ტაბ. XXXIV).

ორმო № 28 გათხრილი ფართობის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. მის შევსებაში აღმოჩნდა ჯამი (№ 274, ტაბ. XXXIV).

გრუნტის ორმოები № 1, №Б—2[1] და № 5[1], მათში აღმოჩენილი მონეტების მიხედვით შესაბამისად XV, XIV—XVII და XV სს. თარიღდებიან. ამ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს № 5[1] ორმოს თარიღი, რომელშიაც გარდა XV ს. მონეტისა, აგურის კედლის წყობის მოჩუქურთმებული შელესილობის ნატეხებიც აღმოჩნდა. ეს შელესილობა კი კიროვის სახ. რაიონში აქამდე დაცულ XVII საუკუნის, როსტომისეული აბანოს ერთ-ერთი ოთახის კედლის მოხატულობას ჰგავს. ამიტომ № 5[1] ორმო XV—XVII სს. უნდა დათარიღდეს.

№ 2 ორმოს შევსებაში მწვანედ მოჭიქული, ქუსლიანი თეფშის ნატეხები აღმოჩნდა. ეს ორმო მდებარეობდა XVIII ს. ნაგებობათა სამრკალის ქვეშ და ამიტომ იგი XVI—XVII ს. მაინც უნდა დათარიღდეს. მსგავსი საბუთების მიხედვით აგრეთვე XVI—XVII სს. უნდა დათარიღდეს № 28 ორმოც და ამ ორმოში აღმოჩენილი ქუსლგამოყვანილი, მწვანედ მოჭიქული ჯამიც (№ 274).

რაც შეეხება № 22[1] ორმოსა და ამ ორმოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს, მათი ნაწილი ფაიანსის ჯამის მიხედვით XVII—XVIII სს. უნდა ეკუთვნოდეს.

წარმოებული მსჯელობის საფუძველზე, განხილული ყველა ორმო და მათში აღმოჩენილი გვიანი პერიოდის მასალაც, მართებული იქნება დავათარიღოთ ისე, როგორც ეს ქვემოთ ცხრილშია ნაჩვენები (ცხრილი 7).

ამრიგად, გათხრილი 38 ორმოდან დათარიღდა 15 ორმო და მათ შევსებაში აღმოჩენილი საკმაოდ დიდი მასალა. მასალისა და აგრეთვე სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით დათარიღებულ იქნა სხვა ორმოები და მათ შევსებაში აღმოჩენილი მასალაც.

ქვემოთ №№ 8 და 9 ცხრილებში მოცემულია გათხრილი ორმოების განაწილება საუკუნეების მიხედვით, რომლებიც, როგორც უშუალოდ, ასევე მასალის ურთიერთ შედარების გზითაა დათარიღებული. დაუთარიღებელი დაგვრჩა 6 ორმო.

ცხრილი 7

№№ რიგზე	ორმოს დასახელება	ორმოს დამთარიღებელი მასალა	ორმოში და ორმოს შევსებაში აღმოჩენილი მასალის დათარიღება
1	ორმო № 1	სპილენძის მონეტა № 1256—56, გაურკვეველი, ტიპით XV ს., ნიშნული 395,78	XV საუკუნის
2	ორმო № 2	სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით	XVI—XVII საუკუნეების
3	ორმო В—2[1]	სპილენძის მონეტა № 1423—56, XIV ს., ნიშნ. 393,75 სპილენძის მონეტა № 1373—56, აღმოსავლური ტიპის, XVI—XVII სს., ნიშნ. 394,36	XIV—XVII საუკუნეების
4	ორმო 5[1]	სპილენძის მონეტა № 1423—57, ქართული, XV ს., გაურკვეველი, ნიშ. 394,02	
5	ორმო № 22[1]	ამ ორმოში აღმოჩენილი კობალტის საღებავით მოხატული ფაიანსის ჯამის მიხედვით	XVII—XVIII საუკუნეების
6	ორმო № 28	სტატიგრაფიული მონაცემების მიხედვით	XVI—XVII საუკუნეების

ცხრილი 8

V—VII	VII	VII—VIII	IX	IX—X	X	X—XI	XI—XII	XII	XII—XIII	XIV—XVII	XV—XVII	XVI—XVII	XVI—XVIII	XVII—XVII	დადგენილი ვერ	
Б—1	Б—2 Б—3 6	19 27 11 15 17 25 К—2	3[1] 7	5 16	20 21	К—1	18	14	1[1] 9 10 12 22	3 Б—2[1]	1	5[1]	2 28	22[1]	2[1] 8 13 23 24 26	
1	7	3	2	2	2	1	1	1	5	2	1	1	2	1	6	38

ასევე სტრატიგრაფიული მონაცემებისა და ურთიერთ შედარების წესითაა დათარიღებული კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მასალის ნაწილიც. განათხარი მასალის ზოგიერთი ნიმუში დაუთარიღებელი დარჩა. მაგრამ ავტორებმა მათი გამოქვეყნებაც სასურველად ჩათვალეს (ტაბ. X).

ამრიგად, იმ საბუთების მიხედვით, რომელიც ზევით იყო განხილული დათარიღდა ძველი თბილისის ტერიტორიაზე 1956—57 წწ. გათხრებით აღმოჩენილი ნივთიერი მასალის ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი.

იმის გასარკვევად, თუ როგორ მიმართებაშია ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი თარიღები ა/კავკასიაში და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის სხვა პუნქტებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის თარიღებთან, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ და ზოგადად შევეხოთ ა/კავკასიაში ფეოდალური პერიოდის ძეგლების გათხრების ისტორიას და ამ გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთიერი მასალის შესწავლა-დათარიღების საკითხს.

როგორც ცნობილია, კავკასიაში პირველად, საკმაოდ დიდი მასშტაბით, ფეოდალური პერიოდის ნაქალაქარების გათხრები, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში პროფ. ნ. მარმა დაიწყო ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე. იგი რამოდენიმე წლის მანძილზე თხრიდა ნაქალაქარ ანისს[6]. ამ გათხრების დროს ფეოდალური ეპოქის სხვადასხვა საუკუნეების, მათ შორის ადრეფეოდალური ხანის კერამიკული მასალა აღმოჩნდა, მაგრამ გამთხრელს ეს მასა-

[6] Н. Я. Марр, Ани, книжная история города и раскопки на месте городища, Ленинград, 1934.

უშუალოდ დათარიღებული ორმოები			შედარებითი წესით დათარიღებული ორმოები		
№№ რიგ.	ორმოს №	თარიღი	№№ რიგ.	ორმოს №	თარიღი
1	ორმო Б—1	V—VII	1	3	XIII
2	2	XVI—XVIII	2	Б—2	VII
3	Б—2[1]	XIV—XVII	3	Б—3	VII
4	1	XV	4	1[1]	XII—XIII
5	5[1]	XV—XVII	5	3[1]	IX
6	7	IX	6	2[1]	დაუთარიღებელი
7	9	XII	7	5	IX—X
8	10	XII—XIII	8	6	VII
9	11	VII—VIII	9	8	დაუთარიღებელი
10	12	XVI	10	13	დაუთარიღებელი
11	14	X—XII	11	15	VII
12	16	IX—X	12	17	VII
13	20	X	13	18	
14	22	XVII - XVIII	14	19	VII—VIII
15	28	XVI—XVII	15	21	X
			16	22	XII
			17	23	დაუთარიღებელი
			18	24	დაუთარიღებელი
			19	25	VII
			20	26	დაუთარიღებელი
			21	27	VII—VIII
			22	К—1	X—XI
			23	К—2	VII

ლა არ გამოუქვეყნებია. ამ ბოლო ხანებში ბ. შელკოვნიკოვმა[7] შეკრიბა და გამოაქვეყნა ამ მასალის ნაწილი—მოჭიქული და ფაიანსის ჭურჭლების ზოგიერთი კარგი ნიმუშები. ეს მასალა უმთავრესად შედარების ხერხითაა დათარიღებული და ამიტომ მოკლებულია იმ სიზუსტეს, რომელიც მოსდევს მასალის დათარიღებას სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი ჭურჭელი განხილული კოლექციიდან IX ს. ადრე პერიოდითაც შეიძლება დათარიღდეს.

ამის შემდეგ, ა/კავკასიის ტერიტორიაზე, ფეოდალური პერიოდის ძეგლების გათხრა საქართველოში დაიწყო. ითხრებოდა დმანისის ნაქალაქარის (1936 - 37 წწ.), ბოლნისის სიონისა (1936 წ.) და გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის (1938—39 წწ.) ნაშთები[8]. ამ გათხრების შედეგად დიდი მოცულობისა და მეტად საყურადღებო ნივთიერი მასალა აღმოჩნდა. მაგრამ ეს მასალა გამთხრელის ლ. მუსხელიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო მთლიანად არ გამოქვეყნებულა. გათხრების დაწყებიდან 20 წლის შემდეგ ექსპედიციის მონაწილეებმა ზ. მაისურაძემ და ვ. ჯაფარიძემ განათხარი მასალის ერთი ნაწილი — თიხის ნაწარმი—გამოაქვეყნეს; თიხის ჭურჭლების ეს კოლექცია ავტორებს XI—XIII სს. აქვთ დათარიღებული. მასალის ასეთი დათარიღება უსათუოდ დაზუსტებას მოითხოვს. ამ მასალაში არის აგრეთვე XI საუკუნეზე უადრესი ნივთებიც და ამიტომ მათ მიერ შემოთავაზებული თიხის ჭურჭლის კლასიფიკაციებიც გადასინჯვას მოითხოვს[9].

ამ საუკუნის ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ფეოდალური ნაქალაქრების გათხრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზედაც დაიწყო—ითხრებოდა ნაქალაქარები კაბალა, ბაქო, განჯა და ორენკალა[10].

[7] Б. А. Шелковников, Поливная керамика из раскопок города Ани, Ереван, 1957.

[8] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქევის აღწერა. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი. 1938; მისივე, ბოლნისი, „ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე", ტ. III, თბილისი, 1938; ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი და ვ. ჯაფარიძე, გუდარეხის პირველი და მეორე არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, თბილისი, 1954.

[9] ზ. მაისურაძე, ქართული მბატვრული კერამიკა (XI—XIII სს.), დმანისის ანგობიანი კერამიკა, თბილისი, 1953; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI—XIII სს.), თბილისი, 1956.

[10] В. Н. Левиатов, О типах глазурованной керамики Азербаиджана, „Изв. АН Аз. ССР", № 7, Баку,

გ. ლევიატოვმა პირველად სცადა აღნიშნულ ნაქალაქარებში აღმოჩენილი მასალის ზოგიერთი ნიმუშების საფუძველზე მოჭიქული ჭურჭლების საუკუნეების მიხედვით დათარიღება და რაც მთავარია, გამოჰყო ადრეფეოდალური პერიოდის კერამიკული მასალა, თავისი დამახასიათებელი ტექნოლოგიური თავისებურებებით. მაგრამ ამას განათხარი მასალის მთლიანი პუბლიკაცია იქვე არ მოჰყვა და ამიტომ მასალის შესწავლის დონე ისევ ძველი დარჩა.

ასევე 1937 წლიდან დაიწყო სომხეთში ნაქალაქარ დვინის გათხრები. უსათუოდ მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს, რომ ნაქალაქარის გათხრები, სამამულო ომის წლების გამოკლებით, გრძელდებოდა დღემდე სისტემატურად. ამ რთული ძეგლის გამთხრელმა კ. კაფანდარიანმა 1952 წელს დვინის გათხრების მასალების პირველი პუბლიკაცია მოგვცა[11]. ამ ნაშრომში მკაფიოდაა ნაჩვენები ა/კავკასიის ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურა სომხეთის ტერიტორიაზე. ნაშრომის დამსახურებას წარმოადგენს მთელი რიგი ნივთებისა და მათ შორის კერამიკული ჭურჭლების ადრეფეოდალური პერიოდით დათარიღება (V—X სს.). საინტერესო მასალა აქვს გამოქვეყნებული დვინის მხატვრული კერამიკული წარმოების შესახებ ბ. შელკოვნიკოვსაც[12].

ა/კავკასიის ფეოდალური პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლების გათხრა საქართველოში ახალი ობიექტების გათხრებით გაგრძელდა[13]. ასეთები იყო უჯარმის ციხე-ქალაქის, რუსთავისა და თბილისის გათხრები. ამით საქართველოში ფეოდალური ეპოქის მატერიალური კულტურის შესწავლაში ახალი ეტაპი დაიწყო. თბილისისა და რუსთავის ნაქალაქარის გათხრებმა მკაფიოდ დაათარიღა XI—XIII სს. ნივთიერი მასალა. ა/კავკასიაში პირველად სწორედ თბილისში აღმოჩნდა XII—XIII სს. მოჭიქული ჭურჭლების გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოები. უჯარმის ციხე-ქალაქის გათხრებმა ფართოდ წარმოადგინა საქართველოს ადრეფეოდალური ეპოქის მატერიალური კულტურის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია.

1953—55 წწ. ითხრებოდა აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ნაჰივჰავები (თეთრიწყაროს რაიონი). გამთხრელმა გათხრების მხოლოდ მოკლე ანგარიშები გამოაქვეყნა[14]. ამით ა/კავკასიაში პირველად დაიწყო XI—XIII სს. ფეოდალური ნასოფლარების გათხრა და საფუძველი ჩაეყარა ფეოდალური პერიოდის უშუალო მწარმოებლის — გლეხის მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლების და ქალაქის და სოფლის ურთიერთობის საკითხების შესწავლას მატერიალური კულტურების ურთიერთშედარების გზით.

უდავოდ დიდი მნიშვნელობისაა აგრეთვე ახალი გათხრები აზერბაიჯანში—ორენ-კალას ნაქალაქარის ტერიტორიაზე (1951—1953—1954 წწ.). ახლახან მთელმა რიგმა ავტორებმა გამოაქვეყნეს ამ გათხრების მასალები[15]. შრომაში ბევრი რამაა საგულისხმო ისტორიული აზერბაიჯანის საქალაქო ცხოვრების და განვითარების შესწავლისათვის.

ჩვენთვის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ორენ-კალაში XI ს. უადრესი მასალა აღმოჩნდა, სადაც შემდეგში შეიძლება უფრო უადრესი მასალაც გამოირჩეს, კერძოდ, V—VII საუკუნეებისა.

1946; В. Н. Левиатов, Археологические раскопки 1946 г. в окрестности г. Баку, „Изв. АН Аз. ССР", №4, Баку, 1948; И. М. Джафарзаде, Старая Ганджа, „Изв. Института им. Бакиханова", Баку, 1949; И. М. Джафарзаде, Археологические раскопки в Орен-Кала 1951 г., Труды Института истории и философии АН Аз. ССР, Баку, 1954.

[11] К. Т. Кафандарян, Город Двин и его раскопки, Ереван, 1952.

[12] Б. А. Шелковников, Художественная керамика Двинских раскопок, „Изв. Арм.филиала АН СССР", № 4—5, Ереван, 1940.

[13] Г. А. Ломтатидзе, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии. СА, XXVII, 1957; ო. ჯაფარიძე, „განჯის კარის" 1948 წ. გათხრის ანგარიში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, თბილისი 1955; იქვე, გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზამთარში; იქვე, გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები.

[14] ი. გძელიშვილი, თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954; მისივე, არქეოლოგიური გათხრები ნაჰივჰავებში (თეთრიწყაროს რაიონი) 1954 წ., იქვე, ტ. XVII, № 1, 1956 წ.; მისივე, ნასოფლარ ნაჰივჰავების არქეოლოგიური თხრის შედეგები, ტ. XVIII, № 7, 1956 წ.

[15] Труды Азербайджанской (Орен-Каланской) экспедиции, т. 1, МИ, № 67, Москва; ა. ა. ესენის, ე. პახომოვის, ა. იაკუბოვის, ნ. მინკევიჩ-მუსტაფაევას, გ. ახმედოვის, ბ. შელკოვნიკოვის წერილები.

მოკლედ, ასეთი ვითარება იყო კავკასიაში ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის შესწავლის ხაზით, როდესაც თბილისში ახალი გათხრები დაიწყო (1956—57 წწ.). ამ გათხრების შედეგად გამოვლინდა ფეოდალური ეპოქის, მათ შორის ადრეფეოდალური ხანის (V—X სს.) აქამდე უცნობი ძეგლები და კიდევ ერთხელ იქნა დამოწმებული ადგილობრივ ნიადაგზე წარმომდგარი ფეოდალური კულტურის ურთიერთობა ა/კავკასიაში და მისი თავისთავადი ლოკალურობა საქართველოში.

ზემოთ თქმულის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია თბილისში ახლად აღმოჩენილ და დათარიღებულ მასალას პარალელებიც მოუძებნოთ ა/კავკასიის სხვა ანალოგიურ მასალასთან. მაგრამ ეს მსგავსება უმთავრესად და მხოლოდ ცალკეული ნივთების მსგავსებაში კი არ გამოიხატება, არამედ ძირითადად ტექნიკური დონის განვითარების იმ ერთიანობაშია წარმოდგენილი, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ვითარდებოდა ადრე, შუა და გვიანი ფეოდალიზმის სხვადასხვა საფეხურზე.

თავი მეხუთე

თიხის, მინის, ძვლის და ლითონის ნაწარმის დახასიათება

ზოგი რამ თიხისა და მინის ჭურჭლების განვითარების შესახებ ზევითაც ითქვა, როდესაც განათხარ მასალას ვიხილავდით ორმოების დათარიღების დროს. ქვემოთ კი დახასიათებული იქნება ყველა ორმოს განათხარი მასალა. ეს მასალა მრავალფეროვანია და დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს. ამიტომ გამოტანილი დასკვნები ბევრი რამით შეიძლება საერთოც იყოს მატერიალური კულტურის განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ დიდი ტერიტორიისათვის, კერძოდ, ისტორიული ქართლისათვის. საკითხის ასეთი დაყენების დროს ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ამ დიდ ტერიტორიაზე ცალ-ცალკე, მცირე საწარმოო ცენტრებიც იყო, რომელთაც თავისი ლოკალური თავისებურებები ჰქონდათ. მაგრამ წარმოების ეს ლოკალური თავისებურებანი დროის მიხედვით მათი ფართო ხასიათის გაერთიანებას ხელს არ უშლის. მაგალითისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ განსხვავება-მსგავსება XI—XIII სს. მოჭიქული ჭურჭლების შემკობა-შეფერადების მხრივ თბილისში, რუსთავში და დმანისში მოპოვებული განათხარი მასალის მიხედვით.

საკითხის ასეთნაირად დასმა ახალი არ არის. ადრე ამაზე ყურადღება ზ. მაისურაძემ, ვ. ჯაფარიძემ და გ. ლომთათიძემ გაამახვილეს[1].

ჩვენ აქ სიახლე მხოლოდ იმ მხრივ შეგვაქვს, რომ აღნიშნულ აზრს ვავრცელებთ ადრეფეოდალურ პერიოდზედაც. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს IX—X სს. თბილისისა და მცხეთის მოჭიქული ჭურჭლების შედარება[2].

ერეკლე მეორეს სახ. მოედნის ბაღში 1956—1957 წწ. წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი თიხის, მინის, ძვლისა და ლითონის ნაწარმი ქვემოთ განხილული იქნება შემდეგი თანამიმდევრობით: I. მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, II. მოჭიქული თიხის ჭურჭელი, III. ფაიანსის ნაწარმი, IV. მინის ჭურჭელი და მინის სამკაულები (სამაჯურები), V. ძვლის ნაკეთობა და VI. ლითონის ნაკეთობა.

I. მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი

ა. გალექილი თიხისაგან დამზადებული მოთეთრო-მოვარდისფრო კეცის ჭურჭელი

გალექილით თიხისაგან დამზადებული მოთეთრო-მოვარდისფრო კეცის ჭურჭელი გათხრილ ფართობზე სხვადასხვა დროის მიწის ორმოებში აღმოჩნდა. ამგვარი ჭურჭლები თბილისში ხმარებაში ყოფილა ძირითადად VII—XIII სს., მაგრამ გარდა ამისა, ასეთი კეცის ჭურჭელი XVII—XVIII საუკუნეებშიაც გვხვდება. განათხარი მასალიდან ისიც კარგად ჩანს, რომ თბილისის სახელოსნოები ამგვარი კეცისაგან უმთავრესად დოქებს, სურებს, სასმისებს, ტოლჩებს და ჩაიდნისებრ ჭურჭლებს ამზადებდნენ.

ასეთი ჭურჭლების ზედაპირი V—IX სს. თეთრი თიხის თხელი აპკით იყო ხოლმე დაფარული და

---

[1] ზ. მაისურაძე, „ქართული მბატვრული კერამიკა XI—XIII სს.“, თბილისი, 1953; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა XI—XIII სს., თბილისი, 1956; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზამთარში, თბილისი, 1955.

[2] 1958 წლის ზაფხულში მცხეთაში ექსკურსიის დროს, სამთავროს ეკლესიის მახლობლად შემთხვევით აღმოვაჩინეთ IX—X სს. მოჭიქული ჯამის ძირები. მათი ზედაპირი თეთრი ანგობის ზოლებით და მოყვითალო ჭიქურითაა მოხატული (ი. გძელიშვილი).

გაპრიალებული. ამავე კეცის ჭურჭლის ზედაპირი XI—XIII სს. ყოველთვის ოდნავად ხაოიანი კეთდებოდა.

მცირე ზომის V—VIII საუკუნის დოქების (ტაბულა XIX, № 22, ტაბ. XXXV, № 290) და ჩაიდნისებური ჭურჭლების (ტაბულა XXXV, № 291) უმეტესობას ახასიათებს მრგვალად გამოყვანილი მუცელი და ძაბრისებრი, მაღალი ყელი, ხოლო სასმისებს—მოხდენილი, ოდნავ წაგრძელებული, გამოყვანილი ტანი (ტაბ. XIX, № 32). ასეთი კეცის ადრეული პერიოდის ჭურჭლებს ყურები ოვალური კვეთისა აქვთ და ყელის მახლობლად მეჩეჩისებრი ნაზარდით შემკული. ჭურჭლის ძირები კი ყოველთვის ბრტყელია და ზოგჯერ მუცლისაგან ოდნავ გამოყოფილი ქუსლი ახასიათებთ. ზოგიერთი მათგანის ძირი მიძერწილი სამით ფეხით მთავრდება (ტაბ. XVIII, № 179), გარდა ამისა, გვხვდება აგრეთვე საშუალო ზომის ტოლჩები, რომელთაგან ზოგიერთს კანელურებიანი კედლები აქვს (ტაბ. XXX, № 219).

მომდევნო პერიოდში, ე. ი. XI—XIII სს., როგორც აღვნიშნეთ, მოთეთრო-მოვარდისფრო კეცის ჭურჭლების ზედაპირი ოდნავ ხაოიანია. ამ შემთხვევაში მაღალი, კონუსური ყელის გვერდით ჩნდება აგრეთვე ცილინდრული მაღალი ყელის მქონე ჭურჭლებიც. ზოგიერთი მათგანი პირჩაბრუნებულია (ტაბ. XXIV, № 118), ზოგსაც ყელში დასვრეტილი ძგიდეები უკეთდება (ტაბ. XXII, № 60). ამ დროის ჭურჭლის ძირები უმეტეს შემთხვევაში ქუსლიანი და ფერდებისაგან შესამჩნევად გამოყოფილია (ტაბ. XXIV, № 124). ზოგ ჭურჭელს გრეხილი ყურები აქვს და მუცელზე თითით დაჭდეული სარტყელი (ტაბ. XXX, № 210).

V—VIII სს. მოთეთრო-მოვარდისფრო კეცის მქონე თიხის ჭურჭელს თითქმის ყოველთვის დაკეჭნილი ან წრიული ღარები ამკობს, მაგრამ თეორ ზედაპირზე ასეთი ორნამენტი თითქმის მუდამ მკრთალად ჩანს.

აღნიშნული კეცის ჭურჭელი XVII—XVIII საუკუნეების მასალაში დიდი ჭურჭლის კედლის ნატეხითაა წარმოდგენილი და მის შესახებ ეხლა გარკვევით აზრის თქმა ძნელდება (ტაბ. XXXIII, № 259).

ბ. რუხი კეცის სპეციალური დანიშნულების ჭურჭლები

რუხი კეცის სპეციალური დანიშნულების ჭურჭელი განათხარ მასალაში ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი და ორივე სფეროკონუსია. IX ს. სფეროკონუსი ზედა ნაწილის მოზრდილი ნატეხითაა წარმოდგენილი და დეფორმირებულია (ტაბ. XXIII, № 90). მეორე X საუკუნისაა, იგი ცილინდრულია და წელშეზნექილი. მის კონუსურ ძირზე ჰდეული წრეებისაგან და გვერდებშეზნექილი ექვსკუთხა ნაკვთისაგან შედგენილი ორნამენტია დატანილი (ტაბ. XXXI, № 240).

გ. გალეჭილი თიხის წითელი კეცის ჭურჭელი

გალეჭილი თიხის წითელი კეცის ჭურჭლის ნატეხები გათხრილ ფართობზე თითო-ოროლა ეგზემპლიარი აღმოჩნდა და ისიც VII—VIII საუკუნეების ორმოებში. შეიძლება, გვიანი ანტიკური პერიოდის ჭურჭლების დამზადების ეს ტრადიცია საერთოდ კავკასიაში ადრეფეოდალური პერიოდის ბოლოს წყდება. ადრეფეოდალურ ხანაში განათხარი მასალის მიხედვით აღნიშნული კეცის VII საუკუნის ჭურჭლებიდან დამახასიათებელია მოხდენილი სამტუჩა დოქი (ტაბ. XXI, № 37[1]) და ქუსლიანი ჯამი (ტაბ. XXI, № 48), ხოლო VIII საუკუნისათვის ყელში ფილტრის მქონე დიდი ხელადისებრი ჭურჭელი (ტაბ. XXII, № 72), ტალღისებრ ჩაზნექილ-ამოზნექილი პირის მქონე ჯამი (ტაბ. XXVI, № 149). ყურიანი ფინჯანი (ტაბ. XXVI, № 146) და ქუსლგამოყვანილი სამაჩილეები (ტაბ. XXVI, №№ 147, 148). ყველა ამ ჭურჭლების ზედაპირი გაპრიალებულია და გლუვი. ასეთი ჭურჭლების დახვეწილ ფორმებს ხაზს უსვამს და აძლიერებს მსხვილი რელიეფური სარტყლები, ჰდეები და ტალღისებრი ზედაპირი.

დ. შავი საღებავით მოხატული წითელი კეცის ჭურჭელი

შავი საღებავით მოხატული წითელი კეცის ჭურჭელი განათხარ მასალაში 6 სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.

შავი საღებავის ხაზებით ორნამენტირებული წითელი კეცის VII ს. ჭურჭლებიდან ორი ნიმუშია ფიალა (ტაბ. XXI, № 50) და ფრინველისთავიანი

ყელვიწრო დოქი (ტაბ. XXVI, № 150). საგულისხმოა, რომ ფიალის ძირზე შავი საღებავით დატანილ ოთხ რომბზე ყვითელი საღებავია წასმული. შეიძლება, ზემოდან ჭურჭელს გამჭვირვალე ჭიქური ჰქონდა მოსხმული და მიწაში დიდხანს დების გამო ჭიქურის ფენა გადაეცალა. ასევე, შავი საღებავითაა მოხატული დოქის ნატეხის მთელი ზედაპირი ისე, რომ მისი პირი ფრინველის პირსაა დამსგავსებული.

მომდევნო პერიოდში (X—XIII სს.) შავი საღებავით ჭურჭლეულის მოხატვის ტრადიცია გრძელდება სურა-ხელადების (ტაბ. XXIV, № 119 და 120) და დოქების (ტაბ. XXXV, № 279) ზედაპირზე, მაგრამ ასეთი ტექნიკით ჭურჭლის ზედაპირის გაფორმება უხეშადაა შესრულებული. ასეთი ორნამენტალური შემკულობისათვის გამოყენებულია რგოლები, ოვალები, მრუდი და სწორი ხაზები, ხოლო ზოგჯერ, მათი პარალელური რიგები.

ე. წითელი საღებავით (წერნაქით) შემკული წითელი კეცის ჭურჭელი

გათხრილ ორმოებში წითელი კეცის ჭურჭელი, რომლის ზედაპირზე წერნაქია დადებული, სულ 10 ნიმუშში აღმოჩნდა. ამ ნიმუშების მიხედვით ეს ჭურჭელი XI—XII საუკუნეებს ეკუთვნის და სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლებითაა წარმოდგენილი. ასეთებია: ჩაფი (ტაბ. XXIV, № 125), ქილები (ტაბ. XXII, № 62, ტაბ. XXV, № 154, ტაბ. XXXIII, №№ 261, 265), დოქები (ტაბ. XXII, № 61), ლიტრა (ტაბ. XXXV, № 276) და ტოლჩა (ტაბ. XXXIII, № 260). ასეთი ნაწარმის ზედაპირზე წერნაქი უმთავრესად ლაქებისა და წინწკლების სახითაა დატანილი. იშვიათად ჭურჭლის მთელი ზედაპირია შეღებილი (ტაბ. XXXV, № 276). ჭურჭლის შემკულობაში ამოკაწვრით დატანილი ორნამენტიც ღებულობს მონაწილეობას: პარალელური ხაზები, ზოლები, ტოლები, ღარები და ყელის გარშემო წიბურები, მაგრამ მათ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და მკრთალად გამოიყოფიან. ყურიან ჭურჭლეულში მეტად დამახასიათებელია ბრტყელი ყურები, ჩაფებისათვის სამტუჩა პირი, ერთ შემთხვევაში XI ს. ქილის პირის ნატეხზე შტამპით დატანილია მედალიონი, რომლის შიგნით ჯვარია გამოსახული (ტაბ. XXVII, № 175).

ვ. წითელი კეცის სადა ჭურჭელი

წითელი კეცის სადა ჭურჭელი განათხარ მასალაში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. ეს პროდუქცია საინტერესოა იმითაც, რომ გავრცელების დროის მიხედვით მთელ ფეოდალურ ხანას მოიცავს (V—XVIII სს.).

დანიშნულების მიხედვით ეს ჭურჭლები წარმოდგენილია: ჩაიდნის, კვერცხისა და ნიყარისმაგვარი ჭრაქებით, აზარფეშებით, კოჭობებით, ჯამებით, ღრმა ჯამებით, ლანგრებით, ფიალებით, სამარილეებით, ფინჯნებით, ჭოთნებით, ჭვაბ-ჭოთნებით, ხელადებით, სურებით, ჩარექებით, დოქებით, ჩაფებით, ქილებით, კოტოშებით, ქვევრებით და ხუფებით.

1. ჩაიდნის, ნიყარისა და კვერცხის მაგვარი ჭრაქები განათხარი მასალის მიხედვით მხოლოდ V—VII სს. არის გავრცელებული. ყველა ჭრაქი შებოლილია, რაც იმას მოწმობს, რომ ჭურჭლები ხმარებაში იყო. ამ პერიოდის ჩაიდნისებრი ჭრაქებისათვის დამახასიათებელია თავწაკვეთილი საპატრუქე გრძელი ლულა (ტაბ. XIX, № 27, ტაბ. XXIX, № 193), ნიყარისებრი ჭრაქებისათვის ფართედ გადაშლილი გვერდები (ტაბ. XXI, № 49), ხოლო კვერცხისებრი ჭრაქისათვის დამახასიათებელია საპატრუქე ხვრელისა და ზეთის სასხამი ხვრელის ერთ სიბრტყეში გაკეთება (ტაბ. XXIX, № 197).

2. აზარფეშები მხოლოდ ნატეხების სახითაა წარმოდგენილი; სულ ორი ცალია. ერთი V—VIII სს. ხოლო მეორე X—XII სს. ეკუთვნის. აზარფეშის ადრეული ფორმისათვის მოკლე ბრტყელი სახელური და ფიალისებრი პირი (ტაბ. XX, № 8), ხოლო გვიანი ფორმისათვის მოკლე, მრგვალი კვეთის ღრუს მქონე სახელური, ჩაბრუნებული პირი და ბრტყელი ძირია დამახასიათებელი (ტაბ. XXX, № 209).

3. კოჭობი ორი ცალია VIII ს. (ტაბ. XXXV, № 293 და XII—XXXI სს. (ტაბ. XXIV, № 114). მათ შორის განსხვავება დიდი არ არის. ადრეულს—სწორი და ოდნავ გაშლილი პირი აქვს. გვიანდელს კი—გვირგვინიანი.

4. ღრმა ჯამები ადრეული ორმოების გათხრების დროს საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა, უმთავრესად ნატეხების სახით. ეს ჭურჭელი ძირითადად V—VII სს. არის დამახასიათებელი. მათ წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვთ, ვიწრო და ბრტყელი ძირი. ზოგიერთი ჯამის პირი ჩაბრუნებულია და ჭდეული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XX, № 4), ზოგიერთს კი სადა პირი აქვს (ტაბ. XXXIV, № 270).

5. ჯამები, ლანგრები, ფიალები, სამარილეები და ფინჯნები.

ჯამები განათხარ მასალაში ტიპიურად ოთხი ცალი იქნა მიჩნეული, რომლებიც V—VII, VII—

VIII, VIII და XII—XIII სს. თარიღდება. ჯამების ადრეული ნიმუშებისათვის (V—VIII სს.) დამახასიათებელია სადა ფორმები. ამ ჭურჭელს ძირი ბრტყელი აქვს, ხოლო პირი—სწორი ან ოდნავ ჩაბრუნებული (ტაბ. XX, № 17, XXX, № 216, ტაბ. XXVI № 152). XII—XIII სს. წითელი კეცის მოუჭიქავი ჯამებისათვის დამახასიათებელია: გამოკვანილი მაღალი ქუსლი, შეზნექილი ჭიპიანი ძირი, დაღარული ფართო ბაკო და მაღალი ქიმი (ტაბ. XXIV, № 123).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ერთი პერიოდის მოჭიქული და მოუჭიქავი ჯამები მსგავსი ფორმებით ხასიათდება.

ლანგარი ტიპიურად მხოლოდ ერთი ცალი იქნა მიჩნეული (ტაბ. XXVI, № 140). იგი VIII ს. თარიღდება. მისი პირი ოდნავ ჩაბრუნებულია. გარშემოუყვება ორი ჭდეული სარტყელი.

ფიალა ერთი ცალია (ტაბ. XXI, № 44), იგი VII ს. თარიღდება. მას სწორი პირიანი მაღალი კედლები და ოდნავ გამოყვანილი ბრტყელი ძირი აქვს.

პატარა ზომის თეფში აგრეთვე ერთი ცალია (ტაბ. XXXIII, № 264), რომელსაც ფრიალა და ოდნავ გამოყვანილი ძირი აქვს. თარიღდება XII ს.

სამარილე ერთი ცალია (ტაბ. XXIII, № 81); მას მაღალი ქიმი და ფართო ბაკო აქვს, რომელზედაც გარშემოუყვება ორი ღარი და წერტილოვანი ჭდეული ორნამენტი, ძირი ბრტყელია და გვერდებისაგან ოდნავ გამოყოფილი.

წითელი კეცის ფინჯანი ყურიანია, მას ხაოიანი ზედაპირი აქვს (ტაბ. XXVI, № 151). მრავალგანივკვეთიანი, თავში შესამჩნევად მოხრილი ყური და ოდნავ გადაშლილი ფართო პირი. ძირისაკენ მკვეთრად დაჭანებული მუცელი პირისაგან მხრითაა გამოყოფილი. პირს გარშემოუყვება დაკენწილი ზოლებისა და ღარებისაგან შედგენილი სარტყელი. ფინჯანი VII ს. თარიღდება. ამის მსგავსი ფინჯანი ზემოთაც იქნა აღწერილი გალექილი თიხის პროდუქციის დახასიათებისას (ტაბ. XXVI, № 146).

6. განათხარ მასალაში ოთხი ცალი ქილა-ქოთანია ტიპიური: VII ს. (ტაბ. XXVIII, № 182), XI ს. (ტაბ. XXXI, № 225). XII ს. (ტაბ. XXIV, № 131, და ტაბ. XXV, № 155). თითოეულ მათგანს თავის დამახასიათებელი ნიშანი აქვს. VII ს. ქილას მუცელზე პორიზონტალურად მიძერწილი აქვს დაკბილული შვერილისებრი ორი სახელურა; ყელის ძირში ჭდეული ორნამენტი მოუყვება, ხოლო მხარზე ამოკაწრულია კონცენტრული და ტალღისებრი ხაზები. XI ს. ქილისათვის დამახასიათებელია ყურის უშუალოდ პირთან და მხარზე მიძერწვა ყურის თავზე ბიბილოს მსგავსი ნაზარდით.

XII ს. ქოთანს და ქილას ყურის თავზე კოჭი აქვს მიძერწილი. ორივე ჭურჭლის მხარეებს ამოკაწრული, ტალღისებური ორნამენტი ამკობს. ამავე საუკუნისაა ყურიანი სადა ქოთანი, რომელსაც ოდნავ გადაშლილი პირი და ვიწრო ყელი აქვს, ხოლო ბრტყელი სახელურა—მხარსა და მუცელზე მიძერწილი.

7. ქვაბ-ქოთნები და მათი ნატეხები განათხარ მასალაში ხუთი სახე-სხვაობითაა წარმოდგენილი და V—VII სს. (ტაბ. XX, № 24), VII ს. (ტაბ. XXII, № 78), X ს. (ტაბ. XXXI, № 242, ტაბ. XXVII, № 177) და XII ს. (ტაბ. XXV, № 156) დათარიღებული. ადრეული ქვაბ-ქოთნების ფრაგმენტებიდან ერთი ღრუსახელურის, ხოლო მეორე პირ-გვერდის ნატეხითაა წარმოდგენილი; ამ უკანასკნელ ნატეხზე შემორჩენილია პორიზონტალურად მიძერწილი შვერილი (სახელურა) და გვირგვინიანი სწორი პირი, რომლის ძირზე, სახელურის გასწვრივ, დატანილია ტალღისებრი ორნამენტი ორ ჭდეულ ღარს შორის.

X ს. ქვაბ-ქოთნები სხვადასხვა სახისაა. მოტანილი ნიმუშების მიხედვით ერთ მათგანს პირთან ლულა აქვს (№ 242), მეორეს—ჩაბრუნებული პირი, ბრტყელი ამოშვერილი სამკუთხა ყურები (რომელთა პირზე თითით ნაჭდევი შეღრმავებებია) და პირს გარშემო ორმწკრივად შემოვლებული მოკლე ხაზოვანი ჭდეული სარტყელი (№ 177).

XII ს. ქვაბ-ქოთანა ადრეული ქვაბ-ქოთნებისაგან ფორმით განსხვავდება. იგი საკმაოდ გაბიერია; დაბალ მხრებზე მიძერწილი აქვს მოკლე, პორიზონტალური შვერილები, რომლებიც სახელურის მოვალეობას ასრულებენ.

8. სურა-ჩარექები, ხელადები, დოქები და ჩაფები. სურა-ჩარექებიდან წარმოდგენილია VII—VIII სს. და XII—XIII სს. ნიმუშები. VII—VIII სს. სურას (ტაბ. XXX, № 217) შუა ნაწილში ნაზარდებიანი, მაღალი და ვიწრო ყელი აქვს. XII ს. სურას შედარებით უფრო დაბალი და ფართო ყელი აქვს (ტაბ. XXV, № 157), ხოლო XII—XIII სს. ჭურჭელს ყელიც და მუცელიც კიდევ უფრო დაბალი და ფართო აქვს.

ხელადები წარმოდგენილია V—VII სს. ოთხი ნიმუშით. ამ ხელადებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ყურის მოძერწვა უშუალოდ პირსა და მხარზე. პირი სამტუჩაა ან მრგვალი, რომელსაც ჯარში მოუყვება ჩაღრმავებული წიბოები (ტაბ. XIX, № 18, № 33, ტაბ. XIX, № 16, 11, ტაბ. XXVIII, № 180).

დოქები წარმოდგენილია IX და X სს. ოთხი ნიმუშით. IX ს. დოქებისათვის დამახასიათებელია ჭურჭლის წაგრძელებული ფორმა; ამ დოქებსაც ხელადების მსგავსად ბრტყელი ყური უშუალოდ პირსა და მხარზე აქვთ მიძერწილი. იმ განსხვავებით, რომ ყური თავში სწორი კუთხითაა მოხრილი, პირი სამტუჩაა ან მრგვალი და ჩაღრმავება არ ახასიათებთ. X ს. ერთ-ერთ დოქს ძაბრისებური ყელი აქვს.

9, ქილები, კოტოშები და მათი ნატეხები განათხარი მასალიდან სულ ექვსი ცალია ტიპიურად მიჩნეული. ამ მასალაში ყველაზე ადრეულია V—VII სს. ქილის პირის ნატეხი (ტაბ. XX, № 28), რომელსაც ოდნავ გადაშლილი პირი აქვს და მხრებზე ორ ჭდეულ ხაზს შორის პარალელურად დატანილი ტალღისებური ორნამენტი.

X ს. ქილას (ტაბ. XXXI, № 243) წაგრძელებული, მხრებიდან ოდნავ გამოყოფილი მუცელი და გადაშლილი გვირგვინიანი პირი აქვს. განიერ და მაღალ ყელს გარშემოუყვება სამი წრიული ღარი. ამავე საუკუნისაა კოტოში (ტაბ. XXXI, № 244), რომელსაც ცილინდრული ფორმა და ფართოდ გაშლილი პირი აქვს.

XII—XIII სს. ქილის ოთი ნატეხია. აქედან, ერთი პატარა ზომისაა (ტაბ. XXII, № 65), ხოლო მეორე—დიდი ქილისაა (ტაბ. XXII, № 66). პატარა ზომის ქილას სწორი პირი და დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს. ხოლო დიდი ზომის ქილას გადაშლილი პირი და მხრებს ზემოთ შევიწროვებული ყელი აქვს, რომელსაც მხრებზე ორ ჭდეულ ღარს შორის წერტილოვანი ჭდეებისაგან შედგენილი სარტყელი მიუყვება, ხოლო ძირზე ზოლოვანი, რელიეფური და ჭდეული სარტყელები ამკობს.

10. ჩაფები ოთხი ნიმუშითაა წარმოდგენილი, რომლებიც V—VII და XII ს. თარიღდება. V—VII სს. ჩაფებს დოქებისა და ხელადების მსგავსად, ჩაღრული სამტუჩა პირი აქვთ, ხოლო XII ს. ჩაფებს ამგვარი ჩაღარულობა აღარ ახასიათებს. ჩაფები რიგ შემთხვევაში შემკულია ჭდეული ტალღისებური და ხაზოვანი ორნამენტიანი სარტყლით (ტაბ. XIX, № 2, ტაბ. XXXIV, №№ 272, 273, ტაბ. XXXIII, № 267).

11. ქვევრები და ქვევრისნაირი ტიპის ჭურჭელი განათხარ მასალაში მოზრდილი ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. ამ მასალაშია V—VII, IX—X, XI—XIII სს. ჭურჭლის ნატეხები.

V—VII ქვევრებს მუცელზე შუაში ჩაღრმავებული რელიეფური სარტყელი აქვთ (ტაბ. XX, № 10), ზოგიერთი მათგანის დამახასიათებელია ფართე და მაღალი ყელი, რომლის გარშემო ამოღარულია ტალღისებური ხაზები და მის ქვევით რელიეფური ჭდეული სარტყელი (ტაბ. XXIX, № 192), ხოლო ნაწილს მაღალი გადაშლილი პირი აქვს და მხრის თავზე გარშემოვლებული ჭდეულორნამენტალური სარტყელი. IX—X სს. ქვევრებისა და დერგის ნატეხები სულ ოთხი ცალია. IX ს. ქვევრის კედლის ნატეხზე ამოკაწრულია ტალღისებური და სწორი ხაზებისაგან შედგენილი სარტყლები და დაკბილული რელიეფური სარტყელი (ტაბ. XXIII, № 89). XI ს. ქვევრი უფრო თხელკედელა ყოფილა. მას გარშემოუყვება რელიეფური თოკისმაგვარად გრეხილი სარტყელი (ტაბ. XXVII, № 162). IX—XI სს. დერგები ფორმით დიდ ქილებს მოგვაგონებენ; მათ ოთხი ყური აქვთ. გვხვდება როგორც სადა, ორნამენტო (ტაბ. XXVIII, № 183), ისე ორნამენტირებული დერგები. დერგებს ყელზე გარშემოუყვება რელიეფური დაკბილული სარტყელი, მუცელზე ირიბჭდეული სარტყელი ამკობთ, ხოლო ყურებს სიგრძეზე მიუყვება თავჩახვეული რელიეფური ნაზარდები (ტაბ. XXVII, № 161).

XII—XIII ს. ქვევრის ტიპის ჭურჭლების ორი ნიმუშია. ერთ მათგანს ლუთერის მაგვარი კოპიანი პირი აქვს (ტაბ. XXV, № 159). მეორეს—მუცელზე კანელირებული სარტყელი მიუყვება, რომლის უჯრედები წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. XXIV, № 109).

12. ხუფები წარმოდგენილ მასალაში ხუთი ცალია ტიპიურად მიჩნეული. ისინი V—VII, IX და X სს. თარიღდება. აქედან, V—VII სს. ხუფების ორი ნა-

ტეხი, ისევე როგორც თიხისაგან გაკეთებული ყველა ხუფი, დისკოსებური ფორმისაა. აღნიშნულ ადრეულ ხუფებს ზედაპირზე უხეშად ჭდეული რგოლები და შუაში წერტილი აქვთ დასმული (ტაბ. XX, № 14), ხოლო ზედაპირზე რელიეფური, კონცენტრული ხაზები და ვარდულებიანი კონუსური სახელური ამკობთ (ტაბ. XX, № 35).

XI ს. ხუფები წარმოდგენილია ორი ნიმუშით ერთს ნაპირი გასქელებული და წიწვოვანი ორნამენტითა აქვს შემკული. ხოლო სახელურსა და ჭიმს შორის არსებული სივრცე ჭდეებითა და წერტილებითაა ორნამენტირებული (ტაბ. XXIII, № 93). ძეორე ხუფს მთელი ზედაპირი კონცენტრირებული ღარებითა აქვს დაფარული. პირზე ხაზოვანი, ჭდეული სარტყელი ამკობს, ხოლო ყური ყულფისებურია და ბოლოებზე ღრმა ნათითურ ნაჭდევებით შემკული (ტაბ. XXIII, № 101). X ს. ხუფის დისკოზე დატანილია ჭდეული კონცენტრული ხაზები, ხოლო ხუფის სოკოსებრი სახელურის კიდეებზე—ჭდეული სარტყელი (ტაბ. XXXI, № 241).

ზემოგანხილული განათხარი მასალების მიხედვით ძირითადად ამგვარი სახის მოუჭიქავი თიხის ჭურჭლები ჩანს დამახასიათებელი ფეოდალური პერიოდის მთელ მანძილზე თბილისში. ჩვენ უკვე დასაშვებად მიგვაჩნია აღნიშნულის საფუძველზე წარმოვადგინოთ ამ ჭურჭლეულის კლასიფიკაცია თიხის ცომისა და მისი ტექნოლოგიური დამუშავების ხასიათის მიხედვით. ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ამ კლასიფიკაციის საფუძვლად კეცის ხასიათი მივიჩნიოთ. ამის მიხედვით განხილული ჭურჭლეული უნდა დაიყოს სამ დიდ ჯგუფად: I. მოთეთრო-მოვარდისფერო კეცის ჭურჭელი. II. რუხი კეცის ჭურჭელი და III. წითელი კეცის ჭურჭელი. ცხადია, აქვე უეჭველად გათვალისწინებულ უნდა იქნას ქრონოლოგიურად ჭურჭლეულის ცალკე ქვეჯგუფებად დაყოფის პრინციპიც, ისევე როგორც ეს ზემოთ იყო დახასიათებული და განხილული. ამნაირად შედგენილ კლასიფიკაციას შემდეგი სახე ექნება (იხილეთ ცხრილი № 10).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს კლასიფიკაცია ჯერ კიდევ სრული არ არის. ახალი მასალების გამოვლენით საჭირო იქნება კლასიფიცირებული იქნეს თიხის ჭურჭლები საუკუნეების მიხედვით თვით ჭურჭელთა ფორმების სახესხვაობისა და მათი ზედაპირის ორნამენტული შემკულობის თავისებურებათა ღრმა ანალიზის შედეგად.

II. მოჭიქული თიხის ჭურჭელი

თხრისას მოთეთრო-მოვარდისფრო, რუხი და წითელი კეცის ჭურჭლების გვერდით ძირითადად წითელი კეცის მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩნდა. ამ ჭურჭლეულის დასახასიათებლად ჩვენ უმჯობესად მივიჩნიეთ მასალა შემდეგ მთავარ ჯგუფებად დაგვეწყვილებინა: ა. ერთფრად მოჭიქული ჭურჭელი. ბ. რამდენიმეფრად მოჭიქული ჭურჭელი და გ. კომბინირებულად მოჭიქული ჭურჭლები. გარდა ამისა, თითოეული ჯგუფის ჭურჭელი, მათი დანიშნულებისა, ასაკისა და ტექნოლოგიური დამუშავების ხასიათის მიხედვით ქვეჯგუფებადაცაა დაყოფილი.

ა. ერთფერად მოჭიქული თიხის ჭურჭელი

განხრებით მოპოვებულ მასალაში ერთფერად მოჭიქული ჭურჭლები უნდა დაიყოს ოთხ ქრონოლოგიურ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში გაერთიანდება ჭურჭლეული, რომელიც V—VIII სს. ეკუთვნის, მეორეში—IX—X სს., მესამეში—XI—XIII სს. და მეოთხეში—XIV—XVIII სს. ჭურჭლები.

პირველი ქრონოლოგიური ქვეჯგუფის ნაწარმი (V—VIII სს.) ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი; ერთია ჭურჭლის ყურის, თეთრი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლისა, რომლის ზედაპირზე გამჭვირვალე პიქურია გადაკლებული (ტაბ. XX, № 1ა) და მეორე ჯამის პირის ნატეხი, გარეთ გადმოკეცილი პირით, წითელი კეცისა, რომლის ზედაპირზე ასევე გამჭვირვალე პიქურია გადავლებული (ტაბ. XX, № 26).

გარდა ამისა, ამავე ქრონოლოგიური ჯგუფის (VII—VIII სს.) ნაწარმი განსახილველ კოლექციაში სამარილეებითაცაა წარმოდგენილი. მათი ზედაპირი თეთრი ანგობითაა დაფარული, რომელსაც მწვანე, ზოგჯერ კი ყავისფერი ჭიქური აქვს გადავლებული (ტაბ. XXII, № 77, ტაბ. XXVI, № 145, ტაბ. XXIX, № 203, ტაბ. XXXIV, № 269, ტაბ. XXXV, № 287).

მეორე ქრონოლოგიური ქვეჯგუფის ნაწარმი (IX—X სს. ლანგარით (ტაბ. XXXII, № 247), ჯამებით (ტაბ. XXXII, №№ 221, 222, 229), სამარილეებით (ტაბ.

ცხრილი 10

ჯგუფი	კეცის დახასიათება	თარიღები	ჭურჭლის ხედაპირი	ჭურჭლის სახელწოდება
I	მოთეთრო-მოვარდისფრო კეცის ჭურჭელი	ა. ადრეფეოდალური ხანის V—X სს.	გაპრიალებული ზედაპირით	დოქები, სურები, ტოლჩები, სასმისები, ჩაიდნისებრი ჭურჭლები
		ბ. განვითარებული ფეოდალ. ხანის XI—XIII სს.	ხაოიანი ზედაპირით	დოქები, სურები, ტოლჩები, ჩაიდისებური ჭურჭლები
		გ. გვიანფეოდალ. ხანის XIV—XVIII სს.	ხაოიანი ზედაპირით	სქელკედლიანი ჭურჭლები
II	რუხი ფერის კეცის ჭურჭელი	ა. ადრეფეოდალური ხანის V—X სს.	სადა	ბირთვისებური სფეროკონუსები
		ბ. განვითარებული ფეოდალ. ხანის XI—XIII სს.	ორნამენტირებული	ცილინდრული სფეროკონუსები
		გ. გვიანფეოდალური ხანის XIV—XVIII სს.		
III	წითელი ფერის ჭურჭელი	ა. ადრეფეოდალური ხანის V—X სს.	სადა	ჩაიდნისებრი, კვერცხისებრი და ნიჟარისებრი ჭრაქები, აზარფეშები, კოჭობები, ღრმა ჯამები, თასები, ლანგრები, ფიალები, სამარილეები, ფინჯნები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, სურები, ხელადები, ქილები, ჩაფები, ქვევრები
			შავი საღებავებით მოხატული	ფიალები, დოქები
		ბ. განვითარებული ფეოდალური ხანის XI—XIII სს.	სადა	აზარფეშები, კოჭობები, თეფშები ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, სურები, ჩაფები, ქვევრები, ქილები, სამარილეები.
		გ. გვიანფეოდალური ხანის XIV—XXIII სს.	შავი საღებავებით შემკული	ხელადები, სურები
			წითელი საღებავებით მოხატული	დოქები, ლიტრები, ტოლჩები, ჩაფები, ქილები, დერგები
			სადა	დოქები, ქოთნები, ჯამები, ფიალები
			წითლად შეღებილ-მოხატული	ჩაფები

XXXI, № 250, ტაბ. XXXIII, № 253), ნიჟარისებრი ჭრაქით (ტაბ. XXIII, № 84) და ფინჯნითაც (ტაბ. XXIII, № 98) წარმოდგენილი. ლანგრის ზედაპირი თეთრი ანგობითაა დაფარული და ზემოდან გამჭვირვალე ჭიქური აქვს გადავლებული. ჯამების, სამარილეების და ფინჯნის ზედაპირი უმთავრესად მწვანე და ყავისფერი ჭიქურითაა დაფარული (ტაბ. XXXIII, № 253). ამ პერიოდის ჯამებს პირი გადაშლილი, ხოლო ძირები გამოყვანილი და ბრტყელი აქვთ

მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის ნაწარმი (XI—XIII სს.) მხოლოდ სამარილეებით (ტაბ. XXV, №№128, 136) და ნიჟარისებრი ჭრაქითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXV, № 111) ამ თიხის ნაწარმის თეთრ ანგობიან ზედაპირზე უმთავრესად მწვანე და ცისფერი ჭიქურია გადავლებული.

მეოთხე ქრონოლოგიური ჯგუფის ნაწარმი (XIV—XVIII სს.). მეოთხე ქრონოლოგიური ჯგუფის ჭურჭლები ქუსლგამოყვა-

ნილი ფრიალა თეფშით (№ 36) და პირგადაშლილი ქუსლიანი ჯამითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXXIV, № 274), ორივე ჭურჭლის ხორკლიანი ანგობირებული ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით.

ბ. რამდენიმეფერად მოჭიქული ჭურჭელი

რამდენიმეფრად მოჭიქული ჭურჭელი განსახილველ მასალაში ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. V—VIII სს. და 2. IX ს. ჭურჭლებად.

V—VIII სს. რამდენიმეფერად მოჭიქული ჭურჭელი

რამდენიმეფრად მოჭიქული პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის ჭურჭელი ჯამებისა და ფიალების სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXVI, №№ 142, 143, ტაბ. XXIX, № 201, ტაბ. XL, № 202, ტაბ. XXXV, № 284). ასეთი ჭურჭლების ზედაპირი თეთრი ანგობის თხელი აპკითაა დაფარული და შემდეგ, სხვადასხვა სახის გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებია დატანილი (ბადურები, ხაზები, უჯრედები, წრეები, ვარდულები, ფოთლები). ზედაპირზე ჯერ მწვანე და ყავისფერი საღებავია გადავლებული და ბოლოს, გამჭვირვალე ჭიქური აქვს გადაკლებული. ამ ჯგუფის ჯამებს ბრტყელი ძირი და ოდნავ ჩაბრუნებული პირი აქვთ, სოლო ფიალები პირგადაშლილია (ტაბ. XL, № 202).

IX საუკუნის რამდენიმეფერად მოჭიქული ჭურჭელი

IX საუკუნის რამდენიმეფერად მოჭიქული ჭურჭელი მოტანილ მასალაში სულ ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი: წითელი კეცის ჯამის პირითა (ტაბ. XXIII, № 95) და სარძევის ყელით (ტაბ. XXIII, № 100). ჯამის ბრტყელი ძირი და ჩობიანი პირი აქვს. ჯამის ზედაპირზე ყავისფერი ჭიქურის ზოლებით დატანილია გეომეტრიული ნაკვეთი, რომლის შიგნით გავლებულია მოყვითალო და მწვანე ჭიქურიანი არეები. ნახატის ზედაპირი დაფარულია გამჭვირვალე ჭიქურით.

სარძევის ყელის ნატეხი წითელი კეცისაა. ყელი თეთრი და ცილინდრული კვეთისაა. ამ ჭურჭლის ზედაპირზე თეთრი ანგობაა სქლად დატანილი და შემდეგ მწვანე და სოსანი ფერის ჭიქურია ჩამოღვენთილი, ლაქების სახით.

გ. კომბინირებული ტექნიკით შემკული მოჭიქული თიხის ჭურჭელი

კომბინირებული ტექნიკით შემკული მოჭიქული თიხის ჭურჭელი წარმოდგენილ მასალაში სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დანაწილდეს: 1. V—VIII სს., 2. IX—X სს. და 3. XI—XIII სს., ხოლო ნაწარმი რაგვარობისა და შემკულობის მიხედვით ქვეჯგუფებადაც.

1. V—VIII სს. კომბინირებული ტექნიკით შემკული მოჭიქული თიხის ჭურჭელი

თეთრი ანგობით მოხატული რამდენიმეფერად მოჭიქული ჭურჭელი

ამ ქვეჯგუფის თიხის ჭურჭლებიდან უმთავრესად ჯამებია, რომელთაც დაბალი, ბრტყელი ქუსლი და გარეთ გადმოკეცილი, ჩაბრუნებული, ხოვრერ კი გადაშლილი პირი აქვთ (ტაბ. XX, № 20, ტაბ. XXIII, № 88, ტაბ. XXVI და XXXIX, №141, ტაბ. XXVI, № 144, ტაბ. XXIX, № 196, ტაბ. XXXII, № 246, ტაბ. XXXI, № 248, ტაბ. XXXIII, №№ 254, 255). ამ ჯგუფის ჭურჭლების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ნაწარმის მთელ ზედაპირზე ანგობის აპკი არ არის დატანილი. აქ, ანგობა გამოიყენება მხოლოდ ჭურჭლის ზედაპირის მოხატვისათვის (სამკუთხედები, ოვალები, რგოლები, წერტილები, ზოლები, ლაქები და მათი კომბინაციები). ზოგერთ შემთხვევაში ჭურჭლის ზედაპირის შეფერადება ერთი ფერის, მაგრამ სხვადასხვა ტონის ყავისფერი საღებავებით წარმოებს და სხვადასხვა ფერის მოხატულობის იერს ატარებს. ამ ადრეული პერიოდის ნაწარმისათვის მეტად დამახასიათებელია აგრეთვე ჭიქურით დატანილ ზედაპირზე გამჭვირვალე ჭიქურის გადავლება.

2 IX—X სს. კომბინირებული ტექნიკით შემკული მოჭიქული თიხის ჭურჭელი

ა. მოჭიქული ჭურჭელი, რომლის გრავირებული სურათი არ ემთხვევა ჭიქურით მოხატულ სურათს

მოჭიქული ჭურჭელი, რომლის გრავირებულ სურათს არ ემთხვევა საღებავით მოხატული სურათი, განათხარ მასალაში IX—X სს. ჯამებითაა წა-

რმოდგენილი (ტაბ. XXIII, № 91, ტაბ. XXXII, №№ 221, 233, 234). ამ ჯამებს ბრტყელი, გამოყვანილი ჭუსლები და ბაკოიანი პირი ახასიათებთ

ასეთი თიხის ნაწარმის ზედაპირი თეთრი ანგობითაა დაფარული, შემდეგ ამოკაწრულია რადიალური ხაზები ან ვარდულები და ბოლოს, ყავისფერი და წითელი საღებავებითაა მოხატული. ზოგ შემთხვევაში ასეთი ჭურჭლების ზედაპირი ნალვენთლაქებითა და წერტილებითაა შემკული.

ბ. თეთრი ანგობით მოხატული და ერთფერად მოჭიქული ჭურჭელი

თეთრი ანგობით მოხატული და ერთფრად მოჭიქული ჭურჭლების პირველი ქვეჯგუფი უმთავრესად IX—X სს. ჯამებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXIII, № 99, ტაბ. XXXII, №№ 223, 221, 232, 234, 235, 236, 237). ამის გვერდით არის ჭრაქიც (ტაბ. XXIII, № 92).

ამ ქვეჯგუფის ჯამებისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოყვანილი ბრტყელი ჭუსლი და ბაკოიანი პირი. მეტად დამახასიათებელია აგრეთვე ამავე პერიოდისათვის სამტუჩა სურა, რომელიც იმეორებს V—VIII სს. მოთეთრო-მოვარდისფრო სურების პროფილს (ტაბ. XXIII, № 85).

ამ პერიოდის პროდუქციის ზედაპირზე თეთრი ანგობით მოხატულია რგოლები შუა წერტილებით, ზოგან ფოთლები, ზოგანაც მრავალკუთხედები, წრეები, ფართო ზოლები და ბოლოს მწვანედაა მოჭიქული.

გ. თეთრი ანგობით მოხატული და რამდენიმეფერად მოჭიქული

ამ ქვეჯგუფის თიხის ჭურჭლებიდან წარმოდგენილ მასალაში უმთავრესად ჯამებია და მათი ნატეხები (მაგ. №№ 87, 123, 282 და სხვ.). ასეთ ჯამებსაც დაბალი ჭუსლი და ბაკოიანი ზოგჯერ დაკეცილი პირი აქვთ. ჯამების უანგობი ზედაპირზე მოხატვა თეთრი ანგობის შემწეობითაა შესრულებული (ლაქები, ზოლები, რგოლები და მცენარეული მოტივიც). ამ შემთხვევაშიც ნაწარმის ზედაპირის მოჭიქვაში გამოყენებულია მწვანე, ყავისფერი და იისფერი საღებავების ზოლები, ლაქები, წერტილები და ნალვენთებიც. გვხვდება ყავისფერი ჭიქურების სხვადასხვა ტონის საღებავითაც ნაწარმის შეფერადება. ასეთ ჭურჭლებსაც ზედაპირზე გამჭვირვალე ჭიქური აქვს მოსხმული.

3. XI—XIII სს. კომბინირებული ტექნიკით შემკული მოჭიქული თიხის ჭურჭელი

ა. ერთფერად მოჭიქული ამოკაწვრის წესით შემკული ჭურჭელი

ერთფერად მოჭიქული ამოკაწვრის წესით შესრულებული შემკულობის მქონე ჭურჭელი განსაკუთრებულ მასალაში მხოლოდ XI—XIII სს. ჯამებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXV, №№ 108, 115, 116, 133, 134, 155, ტაბ. XXVII, №№ 166, № 168, ტაბ. XXX, № 208). ასეთი ჭურჭლის ზედაპირზე თეთრი ანგობაა დატანილი და შემდეგ ხაზებისაგან ან მარყუჟებისაგან შედგენილი ორნამენტებია ამოკაწრული, რომელზედაც ძირითადად ცისფერი და უფრო ნაკლებად, მწვანე ჭიქურია მოსხმული. ერთ შემთხვევაში ჯამის მოზრდილ ფრაგმენტებზე ღორის თავიც კია ამოკაწრული და ცისფერი ჭიქურით დაფარული (ტაბ. XXVII, № 173).

ბ. რამდენიმე ფრად მოჭიქული ამოკაწვრის წესით შემკული ჭურჭელი

რამდენიმეფრად მოჭიქული ამოკაწვრის წესით შესრულებული შემკულობის ჭურჭელი XI—XIII სს. ჯამებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXII, № 54, 59, 63, ტაბ. XXVII, №174). ასეთ ჯამებს ახასიათებთ პიპიანი, მკვეთრად გამოყოფილი მაღალი, მრგვალ ჭუსლიანი ძირი და ბაკოიანი პირი. ასეთი ჯამების ზედაპირზე თეთრი ანგობაა დატანილი, რომელზეც კვადრატები, ჯვრები და ფრინველებია ამოკაწრული. შემდეგ ასეთ გრავირებულ ზედაპირზე მწვანე და ყავისფერი ჭიქურია დატანილი.

გ. თეთრი ანგობითა და ერთფერად მოჭიქული ჭურჭელი (XII—XIII სს.)

ამ ქვეჯგუფის ჭურჭლეულიდან განსახილველ მასალაში მხოლოდ პატარა სურის მხრის ნატეხია წარმოდგენილი. ასეთი ჭურჭლის ზედაპირზე ყელის ირგვლივ თეთრი ანგობით ორი წრე, მათ შორის მძივის მსგავსი ნაკვეთები და გვერდზე ფოთლებია დატანილი. ჭურჭლის ზედაპირზე ღია მწვანე ფერის გამჭვირვალე ჭიქურია გადავლებული (ტაბ, XXV, № 121).

III. ფაიანსის ნაწარმი

ფაიანსის ნაწარმი განათხარ მასალაში მცირეა

და უმთავრესად ჭურჭლის ნატეხებითაა წარმოდგენილი. ამ მასალის მიხედვით შეიძლება იგი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყოს: 1) X—XII სს. და 2) XVII—XVIII სს. ნაწარმი.

ა. პირველი ჯგუფის (X—XIII სს.) ფაიანსის ნაწარმი წარმოდგენილია ჯამის ძირით (ტაბ. XXVII, № 163), სამარილის ნატეხებით (ტაბ. XXVII, № 164, ტაბ. XXXV, № 283), ფიალის ძირი გვერდით (ტაბ. XXVII, № 172) და დაფანჯრული პირის მქონე ჭურჭლის ნატეხით (ტაბ. XXVII, № 169).

ყველა ჭურჭელი მსხვილმარცვლოვანი და რბილი ფაიანსისაა. მათზე ცისფერი ჭიქურია გადავლებული. აღსანიშნავია აგრეთვე რბილი ფაიანსის ჭურჭლის კედლის ნატეხი, რომლის ზედაპირზე რელიეფური ხაზებით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტებია გამოხატული, ხოლო მთელი ზედაპირი ლურჯი ფერის ჭიქურის წინწკლებითაა შეღებილი (ტაბ. XXVII, № 167).

ბ. მეორე ჯგუფის ფაიანსის ნაწარმიდან განათხარ მასალაში მხოლოდ ფაიანსის დიდი ჯამია (№ 263). ჯამის თეთრ ზედაპირზე ლურჯი და შავი საღებავებით მცენარეული ორნამენტი და ფრინველებია მოხატული. ჯამი აშკარად შემოტანილია აზიის რომელიღაც ქვეყნიდან:

IV. მინის ნაწარმი

მინის ნაწარმი განათხარ მასალაში, თიხის ნაწარმთან შედარებით მცირე მასალითაა წარმოდგენილი და ამიტომ მთლიან სურათს არ იძლევა. იგი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. მინის ჭურჭელი და 2. მინის სამკაულები.

მინის ჭურჭელი

მინის ჭურჭლის ნატეხი ან მთელი ნივთი ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფშია გაერთიანებული: ა) VII—VIII სს., ბ) IX—X სს.; გ) XI—XIII სს. და დ) XVII—XVIII სს.

ა. პირველი ჯგუფის (VII—VIII სს.) მინის ნაწარმიდან ორი ნიმუშია: ერთი, მრგვალმუცლიანი პატარა სანელსაცხებლე (ტაბ. XL, № 206) და მეორე თხელკედლებიანი მინის ჭიქა (ტაბ. XXVI, № 138). ორივე ნივთის მინა მწვანეა და ბუშტულებიანი.

ბ. მეორე ჯგუფის მინის ნაწარმიდან წარმოდგენილია: მომწვანო ფერის თხელკედლა ჭიქის ნატეხი (ტაბ. XXVIII, № 185), იმავე ფერის მოზრდილი ჭურჭლის ყელის ნატეხი (ტაბ. XXVIII, № 187), ღია მწვანე ფერის მინის ჭურჭლის პირი, რომლის ზედაპირზე მინისავე სქელი ძაფებისაგან სარტყელია დადებული (ტაბ. XXVIII, № 186), მწვანე ფერის ვაზის მაგვარი ჭურჭლის ძირის ნატეხი, რომლის ძირი ირიბი ხაზებით არის დაკეჭნილი (ტაბ. XXVIII, № 188). სანელსაცხებლის ყელის ნატეხი შუა ნაწილში სფერიული გამოზნექილობით (ტაბ. XXII, № 71), და პატარა ჭურჭლის ცილინდრული ყელის ნატეხი, ლურჯი ფერისა (ტაბ. XXXI, № 251).

ამ პერიოდის მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია აგრეთვე მინის ფიალა. სქელკედლა მწვანე ფერისა, რომლის პირი მოგლუვებულია, ხოლო ძირზე და გვერდებზე სხივისებრად გამავალი ფართე ღარები გასდევს (ტაბ. XXVIII და XL, № 189).

გ. მესამე ჯგუფის მინის ნაწარმიდან წარმოდგენილია მწვანე ფერის თხელკედლა ჭიქები, რომლებსაც ძირი აქვთ შეზნექილი. ჭურჭლის ყელის ნატეხი, რომელსაც მინის სქელი ძაფების გრეხილი რელიეფური სარტყელი აქვს შემოვლებული (ტაბ. XXVII, № 170), მინიატურული ჭურჭლის სამტუჩა ყელი (ტაბ. XXIV, № 127) და მინის პატარა ჭიქის ძირი (ტაბ. XXIV, № 130); ყურადღებას იქცევს მწვანე მინის ფიალა, რომლის გვერდებსა და ძირზე ფართე ღარებია სხივისებურად გავლებული (ტაბ. XXVII, № 171).

დ. მეოთხე ჯგუფის მინის ჭურჭელი ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი, ერთს ძალზე გადაშლილი პირი აქვს და სქელკედლაა (ტაბ. XXXIII, № 262), ხოლო მეორესაც გადაშლილი პირი აქვს, მაგრამ თხელკედელაა და ძირზე ბირთვისებური ნაზარდით შემკული (ტაბ. XXXIII, № 266).

მინის სამკაული

მინის სამკაული ძირითადად სამაჯურებითაა წარმოდგენილი, გვხვდება აგრეთვე საყურის (?) ნატეხები და მძივები.

ერეკლე II სახ. მოედნის ბაღში სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი სამაჯურები სამ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა.

I ჯგუფში გაერთიანებული სადა ღეროიანი და მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები (მაგ. № 69), გამჭვირვალე, ღია ლურჯი ფერისა და № 288 შავი გა-

ერთფრად მოჭიქული (ა)	V—VIII	თეთრი და წითელი კეცის უანგობო ზედაპირზე გამჭვირვალე ჭიქური	ჯამები და სამარილეები
	IX—X	წითელი კეცის ანგობიან ზედაპირზე მწვანე და ყავისფერი ჭიქური	ჯამები, ლანგრები და სამარილეები
	XI—XIII	წითელი კეცის ანგობიან ზედაპირზე მწვანე, ცისფერი და ყავისფერი ჭიქური.	სამარილეები, ნიჟარისებრი ჭრაქები
	XVI—XVIII	წითელი კეცის ბორკლიან ანგობირებულ ზედაპირზე მწვანე ჭიქური	თეფში, ჯამი
რამდენიმეფერად მოჭიქული (ბ)	V—VIII	წითელი კეცის ანგობიან ზედაპირზე სხვადასხვა ფერის მწვანე და ყავისფერი ჭიქური	ჯამები, ფიალები
	IX—X	წითელი კეცის ანგობირებულ ზედაპირზე სხვადასხვა ფერის, უმთავრესად მწვანე, მოყვითალო და ყავისფერი ჭიქური.	სარძევე, ჯამები
კომბინირებული (გ)	V—VIII	თეთრი ანგობით მოხატული და რამდენიმე ფერით მოჭიქული	ჯამები
	IX—X	მოჭიქული ჭურჭელი, რომლის გრავირებულ სურათს არ ემთხვევა ჭიქურით მოხატული სურათი	ჯამები
	IX—X	თეთრი ანგობით მოხატული და ერთფერად მოჭიქული	ჯამები, ჭრაქი, სურა
	IX—X	თეთრი ანგობით მოხატული და რამდენიმეფრად მოჭიქული ჭურჭელი.	ჯამები
	XI—XIII	ერთფრად მოჭიქული ამოკაწვრის წესით შესრულებული შემკულობა	ჯამები
	XI—XIII	რამდენიმეფრად მოჭიქული ამოკაწვრის წესით შესრულებული შემკულობა	ჯამები
	XII –XIII	თეთრი ანგობითა და ერთფრად მოჭიქული ჭურჭლები	სურა

უმჭვირვალე მინისა. ეს სამაჯურები IX—X სს. თარიღდება.

II ჯგუფში გაერთიანებული სადა ღეროიანი, გაუმჭვირვალე ფერის სამაჯურები, რომელთა ღერო შიგნიდან ბრტყელია და გარედან—ამობურცული (მაგ. № 153—შავი ფერის მინისაა) ეს სამაჯურები XI—XII სს. თარიღდება.

III ჯგუფი რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა.

ა) მსხვილგრეხილიანი სამაჯურები (მაგ. №№ 103, 107).

ბ) წმინდად გრეხილი (მაგ. №№ 56, 57, 132).

გ) ღვარძნილი (მაგ. № 106).

დ) დაკბილული (მაგ. № 207).

ეს სამაჯურები XIII ს. თარიღდება[3].

[3] ზ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი, მინის სამაჯურები (ერეკლე II სახ. ბაღში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მიხედვით (და მათი ეჭსპოზიციაში ჩვენების საკითხი. თეზისები კ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის I სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენებისა, თბ., 1960.

V. ძვლის ნაკეთობა

ერეკლე II მოედანზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა 12 ძვლისა და 3 რქის ნივთი.

მოპოვებული ძვლისა და რქის ნივთები დანიშნულების მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფში გაერთიანებულია ტყავის დასამუშავებელი იარაღები (სახეწი, ტყავის დასაზელი, ძვლისა და რქის სადგისები); მეორე ჯგუფში გაერთიანებულია იარაღები, რომლებიც საფეიქრო საქმეში იყო გამოყენებული (კვირისტავები, კოჭურა, ჩხირი); მესამე ჯგუფში წარმოდგენილია სამკაულები, ხოლო მეოთხე ჯგუფში — საკრველებლები (იხ. №№ 216, 252 და სხვ.).

ამ ნივთების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ერეკლე II მოედანზე მოპოვებული ძვლისა და რქის იარაღები XI—XIV საუკუნეებს ეკუთვნის. ამ პერიოდში აქ დასახლებული ხელოსნები კერამი-

კულ წარმოებასთან ერთად, როგორც ჩანს, ტყავის დამუშავებასა და საფეიქრო საქმესაც ეწეოდნენ[4].

VI. ლითონის ნაკეთობა

ძირითადად ბრინჯაოს სამკაულებითაა წარმოდგენილი.

აქედან Б—2 ორმოში ორი ცალი აბზინდა, № 20 ორმოში—ბეჭედი, К—1 ორმოში—ორი ცალი საყურის საკიდი, ხოლო № 10 ორმოში რკინის რგოლი.

Б—2 ორმოში აღმოჩენილი აბზინდებიდან, ერთი ცალი (ტაბ. XXI, № 41) ოთხკუთხი მოყვანილობისაა და რკინის ენა აქვს. იგი სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი აბზინდების I ტიპს ეკუთვნის და ზოგადდ ახ. წ. IV—VIII სს. თარიღდება[5]. მეორე აბზინდა (ს. წ. № 1286) ფუძეუძრავია და სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი აბზინდების II ტიპს ეკუთვნის. ამ ტიპის აბზინდებიც ახ. წ. IV—VIII სს. არის დათარიღებული[6]. რადგანაც Б—2 ორმო სხვა მონაცემების მიხედვით ახ. წ. VII საუკუნით დათარიღდა, ამიტომ აღნიშნული აბზინდებიც ამავე ხანას შეიძლება რომ მივაკუთვნოთ.

№ 20 ორმოში აღმოჩენილი ბეჭედი (ტაბ. XXXI, № 227) ერთწილადია და შემაღლებული თვალბუდე აქვს (თვალი აღარაა შემორჩენილი). ამგვარი ბეჭდები სამთავროს ადრეფეოდალური ხანის სამარხებშიაცაა აღმოჩენილი და ახ. წ. IV—VIII სს. დათარიღებული[7]. მაგრამ № 20 ორმოში აღმოჩენილი ბეჭედი რკალისა და თვალბუდის მოყვანილობით მაინც განსხვავდება სამთავროს ბეჭდებისაგან: თბილისში აღმოჩენილ ბეჭედს გაცილებით უფრო ღრმა ბუდე აქვს, ხოლო ბუდის მოპირდაპირე რკალი საგრძნობლად წვრილი. ამიტომ შეიძლება ეს ბეჭედი სამთავროს ბეჭდების შემდგომი განვითარება იყოს და VIII საუკუნის მომდევნო ხანას მიეკუთვნოს.

К—1 ორმოში აღმოჩენილი ორი ცალი საყურის საკიდარიდან ერთი ნახევარსფერული მოყვანილობისაა, ხოლო მეორე მსხლისებურია და შუშის თვალით შემკული. როგორც უკვე იყო აღნიშნული, К—1 ორმო და, მაშასადამე, საყურის საკიდრებიც XI—XII სს. თარიღდება.

№ 10 ორმოში აღმოჩენილი რკინის რგოლის დანიშნულების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელდება. ნივთი ძლიერაა დაჟანგული და დეფორმირებული. რგოლზე ქსოვილის ნაშთია შემორჩენილი, რაც თითქმის იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ იგი აბზინდას წარმოადგენდა, თუმცა არც ისაა ჯამორიცხული, რომ იგი ბეჭედი იყო, რგოლი XII—XIII სს. თარიღდება.

---

[4] ლ. ნებიერიძე, ძვლის იარაღები (ერეკლე II სახ. მოედნის ბაღში ჩატარებული გათხრების მიხედვით) და მათი ექსპოზიციაში ჩვენების საკითხები, იქვე.

[5] ო. ტყეშელაშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ა. წ. IV—VIII სს.), თბილისი, 1956, საკანდიდატო დისერტაცია. აგრეთვე, О. В. Ткешелашвили, Памятники материальной культуры раннефеодальной эпохи из самтаврского могильника (IV—VIII вв.). Автореферат диссертации, Тбилиси, 1958, გვ. 14, ტაბ. III, სურ. 13

[6] იქვე.

[7] იქვე.

განმეორება ნივთების თავის ადგილებზე

ორმო Б—1

1. პირფართო ჭურჭლის პირის ნატეხი (Ш—1728—56), წითელი კეცისა: ზედაპირზე ორი შტამპი აქვს, ფრთებგაშლილი არწივის გამოსახულებით (ერთი დაზიანებულია). l=211×305, ნატეხის სისქე=21,9 (ტაბ. XX)[1].

2. ჩაფი (1312—56), წითელი კეცისა: ყელყურმოტეხილი, ფართემუცლიანი, ბრტყელძირიანი. მხარზე და მუცელზე მკვეთრი და მჭრქალი წრიული ღარებითა და ზოლებითაა შემკული H=405, ყელის d=100, d_3=164 (ტაბ. XIX).

3. ჩაიდნისებური ჭრაქის ცხვირი. (1130—56), წითელი კეცისა; შებოლილი. ზემოდან ფართო საპატრუქე ნახვრეტი აქვს, ლულის d=50 (ტაბ. XIX).

4. ღრმა ჯამის ნატეხი (1124—56) ვარდისფერი კეცისა, გადაშლილი გვერდები აქვს და ძირისაკენ მკვეთრად დავიწროებული მუცელი; პირს გარშემოუყვება ღრმა ღარი და ჰდეული სარტყელი. l=102×183 (ტაბ. XX).

5. ქვევრის პირის ნატეხი (1083—56), წითელი კეცისა, თხელკედლაა, სწორპირიანი. გარედან სარტყელი აქვს. l=92,4×182 (ტაბ. XX).

6. ქილის პირის ნატეხი (1147—56), წითელი კეცისა, შებოლილია, პირი გადაშლილი აქვს, პირს გარშემოუყვება ღარი. l=1605×99 (ტაბ. XX).

7. სურის ყელის ნატეხი (1142—56), გალექილი, მოვარდისფრო კეცისა: გარედან გაპრიალებულია; პირთან ეტყობა ყურის ნაშთი. ყელს ძირზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი. H=82, d=47,5 (ტაბ. XIX).

8. აზარფეშას პირი (1153—56), წითელი კეცისა: შებოლილი, სახელურიანი. სიგრძე=125 (ტაბ. XX).

9. ჯამის ძირი (1168—56), წითელი კეცისა; შიდა ზედაპირი მოხატულია მწვანე და ყავისფერი ჰიქურის ზოლებით. d_3=55 (ტაბ. XX და XLIII).

10. ქვევრის კედლის ნატეხი (1177—56), წითელი კეცისა (განატეხში ნაცრისფერია); ნატეხი რელიეფური, ღაროვანი სარტყლითაა შემკული. l=185,5×220, სისქე=10,1 (ტაბ. XX).

11. ხელადა (1320—56), წითელი კეცისა; მრგვალპირიანია; პირზე გარშემოუყვება ქობა; ვიწრო ყელი აქვს. ყელს ამკობს რელიეფური სარტყელი, ხოლო ყელის ძირსა და მხარზე ღაროვანი წრეები მიუყვება; ბრტყელი ძირი აქვს. H=193, d_1=51,5, d_2=116,2, d_3=85,5 (ტაბ. XIX).

12. ჩაიდნისებური ჭრაქის ნატეხი (1250—56), წითელი კეცისა, შებოლილია; მრგვალმუცლიანი და ბრტყელძირიანია. d_3=49 (ტაბ. XIX).

13. ღრმა ჯამის პირის ნატეხი (1205—56), მოვარდისფრო კეცისა; განიერი გვირგვინი აქვს; წაკვეთილი კონუსის მსგავსია. d_1=350 (ტაბ. XX).

14. ხუფის ნატეხი (1217—56), ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, შებოლილია, ზედაპირი შემკობილია ჰდეული რგოლებითა და წერტილებით. l=107,6×81,8 (ტაბ. XX).

15. ღრმა ჯამის პირის ნატეხი (573—56), წითელი კეცისა, პირჩაბრუნებულია; პირზე გარშემოუყვება ვერტიკალურად ჰდეული მოკლეხაზოვანი სარტყელი. l=107×43,1 (ტაბ. XX).

16. ხელადა (1337—56), წითელი კეცისა; სამტუჩა, განიერი ყელი აქვს, რომელსაც ძირში შემოუყვება ორი წრიული ღარი. მხარს შემოვლებული აქვს ამოკაწრული წრეები; ბრტყელი ძირი

[1] l—ფრაგმენტის სიგრძე-სიგანეა, H—საგნის სიმაღლე, d_1—პირის დიამეტრი, d_2—მუცლის დიამეტრი, ხოლო d_3—ძირის დიამეტრია მილიმეტრებში.

და ოთხკუთხგანივკვეთიანი ყური აქვს. $H=209$. $d_1=61$, $d_2=117$, $d_3=90,6$ (ტაბ. XIX).

17. ჯამის პირის ნატეხი (1399—56), გალექილი, მოვარდისფრო კეცისა. $l=60,5\times135$ (ტაბ. XX).

18. ხელადა (1330—56), წითელი კეცისა, შებოლილი; დაბზარულია, ყელ-ყურ მოტეხილი; ბრტყელძირიანია. $H=176$, $d_1=41$, $d_2=123$, $d_3=89,1$ (ტაბ. XIX).

19. ჭურჭლის ნატეხი (1368—56), გალექილი თეთრი თიხისა; როგორც ჩანს, რომელიღაც სასმისის ყელ-ყურის ნაწილია. ზედაპირზე თეთრი, გამშვირვალე ჭიქური აქვს გადავლებული. $l=82,4\times96,8$ (ტაბ. XX).

20. ღრმა ჯამის ძირის ნაწილი (1339—56), წითელი კეცისა, ქუსლიანი. ზედაპირზე მოთეთრო ანგობით და მწვანე და ყავისფერი ჭიქურით მოხატულია გეომეტრიული მოტივი: კვადრატები, სამკუთხედები და ოვალები, შიგ ჩასმული წრეებითა და წერტილებით. $d_3=133,2$ (ტაბ. XX).

21. დოქი (1333—56), ღია ვარდისფერი კეცისა: გარედან გაპრიალებულია; ყელ-ყურის დიდი ნაწილი მოტეხილი აქვს. ყელს ძირზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი და მოკლეხაზოვანი, წმინდა ნაჭდევები; გამოყვანილი ძირი აქვს. $H=90$, ყელის $d_1=35,4$, $d_2=96,6$, $d_3=59,4$ (ტაბ. XIX).

22. დოქი (1336—56). გალექილი თეთრი თიხისა; პირგადაშლილია; ყელს გარშემოუყვება ჭდეული სარტყელი. კოპიანი, ძლიერ მოხრილი ყური და ბრტყელი ძირი აქვს. $H=170$, $d_1=50$, $d_2=98,5$, $d_3=70$ (ტაბ. XIX).

23. ცილინდრული მძივი (1475—56), პასტისა; მრგვალნახვრეტიანია; ერთი მხარე ჩამოტეხილი აქვს. თეთრ ფონზე, ირგვლივ შემოვლებული აქვს მოყავისფრო პარალელური ხაზები. $H=28$, $d=12$ (ტაბ. XX).

24. ქვაბ-ქოთანას სახელური (1335—56), მონაცრისფრო კეცისა, შებოლილი, სახელურს ბოლოში ღრუ აქვს. სახელურის სიგრძე=35, $l=74\times128$ (ტაბ. XX).

25. ჯამის ძირი (1440—56), წითელი კეცისა; ანგობით დაფარულ ზედაპირზე მწვანე, ყვითელი და მოყავისფრო ჭიქურით მოხატულია გეომეტრიული ორნამენტი: სამკუთხედები და ოვალები. $d_3=105$.

26. ჯამის პირის ნატეხი (1440[1]—56), წითელი კეცისა; გარეთ გადმოკეცილი პირი აქვს; ზედაპირი დაფარულია ანგობით, რომელსაც გადავლებული აქვს გამშვირვალე ჭიქური. $l=131\times72$ (ტაბ. XX).

27. ჩაიდნისებური ჭრაქი (1469—56), წითელი კეცისა; შებოლილი, მაღალი, პირგადაშლილი ყელი აქვს და გრძელი ლულა, რომელსაც ზემოდან ფართო საპატრუქე ნახვრეტი აქვს ამოჭრილი; ჭრაქი ბრტყელძირიანია. $H=79$, $d_1=46$, $d_2=74$, $d_3=44,5$ (ტაბ. XIX).

28. ქილის პირის ნატეხი (1524—56), გალექილი, თეთრი თიხისა; პირგადაშლილია; ყელზე კონცენტრული ხაზები აქვს. მხარს ორი წრიული ღარი და მათ შორის ამოკაწრული ტალღოვანი ხაზები ამკობს. $l=100,2\times108$ (ტაბ. XX).

29. ლიტრა (1338—56), წითელი კეცისა, ოდნავ დაბზარული: განიერი ყელი და მრგვალი პირი აქვს, რომელსაც გარშემოუყვება ქობა; ყელი რელიეფური, ჭდეული სარტყლითაა შემკული. ოთხკუთხგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი აქვს. $H=221$, $d_1=57$, $d_2=117$, $d_3=78$ (ტაბ. XIX).

30. საბეჭდავი (1735—56), აქატის ქვისა, მღვრიე ფერის: ნახევარსფერული მოყვანილობისაა; ფართო, განივი ნახვრეტი აქვს, ცალი მხარე წაკვეთილია: მიღებულ სიბრტყეზე ამოკვეთილია მამაკაცის პორტრეტი მარცხენა პროფილში. $d=16$, ნახვრეტის $d=8$ (სურ. 2 ტექსტში).

31. დოქი (1467—56), გალექილი, თეთრი თიხისა; პირმოტეხილია, ფართო ყელი აქვს; მუცელზე ყურის ნაკვალევი ემჩნევა; ძირი გამოყვანილი აქვს. $H=170$, ყელის $d=47,6$, $d_2=120$, $d_3=75$ (ტაბ. XIX).

32. საძევე (1470—56), გალექილი, თეთრი თიხისა; თხელკედლიანია, გარედან გაპრიალებული: დაბალი ყელი აქვს, რომელსაც გარშემოუყვება წრიული ღარები და ჭდეული სარტყელი; მსხლისებური მუცელი აქვს და კოპიანი, ძლიერ მოხრილი ყური. ძირი მკვეთრად აქვს გამოყოფილი. ზედმიწევნით მოხდენილი ჭურჭელია. $H=155$, $d_1=68,4$, $d_2=96$, $d_3=58$ (ტაბ. XIX).

33. ხელადა (1468—56), წითელი კეცისა; სამტუჩა, ფართოყელიანია; ოთხკუთხგანივკვეთიანი

ყური და ბრტყელი ძირი აქვს. H=213, d_1=61, d_2=122,4, d_3=101 (ტაბ. XIX).

34. ღრმა ჯამის ნატეხი (1548—56), მონაცრისფრო კერისა; ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული და მოვიწროებულია; სწორი, ოდნავ შიგნით ჩაბრუნებული პირი აქვს. პირს გარშემო უვლის ირიბჭდეული, ორნამენტით შემკული სარტყელი. l=92,7×51,6 (ტაბ. XX).

35. ხუფი (1552—56), წითელი კერისა, შებოლილი; ბრტყელ ზედაპირს კონცენტრული ღარები ამკობს. მაღალი, მრგვალი, გვირგვინიანი სახელური აქვს. ხუფის d=223, სახელურის H=36 (ტაბ. XX).

ორმო № 2

36. თეფში (შ—1464—56), წითელი კერისა; ფრიალაა; ქუსლიანი; შიდა და ზედაპირი მწვანე ჭიქურითა აქვს დაფარული. H=40, d_1=181, d_3=73.

ორმო № 3

37. მონეტა (ბ—1502—57) ტიპით XIII ს. ეკუთვნის. აღმოსავლურია (ტაბ. XII).

ორმო № Ბ—2

37[1]. დოქის ყელ-ყური (შ—1574—56) გალექილი, ვარდისფრად გამომწვარი თიხისა, გარედან გაპრიალებული. სამტუჩაა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური უშუალოდ პირთან აქვს შეერთებული. ყელს გარშემოუყვება დაბალი რელიეფური სარტყელი. H=155, ყელის d=37 (ტაბ. XXI).

38. ხუფი (შ—1559—56), წითელი კერისა, შებოლილი; ზედაპირზე კონცენტრული ღარებითაა შემკული; ძაფის კოჭისმაგვარი სახელური აქვს. ხუფის d=175, სახელურის H=32 (ტაბ. XXI).

39. ჩაიდნისებური ჭრაქის ნატეხი (შ—1630—56), ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. l=53×50.

40. ჩაიდნისებური ჭრაქი (შ—1722—56), ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, შებოლილი; ყური და პირი მოტეხილი აქვს; სქელი ღა წინ გრძლად გამოწეული ლულის ბოლო დახშულია. ლულას ზემოდან მრგვალი, ფართო, საფითილე ნახვრეტი აქვს, შუაში გვერდებჩაღარულია. ყელის d_1=41, d_2—80, d_3—44,5 (ტაბ. XXI).

41. აბზინდა ბრინჯაოსი (შ—1684—56); ოთხკუთხა მოყვანილობისაა; რკინის ენა აქვს. აბზინდის სიგრძე=20 (ტაბ. XXI).

ორმო № Ბ—2[1]

42. მონეტა (შ—1373—56), ტიპით XVI—XVII სს. ეკუთვნის. აღმოსავლურია (ტაბ. XI).

43. დოქის ყელი (შ—1691—56), წითელი კერისა, წერნაქიანი; ყელს გარშემოუყვება რელიეფური სარტყელი, რომელიც ორად იყოფა: ქვედა ნაწილი შემკობილია ვერტიკალურად ჩამწკრივებული ნასვრეტებიანი მეჭეჭებით, ზედა ნაწილს კი ვერტიკალურად გასდევს გრეხილი ზოლები; ყურმოტეხილია. ყურის ძირში ორ მხარეს ორმაგი და ნახვრეტებიანი მეჭეჭები აქვს. ყელის H=102,9 ყელის d=51,2 (ტაბ. XXI).

44. ფიალა (შ—1671—56, შ—1576—56), წითელი კერისა, მაღალკედლიანია და ძირგამოყოფილი. H=44, d_2=94,6, d_3=43,5 (ტაბ. XXI).

45. მონეტა (შ—1423—57), XIV ს. 1315—1316 წწ.), ოლჯაითუ სულტანისაა (ტაბ. XII).

ორმო № 1

46. მონეტა (ბ—1256—57), ტიპით XV ს. ეკუთვნის. გაურკვეველია ვის მიერ ან სადაა მოჭრილი (ტაბ. XI).

ორმო № Ბ—3

47. დიდი ღრმა ჯამის ნატეხი (ბ—734—57), წითელი კერისა; გვირგვინიანია; პირს ზემოდან გარშემოუყვება ირიბჭდეული სარტყელი. l=215×118 (ტაბ. XXI).

48. ჯამის ნატეხი (ბ—814—57), გალექილი, ვარდისფრად გამომწვარი თიხისა, d_3=93 (ტაბ. XXI).

49. ჭრაქი (ბ—740—57), წითელი კერისა; შებოლილია; ერთ მხარეს ნიჟარისებურადაა გვერდებჩაზნექილი და ტუჩგადმოწეული. ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და გამოყვანილი ქუსლი აქვს. H=62,5, d_1=115, d_3=48,9 (ტაბ. XXI).

50. ფიალა (ბ—739—57), წითელი კერისა; პირგადაშლილია და ქუსლიანი. თეთრი ანგობით დაფარულ ზედაპირზე შავი საღებავით მოხატულია რომბული ორნამენტი, რომლის ოთხი ცენტ-

რალური ნაკვეთი ყვითელი საღებავით არის შევსებულ-მოხატული. H=41, d=121, d_3=50 (ტაბ. XXI).

ორმო № 1[1]

51. მონეტა (ბ—824—57), XIII საუკ., ქართული, ლაშა გიორგისი (ტაბ. XII).

52. მონეტა (ბ—826—57), XII საუკ., გიორგი III-საა (1156—1184 წწ.) (ტაბ. XII).

53. მონეტა (ბ—827—57), ტიპით XII საუკუნისაა (ტაბ. XII).

54. ჯამის ძირი (ბ—841—57), წითელი კეცისა; ქუსლიანია. ანგობიან ფონზე ამოკაწრულია ფრინველის გულმკერდი და ფრთა. შეფერადებულია ცისფერი, ყავისფერი და ღია ყავისფერი საღებავით; გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჰიქური. l=71,7×87,5; d_3=72,6 (ტაბ. XXII, და XLIV).

55. სამაჯურის ნატეხი (ბ—867—57), იასამნისფერი მინისაა. სადა, მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს. ირიზებულია. ქორდა=17,8, d=4,1 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

56. სამაჯურის ნატეხები (ბ—864—57), იასამნისფერი მინისაა: ორი ნატეხია; გრეხილი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვთ. ირიზებულია. d—5. (ტაბ. XVIII, სურ. 4).

57. სამაჯურის ნატეხი (ბ—865—57), იასამნისფერი მინისაა, წმინდად დაგრეხილი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს. ირიზებულია. ქორდა=51, d=4,5 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

58. სამაჯურის ნატეხი (ბ—866—57), ცისფერი მინისაა. სადა, მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს. ირიზებულია. ქორდა=20,5, d=4,1 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

59. ჯამის ნატეხი (ბ—836—57), წითელი კეცისა; ბაკოიანია. ანგობით დაფარულ ზედაპირზე დატანილია ყავისფრად, თეთრად და მწვანედ შეფერადებული კვადრატები, რომლებზედაც დაწვეთებულია მუქი ყავისფერი წერტილები. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჰიქური. l=84,8×132,4 (ტაბ. XXII).

60. ჭურჭლის ნატეხი (ბ—851—57), თეთრი თიხისა; ფილტრიანია. l=55,6×53,5 (ტაბ. XXII).

61. დოქის ყელ-ყურის ნატეხი (ბ—845—57), წითელი კეცისა; წერნაქიანია; გვირგვინი და ბრტყელგანივკვეთიანი ყური აქვს. l=40 (ტაბ. XXII).

62. პატარა ქილის ნატეხი (ბ—847—57), წითელი კეცისა; წერნაქიანია; გვირგვინი და ბრტყელგანივკვეთიანი პატარა ყური აქვს. l=70×60 (ტაბ. XXII).

63. ჯამის ძირი (ბ—902—57), წითელი კეცისა; ქუსლიანია. ანგობით დაფარულ ზედაპირზე ამოკაწრულია ჯვარი, რომელიც ყავისფრადაა შეფერადებული. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჰიქური. l=83,2=76,8, d_3=79,2 (ტაბ. XXII და XLIV).

64. ქვევრის კედლის ნატეხი (ბ—903—57), წითელი კეცისა; განიერგვირგვინიანია; პირზე გარშემოუყვება თითით ნაჭდევი რელიეფური სარტყელი. l=83×110, ნატეხის სისქე=18 (ტაბ. XXII).

65. ქილა (ბ—792—57), წითელი კეცისა, შებოლილი; ოდნავ პირგადაშლილია. მოკლე და ვიწრო ცილინდრული ყელი აქვს. გატეხილია მხართან. d_1=110 (ტაბ. XXII).

66. ქილა (ბ—839—57), ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირგადაშლილია, ყელთან შევიწროებული. მხართანაა გადატეხილი. მხარზე მიუყვება ორი პარალელური ღარი, რომელთა შორის წერტილებია დაკეწილი. d_1 = 200 (ტაბ. XXII).

ორმო № 3[1]

67. ჯამის პირის ნატეხი (ბ—1078—57), წითელი კეცისა; ანგობიან ზედაპირზე მწვანე და მოყავისფრო ჰიქურით გამოსახულია ზოლები და წერტილწრეები. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჰიქური. l=45,5×61 (ტაბ. XXI და XLIV).

ორმო № 5

68. მონეტა (ბ—1187—57), IX—X სს. არაბული ფელსი (ტაბ. XIII).

69. სამაჯურის ნატეხები (ბ—1237—57), ლურჯი ფერის მინისა. ორი ნატეხია; ორივეს მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს. ქორდა=43,5, d=5,8 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

70. სამაჯურის (?) ღეროს ნატეხი (ბ—1237[1]—57) ლილისფერი მინისა. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. ქორდა = 18,5, d = 5,8 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

71. მინის სანელსაცხებლე (ბ—1161—57), ღია მწვანე ფერისაა. სქელკედლიანია. ფართო, სწორი და მაღალი ყელი აქვს და პირთვისებური მუცელი. ირიზებულია. H=53 (ტაბ. XXII).

72. ჭურჭლის ყელი (ბ—1407—57), გალექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; ფილტრიანია. ფილტრი პირთან არის მოთავსებული. ყელს გარშემოუყვება რელიეფური სარტყელი, რომელსაც ორ მოპირდაპირე ადგილას ყურის ნაკვალევი შემორჩენია. l=75×95,6 (ტაბ. XXII).

73. ქვევრის პირის ნატეხი (ბ—1168—57), წითელი კეცისა (განატეხში ნაცრისფერია); ოდნავ პირგადაშლილია და გვირგვინიანი; მხარზე რელიეფური ჰდეული სარტყელი მიუყვება. l=217×107,5 (ტაბ. XXII).

74. კვირისტავი (ბ—1158—57), ფაიანსისა; ყვითლადაა მოჭიქული, ცენტრში მრგვალი ნახვრეტი აქვს. შემორჩენილია კვირისტავის ნახევარი. H=4,5, d=36, ნახვრეტის d_1=6,5 (ტაბ. XXII).

75. მონეტა (ბ—1188—57), IX—X სს. არაბული ფელსია (ტაბ. XIII).

ორმო № 6

76. დოქი (ბ—1235—57), გალექილი, თეთრი თიხისა: გარედან გაპრიალებულია. ყელ-ყური მოტეხილი აქვს. შემორჩენილია ვიწრო და მრგვალი ყელის ნაშთი. H=121, ყელის d=29,5, d_2=9, d_3=65 (ტაბ. XXII).

77. სამარილე (ბ—1221—57). წითელი კეცისა, პირჩაბრუნებულია; ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული გვერდები და ბრტყელი ძირი აქვს. გადავლებული აქვს ყავისფერი ჭიქური. H=40; d_1=77,3, d_3=39 (ტაბ. XXII).

78. ქვაბ-ქოთანას პირის ნატეხი (ბ—1225—57), ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ძლიერ შებოლილია. პირდაღარული, პორიზონტალური, ნათითურებიანი შვერილი აქვს. პირის გარშემო ამოკაწრულია სწორი და ზიგზაგოვანი ხაზები. l=95×98 (ტაბ. XXII).

79. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ბ—1226 57), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; კეხისმაგვარია. ყურის ერთ მხარეს შემორჩენილია ჭურჭლის პირის ნაწილი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური თავზე ორმაგი კოპითაა შემკული. l=71, 5×61,7 (ტაბ. XXII).

ორმო № 7 თავზე

80. დოქი (ბ—1233—57), წითელი კეცისა; სამტუჩა, განიერი ყელი აქვს, მოგრძო მუცელი, ოთხკუთხგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი. H=270, d_1=48,5, d_2=135, d_3=95 (ტაბ. XXIII).

81. სამარილე (ბ—1231—57), წითელი კეცისა, შებოლილია. გვირგვინიანი ბაკო აქვს და ბრტყელი ძირი. პირზე გარშემოუყვება წერტილოვანი ჰდეული სარტყელი. H=31, d_2=81,8, d_3=50,5 (ტაბ. XXIII).

82. დოქი (ბ—1232—57), წითელი კეცისა; სამტუჩა, განიერი ყელი აქვს. ყელსა და მუცელს გარშემოუყვება მკრთალი წრიული ღარები. ბრტყელგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი აქვს. H=244, d_1=47,3, d_2=116, d_3=100 (ტაბ. XXIII).

83. ჩაიდნისებური ჭურჭელი (ბ—1093—57), გალექილი, თეთრი თიხისა; გარედან გაპრიალებულია; ყელი, ყური და ლულა მოტეხილი აქვს. ნაშთის მიხედვით ლულა ვიწრო ნახვრეტიანი და სქელკედლიანი ჰქონია. ყელს ძირზე შემოუყვება ჰდეული ორნამენტი, მხარზე კი—ამოკაწრულია წრიული ხაზები. ბრტყელი, გამოყვანილი ძირი აქვს. H=140, ყელის d_1=31, d_2=117, d_3=73,3 (ტაბ. XXIII).

84. ნიჟარისებური ჭრაქი (ბ—1229—57), წითელი კეცისა: ქუსლიანია; შიგნითა პირი ანგობითაა დაფარული, რომელსაც შემდეგ გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური. H=42, d_3=45,2, პირის l=82×70,5 (ტაბ. XXIII და XLIII).

85. პატარა სამტუჩა სურა (ბ—1230—57), წითელი კეცისა; ვიწროყელიანი, პირგადაშლილი ტუჩი აქვს; ტუჩი მკვეთრად გამოყოფილია პირისაგან. ბრტყელი, გამოყვანილი ძირი აქვს. სურის ზედაპირზე ანგობითაა მოხატული ფოთლოვანი მოტივი; გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური. H=179, d_1=37, d_2=109,6, d_3=71 (ტაბ. XXIII).

86. ჯამი (ბ—1099—57; ბ—1137—57), წითელი კეცისა; ჯამი ღრმაა და ქუსლიანი. ანგობაზე გადავლებული აქვს მუქი მწვანე ჭიქური. H=80,2, d_1=219,9, d_3=99.

87. ჯამის პირის ნატეხი (ბ—1132—57), წითელი კეცისა; პირდაკვნილია; შიდა პირი მოჭიქულია: ყავისფერ ფონზე დატანილია მუქი ყავისფერი ზოლი. ზედაპირზე გამჭვირვალე ჭიქური აქვს გადავლებული. l=46,3×91.4. (ტაბ. XXIII და XLIII).

88. ჯამის ძირი (ბ—1133—57), წითელი კეცისა; ქუსლი მუცლისაგან მკვეთრად გამოყოფილი არაა. შიდა პირი მოჭიქულია: ყავისფერი ჭიქურის ფონზე თეთრი ანგობით, მწვანე და მუქი ყავისფერი საღებავებით, ზოლებია დატანილი, ხოლო ცენტრში, ანგობის პატარა ლაქებზე დაღვენთილია იმავე ფერის საღებავები. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჭიქური. d_3=83 (ტაბ. XXIII და XLIII).

89. ქვევრის კედლის ნატეხი (ბ—1148—57), წითელი კეცისა (განატეხში მონაცრისფროა): ნატეხს ქვემო ნაწილში რელიეფური, ჰდეული სარტყელი აქვს შემოვლებული, რომლის ზემოთ, სამ წყებად განლაგებული წრიული დატალღოვანი ორნამენტებია ამოკაწრული. l=81×176, ნატეხის სისქე=15,6. (ტაბ. XXIII).

90. სფეროკონუსის ნაწილი (ბ—1194—57; ბ—1155—57), რუხი, მოთეთრო ფერის კეცისა; გარედან გაპრიალებულია. სქელკედლიანია. დაბალი, თავგამსხვილებული წვრილ-ნახვრეტიანი ყელი აქვს. დეფორმირებულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ სფეროკონუსი მრგვალმუცლიანი იყო ყელის d=34 (ტაბ. XXIII).

91. ჯამი (ბ—1125—57; ბ—1127—57), წითელი კეცისა; ჯამს ბაკოიანი პირი აქვს და ქუსლიანი ძირი. ანგობით დაფარული ზედაპირზე ამოკაწრულია რადიალურად განლაგებული ოთხი ფოთოლი. ფოთლები შეფერადებულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. ორ ფოთოლს გარშემოუყვება ყავისფერი საღებავის ზოლები, ორს კი—იგივე ფერის წერტილები. ჰურჭელს ზემოდან გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჭიქური. H=84, d_3=94 (ტაბ. XXIII).

92. ფიალისმაგვარი ჭრაქის ნაწილი (ბ—1138—57; ბ—1137—57), წითელი კეცისა: შებოლილია: ორადაა გატეხილი. აკლია ძირი და მუცლის ნახევარზე მეტი. შემორჩენილია მოკლე საპატრუქე ლულა და პირის ნაწილი, რომლის ორივე მხარე მოხატულია ჯერ თეთრი ანგობით, ხოლო შემდეგ გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური. H=39, d_1=97 (ტაბ. XXIII).

93. ხუფის ნატეხი (ბ—1150—57). წითელი კეცისა; შებოლილია; პირზე ფართო სარტყელი აქვს შემოვლებული, რომლის ზედაპირი წიწვიანი ორნამენტითაა შემკული; გარდა ამისა, ხუფის ზედაპირზე (ცენტრში) ოთხი ჭდე და ერთი წერტილია დატანილი. ხუფის d=246 (ტაბ. XXIII).

94. ფიალის ნაწილი (ბ—1210—57), წითელი კეცისა; პირგადაშლილია. შემორჩენილია ქუსლის ნაწთი და მუცლის ნახევარი, რომლის შიგნითა პირი დაფარულია ანგობით. შემდეგ კი გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური. H=48, d_1=152, d_2=53 (ტაბ. XXIII).

95. ჯამის პირი (ბ—1212—57), წითელი კეცისა; ქობიანია. ანგობით დაფარულ ზედაპირზე ყავისფერი ჭიქურის ზოლებით დატანილია გეომეტრიული ორნამენტები. რომელთა შიგნით მოხატულია მოყვითალო, მოყავისფრო და მწვანე ჭიქურის არეები. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჭიქური. d_1=185 (ტაბ. XXIII).

96. სურის ყელყურის ნატეხი (ბ—1197—57), მოვარდისფრო კეცისა; ვიწრო ყელი აქვს, რომელსაც გარშემოუყვება ოთხი რელიეფური სარტყელი და ღრმად ამოკაწრული ორწყება ტალღისებური ორნამენტი. ყური ოთხკუთხ განივკვეთიანი და თავში ღრმად მოხრილია. H=95, d=36,2 (XXIII).

97. ჯამის ძირი (ბ—1201—57), წითელი კეცისა; ბრტყელ ქუსლიანია. შიგნითა პირი მწვანედაა მოჭიქული; ძირზე ამოკაწრულია ორი ქართული ასო ასომთავრული ხელით: „დრ“. d=77 (ტაბ. XXIII).

98. ფინჯანი (ბ—1204—57. ბ—1205—57), ვარდისფერი კეცისა; წიბოიანი პირი აქვს, რომელსაც გარშემოუყვება ორი წრიული ღარი. ქუსლიანი ძირი აქვს, ფართო და ღარიანი ყური, რომელსაც თავზე კოპი ახის. ჰურჭელზე ანგობაა დადებული, შემდეგ კი, გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური. შიგნიდან ჭიქური აცლილია. H=74, d_1=108, d_2=97,4, d_3=61,2 (ტაბ. XXIII).

99. ჯამი (ბ—1202—57), წითელი კეცისა; ჯამს ბაკოიანი პირი აქვს და ბრტყელი ქუსლი;

ჯამის ზედაპირი ანგობითაა მოხატული; გამოსახულია: რგოლები შუაში წერტილებით. ჯამის ზედაპირზე გადავლებულია მწვანე ჭიქური. H=64, d_1=218, d_3=83,4 (ტაბ. XXIII).

100. სარძევე (ბ—1208—57, ბ—1211—57). წითელი კეცისა. ფართო ცილინდრული ყელი აქვს, ოდნავ გადმოწეული პირი (ფარფლი) და მრგვალი მუცელი. აკლია მუცლის ქვედა ნაწილი, ძირი და სახელურის. მოჭიქულია: ანგობით დაფარულ ზედაპირზე დაღვენთილია მწვანე და მუქი სოსანი ფერის ჭიქური. H=128, ყელის d=81. (ტაბ. XXIII).

101. ხუფის ნატეხი (ბ—1200—57), წითელი კეცისა; შემორჩენილია პირის მესამედი და სახელურის. ბრტყელი და მრგვალი პირი აქვს, რომლის ზედაპირი კონცენტრული ღარებითაა შემკული, კიდეები კი—ჭდეულია. ხუფის ცენტრში დაძერწილია ფართო ნახვრეტიანი სახელური, რომელსაც ძირში ნათითურები აქვს. ხუფი ქვემოდან შებოლილია. ხუფის d=142, სახელურის H=29 (ტაბ. XXIII).

ორმო № 9

102. მონეტები (ბ—1293—57), ორი ცალია, ორივე XII საუკუნისაა. ერთი დემეტრე I-ს მიერაა მოჭრილი, მეორე ქ. დარუბანდისაა (ტაბ. XII).

103. საშაჯურის ნატეხი (ბ—1287—57), ღია მწვანე ფერის მინისა. ღეროდაგრეხილი და მრგვალგანივკვეთიანი აქვს. ქორდა=48, d=5,3 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

104. მინის ჭურჭელი (ბ—1283—57), მომწვანო-მოთეთრო ფერისაა; მინიატურულია. გობისებური მოყვანილობა აქვს. გრძელმილიანი უნდა ყოფილიყო. ბილი მოტეხილი აქვს. სიგრძე=13, სიმაღლე=2, პირის l=22×40 (ტაბ. XXIII და XLIII).

105. მონეტა (ბ—1602—57), XII ს. ეკუთვნის. გიორგი III-ს მიერაა მოჭრილი (ტაბ. XII).

ორმო № 10

106. საშაჯურის ნატეხი (ბ—1278—57), ლურჯი ფერის მინისა: ღეროდაგრეხილი, მრგვალგანივკვეთიანი აქვს. ქორდა=40,1, d=48 (ტაბ. XVIII სურ. 4).

107. საშაჯურის ნატეხი (ბ—1279—57) ღია მწვანე ფერის მინისა; ღეროდაგრეხილი და მრგვალგანივკვეთიანი აქვს. ქორდა=40, d=48 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

108. ჯამის ნატეხი (ბ—1270—57), წითელი კეცისა; ანგობიან ზედაპირზე ამოკაწრულია ღორის გამოსახულება. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. l=87,5×13,5 (ტაბ. XXV).

109. ქვევრის კედლის ნატეხი (ბ—1274—57), წითელი კეცისა; წერნაქიანია. გარედან რელიეფური სარტყელი აქვს შემოვლებული. l=17,2×23,5, ნატეხის სისქე=1,61 (ტაბ. XXIV).

110. ჭურჭლის ძაბრისებური ყელი (ბ—1312—57), თეთრი თიხისა; ნატეხს ყურის ნაკვალევი ემჩნევა. H=44,5 d=35 (ტაბ. XXIV).

111. ნიჟარისებური ჭრაქი (ბ—1272—57, ბ—1379—57), წითელი კეცისა: ბრტყელგანივკვეთიანი სახელური აქვს. ანგობიან ზედაპირზე გადავლებულია მწვანე ჭიქური. H=42,3; პირის l=109,3×69,2 (ტაბ. XXV).

112. ტოლჩა (ბ—1311—57), მოვარდისფრო კეცისა; ყურმოტეხილია. დაბალი, განიერი და გოფრირებული ყელი აქვს. აკლია ძირი. H=118, d_1=52,2, d_2=92, d_3=69 (ტაბ. XXIV).

113. მონეტა (ბ—1384—57) XIII ს. ეკუთვნის. მოჭრილია ლაშა გიორგის მიერ (ტაბ. XII).

114. კოჭობი (ბ—1571—57), მოვარდისფრო კეცისა: შებოლილია; ოდნავ პირგადაშლილი, გვირგვინიანი პირი და გამობერილი მუცელი აქვს. მუცელზე გარშემოუყვება კონცენტრული ხაზები. ბრტყელძირიანია. H=88,2, d_1=63,2 d_2=91,3, d_3=57,2 (ტაბ. XXIV).

115. ღრმა ჯამი (ბ—1541—57), წითელი კეცისა; ანგობიან ზედაპირზე ამოკაწრულია: ჭიმის ძირში ერთი წრიული ხაზი და ამ ხაზიდან ცენტრისაკენ მიმართული ერთმანეთისგან თანატოლად დაშორებული წყვილ-წყვილი პარალელური ხაზები. ამ ხაზებს შორის მოთავსებულია მარყუჟოვანი წრეები. ჭიქურგადაცლილია. H=90, d_1=248, d_3=86 (ტაბ. XXV).

116. ჯამი (ბ—1550—57), წითელი კეცისა; ღრმა მუცელი აქვს და ბაკოიანი პირი; ჭუსლიანია. ანგობით დაფარულ ზედაპირზე ამოკაწრულია სწორი და მრუდე ხაზები და მარყუჟიანი

წრეები. გადავლებული აქვს ცისფერი ჰიქური. H=77, d_1=193, d_3=74,6 (ტაბ. XXV).

117. სასმისის (?) პირის ნატეხი (ბ—1539—57), გალექილი თეთრი თიხისა; პირთან ორი წრიული ღარი აქვს, კედელი კი გოფრირებულია. l=73×71,2 (ტაბ. XXIV).

118. ჭურჭლის ყელი (ბ—1540—57). მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, პირჩაბრუნებულია; პირის ქვემოთ ორი რელიეფური სარტყელი აქვს და ყურის ნაკვალევი. H=83,3, d=39,5 (ტაბ. XXIV).

119. ჭურჭლის ნატეხი (ბ—1547—57), წითელი კეცისა; ნატეხის ზედაპირზე მომავო ფერის საღებავით მოხატულია ორი პარალელური ზოლი და მათ შორის ერთმანეთზე გადაბმული წრეხაზები და წერტილები. l=114×50 (ტაბ. XXIV).

120. სურის ყელი (ბ—1558—57), წითელი კეცისა; მეტად ვიწროა და მრგვალი, პირთან გაფართოებული. ანგობით დაფარულ ზედაპირზე შავი საღებავით მოხატულია ზოლები და ოვალური წრეები. H=69,6, ყელის d=20,7 (ტაბ. XXIV).

121. ჭურჭლის (პატარა სურის?) ნატეხი (ბ—1553—57), წითელი კეცისა; სურის ზედაპირზე ანგობითაა მოხატული: ყელის გარშემო ორი წრე, რომელთა შორის ჩასმულია მოკლე ხაზები, ხოლო მუცლის ზედა ნაწილში—ფოთლები. გადავლებული აქვს ცისფერი ჰიქური. ყელის d=30,5 (ტაბ. XXV).

122. ჯამის ძირი (ბ—1554—57), წითელი კეცისა; ანგობიან ზედაპირზე მოხატულია გვერდებშეზნექილი რომბები, რომლებშიაც დიაგონალებია გავლებული; შიგნით და გარშემო წერტილ-მძიმისმაგვარი ნიშნებითაა შემკული. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჰიქური. H=19, d_3=98.

123. ჯამი (ბ—1587—57), წითელი კეცისა; ბაკოიანია, ქუსლგამოყვანილი. პირზე და ბაკოსთან გარშემოუყვება წრიული ღარი. H=78, d_1=193, d_3=70 (ტაბ. XXIV.)

124. დოქი (ბ—1583—57), გალექილი თეთრი თიხისა; ფართო ძაბრისებური ყელი აქვს; ყელს ზემო ნაწილში გარშემოუყვება წრიული ღარები, ძირში კი—რელიეფური ჰდეული სარტყელი. ჩამოტეხილი აქვს პირი და ყური. ყელსა და მუცელზე ყურის ნაშთი ემჩნევა. გამოყოფილი ძირი აქვს. H=230, d_1=72, d_2=140, d_3=82,5 (ტაბ. XXIV).

125. ჩაფის ყელი (ბ—1585—57) წითელი კეცისა; წერნაქიანია; სამტუჩა პირი და ფართო ყელი აქვს. ყელის გარშემო ამოკაწრულია ტალღისებური ხაზები და ერთი წრიული ღარი. შემორჩენილი აქვს ფართო და ბრტყელი ყურის ნაშთი. H=99, d_1=81 (ტაბ. XXIV).

126. რკინის რგოლი (ბ—1600—57); მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს, რომელზედაც ქსოვილის ნაშთია შემორჩენილი. დაჟანგულია. d=23 (ტაბ. XXV).

127. მინის პატარა სურის ყელ-ყური (ბ—1572—57); მწვანე ფერისა, სამტუჩა და მაღალყელიანი. მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს. ყურის ერთი ბოლო შეერთებულია ყელის ძირთან, ხოლო მეორე, ორმაგადაა პირთან—ზემოდან და ქვემოდან შეერთებული, რის შედეგადაც იქმნება ცარიელი არე. H=73, d=35 (ტაბ. XXIV).

128. სამარილე (ბ—1568—57). წითელი კეცისა; ბაკოიანია და ბრტყელძირიანი. გადავლებული აქვს ცისფერი ჰიქური. H=32, d_1=77,5, d_3=48,6 (ტაბ. XXV).

129. მონეტა (ბ—1603—57) XII ს. დემეტრე I-ს მიერაა მოჭრილი (ტაბ. XII).

130. მინის პატარა ჭიქა (ბ—1573—57), თეთრი ფერისა, ირიზებული; პირისაკენ გაფართოებულია; ბრტყელი, შუაში შეზნექილი ძირი აქვს. ძირს გარშემოუყვება მინისავე სალტე. პირი მთლიანად მოტეხილი აქვს. H=22 (ტაბ. XXIV).

131. ქოთანი (ბ—1636—57), წითელი კეცისა; შებოლილია. პირგადაშლილია; ყელის ძირში გარშემოუყვება ორი ჰდეული სარტყელი. ორი ბრტყელგანივკვეთიანი ყური აქვს და ყურებზე კოპი. აკლია ძირი. H=135,5, d_1=194 (ტაბ. XXIV).

132. სამაჯურის ნატეხი (ბ—1383—57), მოთეთროფერის მინისა: ღერო წმინდად დაგრეხილი და მრგვალგანივკვეთიანი აქვს. ქორდა=59 (ტაბ. XVIII, სურ. 4).

133. დიდი ჯამი (ბ—1375—57), წითელი კეცისა; სქელკედლიანია და ბაკოიანი. ანგობით დაფარულ ზედაპირზე ამოკაწრულია ბადურა. გადავლებული აქვს ცისფერი ჰიქური. აკლია ძირი და პირის დიდი ნაწილი. H=118, d_1=295 (ტაბ. XXV).

134. ჯამი (ბ—1376—57), წითელი კეცისა; შებოლილია. ბაკოიანი პირი და გამოყვანილი ძირი აქვს. ანგობით დაფარულ შიგნითა პირზე ამოკაწრულია სხვადასხვა მხრივ მიმართული ხაზები. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. H=77, d_1=71,2 (ტაბ. XXV).

135. ჯამის ნაწილი (ბ—1378—57), წითელი კეცისა, ბაკოიანია და ჭუსლგამოყვანილი; ჯამის პირს ბაკოსთან მოუყვება ერთმანეთის გადამკვეთი წყვილ-წყვილი ხაზები, ანგობიან ზედაპირზე გადავლებულია ცისფერი ჭიქური. H=77, d_3=71,2 (ტაბ. XXV).

136. სამარილე (ბ—1377—57), წითელი კეცისა; წიბოიანი ბაკო აქვს და გამოყვანილი ჭუსლი; გადაელეული აქვს ცისფერი ჭიქური. H=34, d_1=72, d_3=43,3 (ტაბ. XXV და XL).

137. მინის ჭურჭლის სახელური (ბ—1399—57), მწვანე ფერისა; ირიზებულია, ოთხკუთხა განივკვეთიანი; სახელური თავთან მოხრილია და კობიანი. სახელურს სიგრძეზე მისდევს ორი ღრმა ღარი. H=76, სახელურის განივ. კვეთი=51 (ტაბ. XXIV).

ორმო № 11

